ჯემალ სტეფნაძე

რელიგიის როლი საქართველოს საგარეო ორიენტაციაში

თბილისი
2001

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფ. ჯემალ სტეფნაძის წინამდებარე ნაშრომში, კონკრეტული ისტორიული მასალის საფუძველზე, შესწავლილია საქართველოს (ერთიანი თუ ცალკეულ სამეფოებად დაშლილის) მესვეურთა რელიგიური კუთვნილების როლი ქვეყნის საგარეო ორიენტაციაში. მოყვანილია იმის მაგალითები, თუ როგორ ხდებოდა ამა თუ იმ მეფის რელიგიური კუთვნილების ცვლასთან ერთად, პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაც.

ავტორს მიაჩნია, რომ ძველი საქართველოს ისტორიაში შემჩნეული ეს პრინციპი დღესაც მოქმედებს და ანგარიშგასაწევია.

რედაქტორი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გ. გიორგაძე.

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. მ. პაპაშვილი.

შინაარსი

I თავი.

რელიგიური სიტუაცია საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების შემდეგ (IV ს. მეორე ნახევარი, VIIს.-ის 50-იანი წლების დასაწყისი).

§ 1. ქრისტიანობის განვითარების ტენდენციები IV –VII საუკუნეებში 5

§ 2. ქრისტიანობის ურთიერთობა დანარჩენ სარწმუნეობებთან IVს.-ის 40-იანი წლებიდან VIIს.-ის 50-იანი წლების საქართველოში 52

II თავი.

არაბების ეკონომიკური პოლიტიკა ქართლში – ქართველი ხალხის რელიგიური და პოლიტიკური ორიენტაციის გაღრმავების საფუძველი

§ 1. ე.წ. „დაცვის სიგელის“ ზოგიერთი პირობა და მათი ეკონომიკური და რელიგიური შედეგები. 68

§ 2. ქართველ მეფე-მთავართა ლტოლვა ბიზანტიის მფარველობაში შესასვლელად, როგორც საკუთარი ქართული (+ ქრისტიანული) მეფობის გამოხატვა. 74

III თავი.

ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და ბიზანტიური ორიენტაციის განვითარების თავისებურებანი

§ 1. გიორგი I და ბიზანტიასთან ურთიერთობის გამწვავება, როგორც საქართველოს სამეფოს თვითდამკვიდრების გამოხატულება. 77

§ 2. ბაგრატ IV და ბიზანტიის აშკარა ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ. 82
§ 3. აშკარა უარი ბიზანტიურ ორიენტაციაზე და საქართველოს სამეფო ხელისუფლების ბრძოლა სრული დამოუკიდებლობისათვის. 89

IV თავი.

საქართველო — პოლიტიკური ორიენტირი.
§ 1. საქართველოს რელიგიური პოლიტიკა სომხეთში და სომხების მიმართ. 94
§ 2. საქართველო და ისლამური ქვეყნები. 97

V თავი.

საქართველო და აღმოსავლეთი.
§ 1. საქართველოს დაპყრობა ხვარაზმელების, მონღოლების და შუააზიელი მონღოლების (თემურლენგის ურდოების) მიერ. 102
§ 2. პოლიტიკური და რელიგიური ვითარების უკიდურესი გაუარესება XV ს. მეორე ნახევარში და ქართველ პოლიტიკოსთა ორიენტაცია ევროპაზე. 106

VI თავი.

საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ-რელიგიურ შეხედულებათა შეუთავსებლობა.
§ 1. კახმეფეთა კავშირი რუსეთთან და ამ პოლიტიკის შედეგები. 112
§ 2. ქართლისა და იმერეთის სამეფოების საგარეო ორიენტაცია. 119
§ 3. ქართველი ხალხის რელიგიური დაშლა. 125

I თავი. რელიგიური სიტუაცია საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების შემდეგ (IV ს. II ნახევარი VIIს.-ის 50-იანი წლების დასაწყისი).

§ 1. ქრისტიანობის განვითარების ტენდენციები IV – VII საუკუნეებში.

IV საუკუნის 30-იან წლებში, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოში, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ამ მოვლენას საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა და სათანადოდაც აისახა უცხოურ წყაროებში. რა თქმა უნდა, თვითონ ქართულმა საზოგადოებამაც კარგად იგრძნო, რომ ეს იყო დასასრული ერთი ეპოქისა და დასაწყისი მეორის, სრულიად განსხვავებულისა და სხვა პერსპექტივების მქონის. მართლაც უდიდესი რამ მოხდა: ეროვნული, ქართველი კაცის ხასიათზე გამოჭრილი წარმართული სარწმუნოების ნაცვლად საქართველოს გაბატონებულმა წრეებმა ებრაულ საზოგადოებაში ჩასახული და რომის იმპერიაში გავრცელებული ქრისტიანობის დამკვიდრება იწყეს.

საუკუნეების განმავლობაში ქართველი კაცი ე.წ. წარმართული სარწმუნოებით ცხოვრობდა. ამ რელიგიის ქვეშ ქმნიდა იგი თავის კულტურას და ეწეოდა პოლიტიკურ ცხოვრებას. ამ რელიგიის დროშით იცავდა თავის სამშობლოს საზღვრებს და ერთობ კარგადაც. მრავალი წარმართი გმირი იცის ჩვენმა ისტორიამ, რომელთა მოღვაწეობის ხასიათი საუკუნეების განმავლობაში ემჩნეოდა დაღად ჩვენი ქვეყნის განვითარებას. მიუხედავად ამისა ეს წარმართობა უარყოფილ იქნა, თანაც იმათგან, ვისგანაც ყველაზე ძნელი წარმოსადგენი იყო – სამეფო ხელისუფლებისა და მისი უმაღლესი

მოხელეებისაგან.

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ამ დიდი მოვლენის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი. სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ახალფეხადგმულ ფეოდალურ კლასს წარმართული ტაძრების მიწების ხელში ჩაგდება სურდა და თავისი მიზნის მიღწევას ამ გზით შესძლებდა. აკადემიკოსი ს. ჯანაშია საგანგებოდ მიუთითებდა, რომ „ქრისტიანობა საქართველოს მოევლინა როგორც აზნაურთა რელიგია და ძველი მონარქიის ოფიციალური კულტი“[1].

ასეთივე აზრია გატარებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II ტომში, კერძოდ პირველი თავის პირველ პარაგრაფშიც[2]. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში წარმართული რელიგიის ქრისტიანულით შეცვლის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლებით ახსნა საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებაა და, რა თქმა უნდა, მას ჩვენც ვიზიარებთ. მაგარამ მის გვერდით, ჩვენ გვინდა წინ წამოვწიოთ აგრეთვე ზნეობრივი და საგარეო-პოლიტიკური ფაქტორები, რომლებმაც, როგორც ჩვენ გვეჩვენება, მეტი თუ არა, არაფრით ნაკლები როლი არ შეასრულეს ახალი რელიგიის საქართველოში დამკვიდრებაში. ქვემოთ საგარეო-პოლიტიკურ ფაქტორზე საგანგებოდ ვილაპარაკებთ, ახლა კი ზნეობრივზე შევჩერდებით. აქვე, მკითხველისათვის საქმის გაიოლების მიზნით განვმარტავთ, რომ ზნეობრივ ფაქტორში ჩვენ ვგულისხმობთ ერთმხრივ წარმართული რელიგიისა და მეორე მხრივ ქრისტიანულ რელიგიათა ზნე-

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები ტ. I, გვ. 221.

[2] ლ. ჯანაშია, ქართლი IV ს.-ის პირველ ნახევარში. ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად. წიგნში: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. საქართველო IV – X საუკუნეში“. თბილისი, 1973 წ., გვ. 68.

ობრივ ნორმებს: ქორწინებას, გასვენებას, ღმერთის პატივის მიგებას იგივე სამსახურს, საიქიოს არსს და ა.შ.

ცხადია ჩამოთვლილი საკითხების მთელი სისრულით ამ ნაშრომში გაშუქება მიზანშეწონილი არ არის. ამას დიდი დრო და ადგილი დასჭირდება. ამიტომ ჩვენ ამ ორი რელიგიის[1] ძირითად წეს-ჩვეულებებს შევადარებთ ერთმანეთს.

1. ღმერთთა რაოდენობა.

წარმართობა მრავალ ღმერთს აღიარებდა და პატივსაც სცემდა. ქრისტიანობა კი მხოლოდ ერთ ღმერთს მიიჩნევდა ღმერთად. თუმცა ეს ღმერთი – ქრისტე, სამსახოვანი იყო – მამა, შვილი და სულიწმინდა.

მრავალი ღმერთის არსებობა ხელს არ უწყობდა ხალხის მტკიცე ერთობად ჩამოყალიბებას და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებსა და ტომებს შორის დაპირისპირების საფუძველს ქმნიდა. ამ თვალსაზრისით მონოთეიზმი აშკარად სჯობდა პოლითეიზმს.

მაგრამ მონოთეიზმი ანუ ერთი ღმერთის რწმენა მთელი ხალხის აზროვნების ერთ კალაპოტში მოქცევასა და დიქტატს ნიშნავდა. ეს მისი ნაკლი იყო. მაგრამ

---

[1] ქრისტიანული რელიგია წარმართს ყველა არაქრისტიანს უწოდებდა. იგი წარმართად თელიდა საკმაოდ რთული და ხალხისათვის მიმზიდველი რელიგიების მაგარებლებსაც. წარმართის განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი იყო კერპთმსახურება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ხალხს თავისი ბუნებრივი პირობების, სოციალური და პოლიტიკური გარემოს შესაფერი რელიგიები პქონდა. ქრისტიანობამდელი რელიგიები იყვნენ, მაგალითად, ძველი ბერძნული და სპარსული რელიგიები, მაგრამ ისინი აბსოლუტურად ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათისანი იყვნენ. ამიტომ, როდესაც წარმართობას და ქრისტიანობას ვადარებ მე მხოლოდ ქართული წარმართობა მაქვს მხედველობაში.

მისი ეს ხასიათი კარგად შეამჩნიეს ჩვენში და, მეფემ, ვისაც მშობლიური რელიგია (კერპთაყვანისმცემლობა) უნდა დაეცვა უცხო სარწმუნოების ძალმომრეობისაგან, თვითონ მიიღო იგი. თანაც ქვეყანაში გავრცელებაც იწყო. ამრიგად, ქრისტიანობის მონოთეისტური ხასიათი, რაც სოციალური თვალსაზრისით ახალი, აღმაჟალი ფეოდალური კლასისათვის, ძალზე ხელსაყრელ პერსპექტივას ქმნიდა, წარმართობაზე გამარჯვების ერთერთი ძირითადი მიზეზი გახდა. ამას ემატებოდა ფეოდალური კლასის გამარჯვებისათვის ძალზე მიმზიდველი ქრისტიანული დოგმების ის ნაწილი, რომლებიც ჩაგრულ კლასს მოთმინებისა და შემრიგებლობისაკენ მოუწოდებდა.

ერთი სიტყვით ქრისტიანობის თავისებური დესპოტიზმი რაც ფორმულაში „ერთი ღმერთი, ერთი რწმენა“ გამოიხატებოდა, უპირველეს ყოვლისა მეფეს აძლევდა ხელს და ამ რელიგიის ჩვენში გავრცელების ინიციატორობაც სწორედ მან აიღო ხელში.

ვინ იცის იქნებ მწარმოებელ საზოგადოებასაც ხელს აძლევდა მხოლოდ ერთი ღმერთისა და არა მრავალი ღმერთის სამსახური? იქნებ ეკონომიკურად ეს უფრო ადვილი იყო? მაგრამ ღმერთთა რაოდენობის შემცირებით მიღწეული ეკონომიკური მოგება ფერმკრთალდებოდა იმ დანაკარგთან შედარებით, რაც ათასწლობით დამკვიდრებულ ადათ-წესების მსხვრევას უნდა მოჰყოლოდა.

2. საიქიო ცხოვრება.

წარმართული სარწმუნოებით საიქიო სააქაო ცხოვრებას იმეორებდა. იქ, ისევე როგორც სააქაოში, არსებობენ მდიდრები და ღარიბები, მათ შორის ზუსტად ისეთივე ურთიერთობაა, რაც სააქაოში: მდიდრები მდიდრულად ცხოვრობენ, ღარიბები ღარიბულად. საიქიოს ადამიანს სააქაოელი ადამიანის ყველა თვისება აქვს. ამიტომ წარმართული საიქიო მიმზიდველი არ არის. იქ აქაური ცხოვრების მდგომარეობა მიგყვება. საზოგადოების უდიდესი ნაწილი – მწარმოებლები, ძრწოლით ელიან სიკვდილს.

ქრისიტიანობა ამ მსოფლმხედველობის სრულიად საწინააღმდეგოსა და თანაც საზოგადოების უმრავლესი ნაწილისათვის მისაღებ აზრს ქადაგებდა:

1) საიქიოში სულები მიდიან
2) საიქიოში მისულები ხარისხდებიან სააქაოში მათი ცხოვრების ნირის მიხედვით: ღარიბები, პატიოსნები, მომთმენები, თვინიერები და ქრისტეს მოძღვრების მიმდევრები სამოთხეში ხვდებიან, ხოლო ისინი ვინც აქ მდიდრულად ცხოვრობენ, სხვას ჩაგრავენ, ითვისებენ სხვის ქონებას, შრომას და ა.შ. ჯოჯოხეთში (სატანჯველში) ხვდებიან. არ აქვს მნიშვნელობა ქრისტიანობას აღიარებს თუ არა. საიქიო პატიოსანი ადამიანისათვის ბედნიერი ცხოვრების ადგილია.
3) წარმართობა ნაწილობრივ სისხლის აღრევას უშვებდა. ძველ საქართველოში შეიძლებოდა, რომ კაცს ძმის შვილი შეერთო ცოლად. მაგალითად ქართლის მეფის, ფარსმან I-ის ასული ცოლად ჰყავდა მითრიდატს, ფარსმანის ძმას.

ქრისტიანობა ამას უარყოფდა. მართლმადიდებელი ქრისტიანობა ახლო ნათესავებს შორის ქორწინებას სასტიკად კრძალავს. მეტიც, ერთი გვარის შვილებში ქორწინებაც აკრძალულია თუ მათი საგვარეულო შტოებს შორის რამდენიმე თაობა მაინც არ არის გასული.

ეს დიდი ზნეობრივი უპირატესობა იყო წარმართობასთან შედარებით.

4) მიცვალებულის დასაფლავება.

წარმართი მიცვალებულის დასაფლავება უდიდეს ეკონომიკურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. მიცვალებული რაც შეიძლება მდიდრად უნდა „წამდგარიყო" წინაპრებთან. მას თან ატანდნენ ყველაფერ კარგს, რაც აქ ეკუთვნოდა: ეტლს, მონებს, ნაირ-ნაირ იარაღს და ძვირფასეულობას. ასე იკარგებოდა მიწაში მთელი სიმდიდრე.

ქრისტიანობის შეხედულება მიცვალებულის განსვენებაზე მთლიანად ცვლის ვითარებას. მიცვალებული რაც შეიძლება ღარიბად უნდა წარდგეს უფლის სასამართლოში, რათა სამოთხეში ცხოვრების უფლება მოიპოვოს.

5) **წარმართი ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია სამაგიეროს გადახდა,** შურისძიება. ლაჩრად ითვლება ის, ვინც ვინმეს შეურაცხყოფას აპატიებს და სამაგიეროს არ გადაუხდის.

ქრისტიანობა სრულიად საწინააღმდეგო აზრს ქადაგებს: კაცი არ მოკლა, ხოლო შეცოდებანი მიუტევეო, აპატიეო.

ეს იყო ნამდვილი გადატრიალება აზროვნებაში. მართალია ეს მოწოდება არასდროს საყოველთაოდ არ განხორციელებულა, მაგრამ მან ალბათ ბევრი ვინმე შეაყენა მკვლელობისაგან.

ბ) წარმართული სარწმუნოება ადამიანის მსხვერპლად შეწირვას არ ეწინააღმდეგებოდა. ლეონტი მროველის ცნობით რევ მართალის მეფობამდე ქართლში კერპებს მსხვერპლად ბავშვებს სწირავდნენ ხოლმე და რევმა აკრძალა ეს წესი[1].

რაც შეეხება ქრისტიანობას მისთვის ადამიანის მსხვერპლად შეწირვა წარმოუდგენელი იყო.

გასაკვირი არ არის, რომ ეს საკითხი იმდროინდელი ქართული საზოგადოების მსჯელობის საგნად გამხდარიყო და ქრისტიანობის სასრგებლო შეხედულება ჩამოყალიბებულიყო.

ჩამოთვლილი საკითხების შეპირისპირებიდან აშკარად ჩანს წარმართობისა და ქრისტიანობის განსხვავებული ხასიათები. ქრისტიანობას ისეთი თვისებები გააჩნდა, რომლებიც საზოგადოების ყველა ფენას იზიდავდა. გაბატონებულს – სოციალური თვალსაზრისით, ხოლო მწარმოებელს – ზნეობრივი თვალსაზრისით. ერის ანუ მწარმოებელი საზოგადოების დიდი ნაწილი, ალბათ, ამრეზით უყურებდა ქურუმებს, რომლებიც დროდადრო ცოცხალ ადამიანებს სწირავდნენ თავიანთ პატრონ ღმერთებს. რევ მართალი ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ჩამოყალიბებამდე გაცილებით ადრე ცხოვრობდა[2] და ეტ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 58.

[2] ლეონტი მროველის ცნობით რევსა და მირიანს შორის ეაჩებაკურ, მირდატ და ასფაგურ მეფეებს უცხოვრიათ. (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 58-59).

ყობა ქართულ საზოგადოებაში კარგახნის წინათ გაჩნდა ამ წესის ამოძირკვის აუცილებლობის მოთხოვნა. თუმცა საკითხავია საბოლოოდ ამოძირკვა კი იგი რეემა? ლეონტი მროველის სიტყვები „და ვიდრე იგი იყო მეფედ, არღარავინ კვლიდა ყრმათა კერპთათჳს“-ო[1] იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ მისი სიკვდილის შემდეგეს წესი კვლავ უნდა აღმდგარიყო. ასე, რომ IV ს.-ის 30-იან წლებში, როდესაც წარმართობის ქრისტიანობით შეცვლის საკითხი დადგა, წარმართობის მოძულების საქმეში მის სისხლიანი მსხვერპლის შეწირვის წესს დიდი როლი უნდა შეესრულებინა.

წარმართობის უარყოფითი ზნეობრივი პრინციპები პირველ რიგში მწარმოებელ საზოგადოების თავზე ტყდებოდა და საფიქრელია, რომ ქრისტიანობის სასარგებლოდ მისი განწყობა ამ მავნე ზნე-ჩვეულებებისაგან გაქცევას ნიშნავდა. ალბათ, ამით იყო გამოწვეული, რომ ქართლის ბარში, სადაც ქვეყნის სოციალური დაშლილობა IV საუკუნეში საკმაოდ შორს იყო წასული, ქრისტიანობის გავრცელებას მაინცდამაინც თვალში საცემი წინააღმდეგობა არ მოჰყოლია. რაც შეეხება ქართულ მთას აქ ქრისტიანობა ფეხს ვერ იმაგრებდა. რა თქმა უნდა, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

ახლა, რაც შეეხება ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების პოლიტიკურ მიზეზებს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ფაქტობრივ უზუსტობას ლეონტი მროველს ქრისტიანობის ქართლში გავრცელების პოლიტიკური მიზეზები ბრწყინვალედ აქვს გააზრებული. მისი ცნობით სპარსეთის წინააღმდეგ ჯარის შეგროვების მიზნით ჩრდილოეთ კავკასიაში წასული ასფაგურ ქართლის მეფე, იქ გარდაიცვალა. ასფაგურ მეფეს

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 58.

ვაჟი არ ესვა და მხოლოდ ერთი ქალიშვილი დარჩა. ასფაგური უკანასკნელი ფარნავაზიანი[1] მეფე ყოფილა[2].

რაკი ქართლის სამეფო დინასტიის მამრობითი სქესის წარმომადგენლები აღარ დარჩნენ, ქვეყნის დიდებულებმა სპარსეთის მეფის ვაჟის დასიძება გადაწყვიტეს. ამით ორი საქმე კეთდებოდა: ა) ასფაგურის სახლის მეფობა კვლავ გაგრძელდებოდა, რადგან ქვეყნის „მემამულე“ ასფაგურის ასული იქნებოდა და ბ) სპარსეთთან ნანატრ მშვიდობას დაამყარებდნენ[3]. ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც გადაწყვიტეს და ასფაგურის ასულს ქმრად ირანის შაჰის შვიდი წლის ვაჟი მირიანი მოჰგვარეს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მირიანის წარმომავლობის ამბავი, რომელიც ლეონტი მროველს აქვს აღწერილი, საეჭვოდ არის მიჩნეული. მაგალითად, აკადემიკოსი მელიქიშვილი თვლის, რომ გადმოცემა მირიანის ასეთი წარმოშობის შესახებ მიზნად უნდა ისახავდეს მირიანისათვის დიდი წინაპრების მოძებნას[4].

ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერის ვ. თუმანოვის აზრით მირიანი იყო ირანის ერთ-ერთი დიდი გვარის მიჰრანის შვილი და არა ირანის უფლისწული[5].

შეიძლება ლეონტი მროველის მიერ შეთხზული მირიანის ცხოვრების ზოგიერთი ფაქტი სინამდვილეს მართლაც

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 63, 59.

[2] იქვე, ტ. I, გვ. 63, 66.

[3] იქვე, გვ. 62-63.

[4] გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის. იხ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. თბილისი, ტ. IV, ნაკვ. I, 1958 წ., გვ. 162.

[5] C. Toumanoff. Studies in Christian Caucasian History. Georgetown University Press, 1963 წ., გვ. 83; შენ. 105 (იქვე).

სცილდება, მაგრამ ისტორიის განვითარება გააზრებულია ძალზე კარგად. ამ საკითხზე ვრცელ მსჯელობას არ ვაპირებთ, რადგან ჩვენი კვლევის სფეროს სცილდება. მთავარია, რომ თვითონ მირიანი – ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე, ნამდვილად არსებული პირია და უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის ახალი რელიგიის მიღებასა და ამ რელიგიის შესაბამისად, ახალი პოლიტიკური ორიენტაციის არჩევაში.

თუ მირიანი მართლა სპარსელი იყო და მისი დასიძებაც მართლაც ისე მოხდა, როგორც ეს ლეონტი მროველს აქვს აღწერილი, მაშინ ასფაგურ მეფის ასულს უაღრესად ჭკვიანი პოლიტიკური მესვეურები ჰყოლია, რაც კარგად ჩანს მირიანის მამისადმი წაყენებულ მათ მოთხოვნაში.

მაეჟან სპასპეტი, მეთაური ქართლის ერისთავებისა, აცხადებს, რომ თუკი სპარსთა მეფე მოგვცემს ვაჟს, რათა ჩვენი მეფის ასულზე დავაქორწინოთ მოვითხოვოთ მისგან „დამჭირვასა სჯულსა ზედა მამათა ჩუენთასა, და ვითხოვოთ ჩვენ თანა არა აღრევასა სპარსთა და წარჩინებულად პყრობასა ჩვენისა... და უკეთუ სჯულსა მამათა ჩვენთასა მიგჯლებდეს, და ჩუენ ზედა სპარსთა წარჩინებულ ჰყოფდეს, და ნათესავსა მეფეთა ჩვენთასა მოსწყუედდეს, მაშინ სიკუდილი უმჯობეს არს თაეთა ჩუენთათჳს ვიდრე მონახვასა ესევითარისასა“[1].

ამრიგად, ქართველი წარჩინებულები სპარსთა მეფისაგან ითხოვენ სამ რამეს:

1) მამაპაპური სჯულის ანუ სარწმუნეობის შენარჩუნებას;

---

[1] ქართლის ცხოვრება, გ. I, გვ. 62-63.

2) სპარსელებში აღურეელობას, ე.ი. ძალით გათქვეფას;

3) მათთვის ე.ი. ქვეყნის დიდებულებისათვის წარჩინებული მდგომარეობის შენარჩუნებას.

ამრიგად, მაეჟან სპასპეტის აზრით შეიძლება, თუ გამოუვალი მდგომარეობაა, უცხო მეფის შვილი გაიმეფო, მაგრამ ამისათვის ადგილობრივ ხალხს სამი უმთავრესი პირობა მაინც უნდა შეუსრულდეს. ეს ამ ხალხის ღირსების საკითხია და თუ ეს პირობები დაირღვევა, სჯობს ციხეებსა და ქალაქებში ჩავიკეტოთ და „მოვსწყდეთ (ალბათ ბრძოლებში) ყოველნი“-ო[1].

მირიანის მამამ ქართველ წარჩინებულებს ყველა სათხოვარი პუნქტის აღსრულების პირობა მისცა და თავისი ვაჟი ქართლში მეფედ დასვა. თანაც მას 7000 მხედარი პირად მცველად დაუტოვა. ისინი მცხეთაში, ქართლის სატახტო ქალაქში, დაბინავდნენ. სპარსელებმა „კარნი და ციხენი და ქალაქნი ყოველნი“ დაიპყრეს.

მეფემ ბრძანა, რომ მირიანს პატივი ეცა როგორც მამაპაპურ ცეცხლისმსახურებისათვის ისე ქართველების კერპებისათვის[2].

ამრიგად, ქართლის მეფე მირიანი რელიგიურადაც და პოლიტიკურადაც ირანზეა ორიენტირებული. ეს იმით არის გამოწვეული, რომ წარმოშობით ირანელია, მისი მშობლიური რელიგია ცეცხლის მსახურებაა, მაგრამ ასფაგურის ასულის აბეშურას ქმარია (მასზეა დაწინდული), ქართლის მეფეა და ადგილობრივ კერპებსაც პატივი უნდა სცეს. იმ ხანებში ვერავინ იფიქრებდა, რომ ტომით და სარწმუნეობით

[1] იქვე, გვ. 63.

[2] იქვე.

სპარსი მირიანი პირველი ქრისტიანი მეფე გახდებოდა.

მირიანი და მისი სპარსული გარემოცვა კარგად ასრულებდნენ ქართველებსა და სპარსელებს შორის დადებულ პირობებს. ქართლის საზღვრები თანდათან მტკიცდება, მირიანი კეთილად ემსახურება კერპებსაც და ცეცხლსაც, სწავლობს ქართულ ენას, ამკობს კერპებს და ბომონებს, კეთილად ექცევა კერპების ქურუმებს. მემატიანის სიტყვით კერპთა მსახურებაში მან ყველა მეფეს გადააჭარბა. ამას გარდა ფარნავაზის საფლავიც შეამკო[1].

ერთი სიტყვით მირიანი ნამდვილი ქართლის პატრონია. ოღონდ პოლიტიკური ორიენტაცია ირანზე აქვს აღებული. იგი ირანელია და, რაც მთავარია, მათი მეფის უფროსი ვაჟია. მას ირანში გამეფების იმედიც აქვს[2].

მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – მირიანს რომ 15 წელი შეუსრულდა გარდაიცვალა მისი ცოლი აბეშურა. რა თქმა უნდა, მირიანსა და მას შვილი არ დარჩენიათ. მაშინ მირიანმა ცოლად შეირთო რომაელი ქალი პონტოდან, ასული ოლიღოლოტოსის, სახელით ნანა[3]. ეს, ერთი შეხედვით, დიდს არაფერს ნიშნავს, მაგრამ შემდეგში გარკვეულ როლს შეასრულებს მირიანის რელიგიურ-პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებაში.

ამასობაში ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 65.

[2] ირანის ტახტისადმი თავისი დამოკიდებულება მამის გარდაცვალებისთანავე გამოხატა, როდესაც ირანის დედაქალაქისაკენ გაემგზავრა ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით. მან თავისი სურვილი მასსა და მის ძმას, ბარტამს შორის ჩამდგარ ბჭეთაც განუცხადა. მაგრამ რაკი იგი მხეელის ნამობი იყო, ბარტამი კი ინდოეთის მეფის ასულის ხელში გაუჩნდა მამამისს, ამ უკანასკნელის ანდერძითვე, ირანის მეფედ ბარტამი დაადგინეს. (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 66-67).

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 66.

ლეთში ძალიან საყურადღებო ამბები ხდება. III ს.-ის პირველი მეოთხედიდან ირანში გაბატონებულმა სასანური დინასტიის წარმომადგენლებმა არდაშირმა (224-241 წწ.), შაბურ I (241-272 წწ.) და სხვ. რომთან ბრძოლებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. რომმა ირანელების იერიშები მხოლოდ III ს.-ის 80-იან წლებში შეაჩერეს და 283 წელს სასურველი ზავიც დადეს ირანთან. რომაელებმა მიიღეს მესოპოტამია და სომხეთი. ქართლი, როგორც ჩანს, კვლავ ირანელთა გავლენის სფეროში რჩებოდა[1]. მაგრამ 298 წლის ნისიბინის ზავით რომმა მძიმე მარცხი აგემა ირანს. ირანის მეფე ნარსე (293-302 წწ.) იძულებული გახდა რომისთვის სომხეთი, ჩრდილოეთ მესოპოტამია და სხვ. ადგილები დაეთმო[2]. ნისიბინის ორმოცწლიანმა ზავმა სცნო რომის უპირატესობა სომხეთსა და იბერიაზე. ზავის პირობების თანახმად, ქართლის მეფეს სამეფო ნიშნები რომიდან მოდიოდა[3].

ამან ქართლის მდგომარეობა სრულიად შესცვალა. შესაძლებელი გახდა ქართლის პირდაპირი დიალოგი რომის იმპერიასთან. მაგრამ საქმე მარტო ამაში არ იყო. ამ დროს რომის იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა მიიღო და ირანის ლაშქარიც დაამარცხა, რომელშიც ქართველთა ლაშქარიც ერია. ქართველ მემატიანეს ეს გამარჯვება ქრისტეს ძალით მოპოვებულ გამარჯვებად მიაჩნია[4]. ყოველ შემთხვევაში რომის პროპაგანდა, ალბათ, ძალ-ღონეს არ დაიშურებდა, რათა ეს თვალსაზრისი თაეის მეზობელ ქვეყნებში გაევრცელებინა.

---

[1] ლ. ჯანაშია. ქართლი IV ს. პირველ ნახევარში. ქრისტიანობის გა-მოცხადება სახელმწიფო სარწმუნოებად. კრ. „საქართველოს ისტორიის ნარ-კვევები" ტ. II, გვ. 58.

[2] История Ирана. М. 1977 წ., გვ. 112

[3] ლ. ჯანაშია, ქართლი IV ს. პირველ ნახევარში... გვ. 59.

[4] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 70.

ყოველ შემთხვევაში ირანის ლაშქარი და მირიანი კონსტანტინე კეისარს დაუმარცხებია. მემატიანე გვაუწყებს, რომ მირიანი კეისრის ქართლზე თავდასხმას ელოდა და, რაკი ლაშქარი ომში ამოწყვეტოდა, კონსტანტინეს მოციქული გაუგზავნა და „ითხოვა მისგან მშვიდობა, და აღუთქვა მას მსახურება და განდგომა სპარსთაგან და შემდგომა მისდა“[1].

ეს არის ძველი ქართველი მემატიანის ბრწყინვალე მეცნიერული ინტუიციის გამოკაშკაშება. არ ვიცით რა საბუთებს ეყრდნობა იგი, როდესაც ქართლის მდგომარეობის ასეთ სურათს იძლევა, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ იგი ზედმიწევნით სწორ ანალიზს უკეთებს შექმნილ მდგომარეობას. ეს არის მირიანის პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილების ამსახველი მშვენიერი ფაქტი. იგი მოციქულის პირით კეისარს სამსახურს ე.ი. მორჩილებას და სპარსელებისაგან განდგომას სთავაზობს, თუ რომის სახელმწიფო სპარსელებთან მოკავშირეობის გამო, მის ქვეყანას ზიანს არ მიაყენებს.

ამრიგად, გაქრისტიანებამდე გაცილებით ადრე მირიანი რომის იმპერიის ორიენტაციის მქონე გახდა. იგი იძულებული შეიქმნა ასე მოქცეულიყო. ირანს, სადაც მეფედ მისი ძმა იჯდა, კეისარმა ის ის იყო მარცხი აგემა და ახლა ქართლს, როგორც ირანის მოკავშირეს, კარგს არაფერს დამართებდა. მირიანმა დიპლომატიურად გამართული, მაგრამ პოლიტიკურად მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა: კეისარს ირანისაგან განდგომისა და მის მორჩილების სურვილი შეატყობინა.

---

[1] ქართლის ცხოვრება, გვ. I, 70.

ქართველ მემატიანეს ზედმიწევნით სწორად ესმის ვითარება. მიაჩნია, რომ კონსტანტინემ გაითვალისწინა ქართლის სამეფოს როლი მომავალში ირანთან ბრძოლის საქმეში და მირიანის წინადადება მიიღო. რომსა და ქართლს შორის ახლად დამყარებული ურთიერთობის მტკიცედ შესანარჩუნებლად კეისარმა მირიანს ვაჟი (ბაქარი) მძევლად გამოართვა[1]. ეს, ირანის ყოფილი მოკავშირე ქართლის რომის ყმადნაფიცად გადაქცევას ნიშნავდა.

მირიანის მიერ რომის იმპერიაზე აღებულ ორიენტაციას მას შემდეგ უფრო განუმტკიცდა საფუძველი, რაც კეისარმა იგი სომხეთის მეფე თრადტანაც მოარიგა და მასთან სახელმწიფოს საზღვრებიც მოუწესრიგა[2].

მაგრამ რომის იმპერიას სხვა საშუალებების გააჩნდა, რითაც ქართლისათვის ირანისაკენ მიმავალი გზების მოკვეთა შეეძლო. მემატიანის სიტყვით სპარსელი მირიანი პოლიტიკური თვალსაზრისით უკვე ქართველია. მირიანი, მემატიანის სიტყვით, უკანასკნელი ფარნავაზიანი მეფის, ასფაგურის ასულის ქმარია და, რაკი მისი ცოლი აბეშურა ადრე გარდაიცვალა, იგი ქართლის „მემამულედ“ იქცა. ქვრივ მირიანს კი პონტოელი ქალი შერთეს ცოლად.

მაგრამ ეს ქალი რომაელია, ე.ი. რომის იმპერიიდან არის. იგი ოლიღოტოსის ასულია[3]. ამ ქალმა, როგორც ჩვენ გვეჩვენება, დიდი როლი ითამაშა შემდგომში მირიანის ქრისტიანობაზე მოქცევის საქმეში.

ამის გარდა არ შეიძლება არ მოვიგონოთ ნინო კაბადოკიელის საქართველოში მოსვლის რელიგიურ-პოლიტიკური

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 70.

[2] იქვე.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 66.

მიზანი. ის აშკარად იერუსალიმის პატრიარქის „კაცია“. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ნინო იმავე პატრიარქის დისშვილია[1]. სწორედ იერუსალიმის პატრიარქმა აკურთხა იგი, როგორც ქრისტიანობის მქადაგებელი და მისი მფარველობაც ღმერთს შეაევედრა[2].

არავინ იცის, რა დავალებით გაისტუმრა ნინო პატრიარქმა ჩრდილოეთში, ე.ი. საქართველოში. თითქოს მას მხოლოდ ქრისტეს კვართის ამბავი აინტერესებს[3], რაც ძნელი დასაჯერებელია. იგი იმთავითვე ქრისტიანობის მქადაგებლის უდიდესი ჟინით არის შეპყრობილი და ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა უკვე რომის დედოფალ ელენეს გაქრისტიანებასაც აპირებს[4]. ასეთი ადამიანი მხოლოდ ქრისტეს კვართის მცხეთელი ებრაელების მიერ წაღების შესახებ არსებული ლეგენდის გასაცნობად ასეთ შორეულ ქვეყანაში წასვლას არ მოინდომებდა.

ნინო, ნებით თუ უნებლიედ, რომის იმპერიის ინტერესების გამტარებელია საქართველოში. ჩვენ არ ვიცით საქართველოში წამოსვლის წინ მან იმპერიის კარიდან მიიღო თუ არა რაიმე მითითებები თუ დავალებები თავისი საქმიანობის შესახებ. „ქართლის მოქცევის“ ავტორს ამის შესახებ რაიმე ცნობა დაცული არ აქვს. მაგრამ ის კი ვიცით, რომ ნინო ელენე დედოფალთან შეხვედრას აპირებდა. „ქარ-

---

[1] იქვე, გვ. 75-76.

[2] იქვე, გვ. 79-80.

[3] იესო ქრისტეს სამოსლის ბედით ნინო ჯერ კიდევ იერუსალიმში ყოფნისას დაინტერესდა და სარა ნიაფორისაგან მცხეთასა და ქართლის ქვეყანაზე საგანგებო ცნობებიც შეაგროვა. შემდეგ, მცხეთაში მოსულმა, აქაურ ებრაელებს შორის კვართის შესახებ არსებული ცნობების შეგროვება კელავ გააგრძელა (იქვე, გვ. 79, 94-95).

[4] იქვე, გვ. 79.

თლის მოქცევის“ ავტორის მიხედვით მას დედოფლისათვის ქრისტიანობის ქადაგება ეწადა. მაგრამ, სინამდვილეში რა მოხდა არავინ იცის. საერთოდ, ელენე დედოფალი ცნობილია, როგორც ქრისტიანული მოძრაობის მფარველი და ახალი რელიგიის გავრცელებაშიც დიდად იყო დაინტერესებული. არ არის გამორიცხული, რომ ნინო მართლაც შეხვდა მას და საგანგებო დავალებაც მიიღო საქართველოში მისი მომავალი მოღვაწეობის შესახებ. სხვანაირად, ძნელი ასახსნელია ის სიახლოვე, რომელსაც იგი აღმოსავლეთ რომის სამეფო კართან ამჟღავნებს მირიანის მიერ ქრისტიანობის აღიარების შემდეგ. აღიარა თუ არა ქრისტიანობა, მეორე დღესვე „წარაველინა მოციქულნი საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კონსტანტინე ბერძენთ მეფისა და წიგნი ნინოსი ელენე დედოფალსა წინაშე“-ო – წერს მეტატიანე[1].

ყოველად წარმოუდგენელია, რომ წინასწარი ნაცნობობისა და, მითუმეტეს, შეთანხმების გარეშე ნინოს მირიანის ქრისტიანობისაკენ მიბრუნება დედოფალ ელენესათვის შეეტყობინებინა. კონსტანტინე იმპერატორთან გაგზავნილ მირიანის მოციქულებს თან ნინოს წერილიც მიაქვთ, რაც, ალბათ, ქართლში ქრისტიანობის ძლევამოსილ მსვლელობაზე მოუთხრობდათ იმპერატორსა და მის ახლობლებს.

ქართლის მეფისა და ქართული სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლაში ნინო აქ მცხოვრებ ებრაელებს ეყრდნობა. ქართული ენისა და ზნე-ჩვეულებების უცოდინარი უცხოელი ქალი ებრაელებში აგროვებს ადგილობრივი ხალხისა და მათი სარწმუნოების შესახებ არსებულ ყოველგვარ ინფორმაციას. საოცარია, რომ ქართლის სარწმუნოების ბედს

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 111.

უცხოელები ნინო კაბადოკიელი, ნანა დედოფალი – ეროვნებით „ბერძენი“, ირანელი მირიანი და ნინოს ებრაელი მოწაფეები თუ მეგობრები წყვეტენ. ყველა ისინი საგარეო ძალასთან – აღმოსავლეთ რომის იმპერიასთან არიან კავშირში.

ამრიგად, მირიანის ორიენტაცია რომზე თავმოხვეული იყო თვით რომის იმპერიის ფარული თუ ხილული ღონისძიებებით. 337 წელი – მირიანის მიერ ქრისტიანობის აღიარება, ამ ორიენტაციის საბოლოო გაფორმება იყო.

მაგრამ მეფის მიერ ქრისტიანობის აღიარება მის საზოგადო გავრცელებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. წლები იყო საჭირო, რომ მთელი ქვეყანა ახალ რელიგიას მოეცვა. როგორ წარიმართა ქრისტიანობის ისტორია 337 წლის შემდეგ?

ქართლის გაქრისტიანების საქმე მირიანის მიერ ქრისტიანობის აღიარების შემდეგ საოცარი სწრაფად წარიმართა. ქართლში მომხდარი ამბის შეტყობინების შემდეგ მირიანმა და, რა თქმა უნდა, ნინომ იმპერატორისაგან „ითხოვნეს მოსწრაფებით მღვდელნი ნათლისღებისათვს“[1].

აქ ქართლში კი ნინო დროს არ ჰკარგავდა და თავის მოწაფეებთან „ქადაგებდეს ერსა მასზედა და ღამე დაუცხრომლად, და უჩუენებდეს გზასა ჭეშმარიტისა სასუფეველისასა“[2].

მერე კი, კონსტანტინეპოლიდან „მღდელთა მოსვლამდე“ იწყეს ეკლესიის მშენებლობა მცხეთაში. პირველი ეკლესია იმ ადგილზე აშენდა, სადაც ნინოს თავისი სადგომი

[1] იქვე. გვ. 117; მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ისტორია, გვ. 172.

[2] იქვე. გვ. 111.

ჰქონდა მოწყობილი[1].

ამასობაში კონსტანტინეპოლმა ქართლს მოთხოვნილი საეკლესიო პირები მოუვლინა. ესენი იყვნენ: ეპისკოპოსი იოვანე, ორი მღვდელი და სამი დიაკვანი. ამას გარდა „წარმოსცა ჯუარი და ხატი მაცხოვრისა“. რაც მთავარია გამოუგზავნა „ნიჭი დიდი“ ე.ი. დიდი საბოძვარი, დიდი სიმდიდრე[2].

ეს არ იყო ჩვეულებრივი ღონისძიება. საბოძვრის, სიმდიდრის, თანაც დიდის გამოგზავნა აწ უკვე ქრისტიანული ქართლის ეკონომიკური ბაზისის აშენებაზე ზრუნვას ნიშნავდა. შემდგომში მირიანისა და ნინოს საქმიანობაში კარგად გამოჩნდა რომის იმპერიის ეკონომიკური მხარდაჭერის მნიშვნელობა. მას შემდეგ, რაც მირიანმა და მისმა ოჯახმა ნათელიღეს, მირიანმა თავისი დიდმოხელეებიცა და ხალხიც მოანათვლინა. „ქართლის მოქცევის“ ავტორის მიხედვით თითქოს ადამიანები ერთმანეთს აწყდებოდნენ, რათა პირველი ის მოენათლათ. მისივე სიტყვით ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ნინო უცხადებდა: ვინც არ მოინათლება საუკუნო ნათელს ვერ იპოვის ე.ი. სამოთხეში ვერ მოხვდებაო. ამის გამო „ნათელ-იღეს ყოველმან ერმან და სიმრავლემან ქართლისაგან“[3].

ქრისტიანობა ვრცელდება დიდი სისწრაფით. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ მასზე უარი განაცხადეს „მთიულთა კავკასიანთა“, მცხეთელმა ებრაელებმა (ქრისტიანობა მხოლოდ ბარაბიანების 50-მა სახლმა მიიღო), მირიანის სიძემ ფეროზმა და მისმა ხალხმა. მთავარი ის იყო, რომ ახალი

---

[1] იქვე.
[2] იქვე.
[3] იქვე.

რელიგია აღიარა „სიმრავლემან ქართლისამან“.

კონსტანტინეპოლის სურვილი ქართლში წარმატებით ხორციელდება. წარმოშობით რომაელი ეპისკოპოსი იოანე იმპერიის ფულით ქართლის მიწაზე მნიშვნელოვან ეკლესიებს (ერუშეთში, წუნდაში, მანგლისში) აშენებს. ეკლესია შენდება მცხეთაშიც. ერთი სიტყვით ქრისტიანული გადატრიალება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ეს არ არის გასაკვირი. ახალი რელიგიის გავრცელების ინიციატივა თვით მეფეს ეკუთვნის და ძლევამოსილ რომთან კავშირში, საკმაოდ წარმატებით უძღვება საქმეს.

ქრისტიანი მეფისა და მისი ნიჭიერი ინსტრუქტორის, ნინოს მიზანსწრაფვა კარგად გამოჩნდა იმ ერთობლივ ღონისძიებაში, რომელსაც ქართველ მთიელთა გაქრისტიანება ედო საფუძვლად. როდესაც ჭართალელებმა, ფხოველებმა, წილკნელებმა და გუდამაყრელებმა არ უსმინეს მათ ქადაგებას და მამაპაპურ სარწმუნოებაზე დარჩენა ისურვეს, მეფის ერისთავმა და ნინომ მათი კერპები დაუნდობლად დაამსხვრიეს[1].

ეს იყო კატასტროფა. ქართლის მეფე, რომელიც უპირველესი მოვალე იყო დაეცვა თავისი ხალხის სარწმუნეობა, როგორც მტერი თვითონვე ანადგურებდა მათ ღმერთებს. ამის საპასუხოდ ზოგიერთმა ხალხმა (მაგ. ფხოველებმა) უკიდურეს ზომას მიმართეს – თავისი ქვეყნიდან თუშეთს გადაიხვეწნენ.

მაგრამ მეფე მირიანს ხმლისა და სახარების გარდა სხვა საშუალებებიც ჰქონდა გაუტეხავი კუთხეების დასათრგუნად. მაგ. მან იცოდა და კიდეც გამოიყენა ხარკის დამძი-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 125; მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. I, თბილისი, 1996 წ., გვ. 170.

მების ღონისძიება. ასე შედიოდა იგი თავისი მშობლიური რელიგიის ერთგულ ხალხში. ცხადია, ამავე მეთოდებით მოქმედებდა მირიანი ქვეყნის სხვა კუთხეებშიც, თუ რა თქმა უნდა, მსგავს წინააღმდეგობას წააწყდებოდა.

„ქართლის მოქცევის“ ავტორის მიხედვით მირიანისა და ნინოს ერთობლივ საქმიანობას ქართლისა და ჰერეთის გაქრისტიანება მოჰყოლია. ეს იყო ქართლის სრული შემობრუნება რელიგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით. ქართლი უკვე რომის სახელმწიფო რელიგიის ყაიდაზე გადაეწყო – ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას საფუძვლად ქრისტიანული მსოფლმხედველობა დაედო, განადგურდა მცხეთაში მდგომი ქართლის უპირველესი კერპები, შეიმუსრნენ მთიელთა ღმერთებიც.

რომის იმპერიის ცენტრი, ალბათ, გაფაციცებით ადევნებდა თვალს ქართლში მიმდინარე მოვლენებს. მას აქ იმპერიიდან გამოგზავნილი ინფორმატორი ჰყავდა საეკლესიო პირების სახით და ქართლის სახეცვლილებასაც თავისებურ შეფასებას აძლევდა. ყოველივე იმის სამაგიეროდ, რაც ქართლში მოხდა, იმპერიამ მირიანს ადრე მძევლად წაყვანილი ძე ბაქარი დაუბრუნა.

მირიანისადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც „მოქცევაი ქართლისა“-ს ავტორს აქვს შეტანილი თავის თხზულებაში, იმპერატორი აღნიშნავს, რომ რაკი მირიანი უკვე გაქრისტიანდა, რომსა და მას შორის მძევალი საჭირო აღარ არის. ქართლსა და იმპერიას ამიერიდან ქრისტე და ჯვარი დააკავშირებს[1].

ქართველი მემატიანის მიერ მიმდინარე მოვლენების გააზრება რომ სინამდვილეს შეესაბამება ეს კარგად ჩანს

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 128.

იმ ცნობიდან, რომელიც გელასი კესარიელს შემოუნახავს. მისი სიტყვით იბერიის გაქრისტიანების ამბავს იმპერატორი კონსტანტინე სიხარულით შეხვედრია. იგი წერს: „ამავე დროს მას (კარგად) ესმის, რომ ეს არის ნიში ღმერთისა, რომელიც უცხოთესლთ უქვემდებარებს მას“[1].

მეფე მირიანის მსოფლმხედველობა და რელიგიურ-პოლიტიკური ორიენტაცია შესანიშნავად ჩანს მის ანდერძში. განსაკუთრებით ის ადგილია საყურადღებო, სადაც იგი თავის მამაპაპეული სარწმუნოების – ცეცხლის მსახურებისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს. იგი თავის მემკვიდრე ბაქარს უბარებს: „სადა პოვნე ვნებანი იგი ცეცხლისანი კერპნი, ცეცხლითა დაწუენ და ნაცარი შეასუ რომელნი მათ ესვიდნენ. და ესე <u>შვილთაცა შენთა ამცენ</u>“[2].

ე.ი. სადაც კი ის მავნე ცეცხლის თაყვანისმცემლობის კერპები ნახო ცეცხლით დაწვი და ნაცარი მათვე შეასვი ვინც მათ ემუდარებიან (მათზე ლოცულობენ)[3]. ეს შენს შვილებსაც გადაეციო.

რაც შეეხება ქრისტიანობას, მირიანი თავის ცოლშვილს მასზე ზრუნვას ავალებს.

მირიანის გარდაცვალების[4] შემდეგ ქართლის სამეფოს

---

[1] გეორგიკა, ტ. I, გვ. 105; ლ. ჯანაშია, ქართლი IV ს. პირველ ნახევარში... საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 71.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 129-130.

[3] გ. სანაძისა და ნ. შომიაშვილის მიერ გამოცემულ ქართლის ცხოვრებაში (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1994 წ.) ეს ადგილი თანამედროვე ქართულ ენაზე ასეა გადმოგანილი: „სადაც იპოვო საზიანო იგი ცეცხლთაყვანისმცელობის კერპი, ცეცხლითვე დაწვი და იმ ნაცრად აქციე, რა ნაცარიც თვითონ არიან. და ასე შვილთა შენთა ამცნე“ (გვ. 82).

[4] ლეონტი მროველის მიხედვით მირიანი ქრისტიანობის მიღებიდან ოცდამეხუთე წელს ე.ი. 362 (337+25=362) გარდაიცვალა. ამიანე მარცელინეს ცნობითაც მირიანი IV ს.-ის 60-იან წლებში მართლაც ცოცხალია და ახსენებს კიღეც (იხ. გეორგიკა, ტ. I, გვ. 101-102).

რელიგიური ვითარება ერთხანს არ შეცვლილა. ყოველ შემთხვევაში ბაქარ მირიანის ძე მამასავით მორწმუნე ქრისტიანი ყოფილა. მან ქრისტიანული სარწმუნოება ისეთ მხარეებშიც კი გააერცელა, რომლებიც მამამისს ვერ გაექრისტიანებინა[1]. უფრო მეტიც, მან მირიანის სიძე ფეროზი და მისი ხალხიც ქრისტიანულ სჯულზე მოაქცია და სხვა[2].

თუმცა „ქართლის მოქცევიდან“ ისიც კარგად ჩანს, რომ ამ პერიოდში ქართლს ირანთანაც მშვიდობიანი ურთიერთობა დაუმყარებია. ამის საბაბად იქცა სომხების ჩარევა მის საქმეში. ისინი ბაქარს ტახტიდან ჩამოგდებას და მის ნაცვლად მისი ძმის, რევის ძის (რომელიც დედით თრდატ სომეხთა მეფის ასულის შვილი იყო) გამეფებას აპირებდნენ. ბაქარს, რა თქმა უნდა, ამის შერიგება არ შეეძლო და ირანს დაუახლოვდა. ამ პოზიციამ გაამართლა. ქართლმა ირანის დახმარებით სომხეთის რჩეულის, რევის ვაჟის, პრობლემა თავის სასარგებლოდ გადაჭრა[3].

ირანის გავლენის შეღწევა ქართლში[4], ალბათ, იმ პოლიტიკური ვითარების შედეგი იყო, რომელიც იმდროინდელ მახლობელ აღმოსავლეთში შეიქმნა. ცნობილია, რომ 360 წელს ირანელებმა რომთან ბრძოლაში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს და რომაელებმა მათი შეტევა მხოლოდ დაზამთრებისას შეაჩერეს. მაგრამ ისინი ვარაუდობდნენ, რომ ხელსაყრელი ამინდების დადგომისთანავე ირანელები კვლავ დაიწყებდნენ თავდასხმას[5].

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 130.

[2] იქვე, გვ. 131.

[3] იქვე.

[4] ირანის გავლენის შეღწევა ქართლში ამკარად ჩანს იმ ღონისძიებებშიც ბაქარსა და მის დის სიძეს მორის განხორციელებულ მიწების გაცვლაში რომ გამოიხატა (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 130-131).

[5] ამიანე მარცელინე, გეორგიკა, ტ. I, გვ. 101.

ირანელები შესამჩნევად შეავიწროვა იმპერატორმა იულიანემ, რომელიც 361 წელს ავიდა ტახტზე, მაგრამ 363 წ.-ს იგი ერთ-ერთ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა და კიდეც დაიღუპა. ახალმა იმპერატორმა იოვიანმა ირანელებთან ახალი, ნისიბინის ზავი დადო, რომლის ძალით ირანმა უკან დაიბრუნა ის მიწები ქ. ნისიბინითურთ, რომლებიც 298 წლის შეთანხმებით ჰქონდა დაკარგული[1]. ამას გარდა რომაელები პირობას სდებდნენ, რომ აღარ ჩაერეოდნენ სომხეთის საქმეებში და არ დაეხმარებოდნენ მათ ირანთან ომში[2].

368 წელს ირანის შაჰმა შაბურმა ქართლიდან გააძევა მეფე საურმაგი, რომელიც, როგორც ამიანე მარცელინე წერს, რომაელთა შემწეობით განაგებდა იმპერიას. მის ნაცვლად შაბურმა ქვეყნის „გამგეობა ვინმე ასფაგურს გადასცა. თანაც გვირგვინი დაადგა, რათა ჩვენი (ე.ი. რომაელების. ჯ. სტეფნაძე) გადაწყვეტილებებისათვის შეურაცხყოფა მიეყენებინა“[3].

აქამდე კი მან ხელთ იგდო სომხეთის მეფე არშაკ II და სარდალი ვასაკ მამიკონიანი.

369 წელს იმპერატორმა ვალენტმა სომხეთში არშაკ II-ის ვაჟი პაპი გაამეფა, რის პასუხად ირანმა სომხეთი ააოხრა. მაგრამ რომმა პაპის ჯარი მიაშველა და შაბური იძულებული გახდა სომხეთს გასცლოდა. რომი დაეხმარა აგრეთვე ქართლის ყოფილ გამგებელს საურმაგს. სარდალ ტერენციუსის მეთაურობით თორმეტი ლეგიონი მხედრობა მიახმარა და ქართლში შეგზავნა. ბოლოს მეფე ასფაგურმა მეტოქეს

[1] История Ирана, გვ. 112.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევი, ტ. II, გვ. 78.

[3] ამიანე მარცელინე, გეორგიკა, ტ. I, გვ. 125.

ქართლის გაყოფის წინადადება მისცა[1], რაზეც მეტოქეები შეთანხმდნენ კიდეც. იმპერატორი ვალენტი ქართლის ორად გაყოფის აზრს* დაეთანხმა, შაბური კი წინააღმდეგი წავიდა და საქმის გამოსწორება სამხედრო ძალით სცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა[2]. იგი შეურიგდა მდგომარეობას, მაგრამ ასფაგურისათვის მთელი ქართლის გადაცემის პრეტენზიას სხვა დროსაც აყენებდა[3].

ირანელებმა მთელ ქართლზე ბატონობა მხოლოდ IV ს-ის 70-იან წლებში აღადგინეს. „მოქცევაი ქართლისაი“-ს მიხედვით ირანელებმა თავიანთი მმართველობა ქართლში ვარაზ-ბაკურის დროს დაამყარეს. სწორედ მაშინ მოსულა ქართლში ირანის მეხელე პიტიახში ქრამ ხუარ ბორზარდი. „და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი“[4].

ამიანე მარცელინეს ასპაგური „მოქცევაი ქართლისაი“-ს ვარაზ-ბაკური უნდა იყოს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სპარსეთის პიტიახში მის დროს მოსულა ქართლში[5].

ვარაზ-ბაკური (იგივე ასპაგური) ქრისტიანობის მოძულე კაცი იყო. „მოქცევაი ქართლისაი“-ს მიხედვით იგი „იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა და ვერ იკადრებდა ერისაგან განცხადებად სჯულისა სიძულვილსა, რამეთუ

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 79.

* საზღვრად მდ. მტკვარი იდებოდა. საურმაგს არმენიისა და ლაზების მოსაზღვრე მხარე ეძლეოდა, ასფაგურს კი ალბანიისა და სპარსეთის მომიჯნავე ქვეყანა (იხ. ამიანე მარცელინე, გეორგიკა, ტ. I, გვ. 130.).

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 79.

[3] ამიანე მარცელინე, გეორგიკა, ტ. I, გვ. 140.

[4] მოქცევაი ქართლისაი, გვ. 91-92.

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 80.

მოქცეულ იყო ქართლი და დიდსა სარწმუნოებასა შინა იყვნეს აზნაურნი და ყოველი ვერ განაცხადებდა დატოვებასა სჯულისასა"[1].

თხზულების ავტორი გვაუწყებს, რომ მან ერთი ეკლესიაც კი არსად ააშენა და რაც აშენებულებს შემატა რამე. იგი ირანელებთან ბრძოლის არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა[2]. ცხადია, ირანთან ურთიერთობის ასეთი ხასიათი მისი რელიგიური ორიენტაციიდან გამომდინარეობდა. მას ქრისტიანობა არ სწამდა და რაღაც სხვა სარწმუნეობის ერთგული უნდა ყოფილიყო. აშკარაა, რომ მეფე, რომელიც ბრძანებდა ჯვრები არ გამოაჩინოთო[3], ქრისტიანი არ იყო. ვარაზ-ბაკური ადვილად შეურიგდა სპარსეთის ერისთავს და მას რანი და მოვაკანიც გადასცა[4].

რა სარწმუნეობა უნდა ელიარებია არაქრისტიან ვარაზ-ბაკურს? რა თქმა უნდა ცეცხლთაყვანისმცემლობა – სპარსული რელიგია. ცხადია, მისმა რელიგიურმა მსოფლმხედველობამ ჩაადენინა მას ყოველივე ის, რაც ქრისტიან მეფეს არ შეეფერებოდა. ამრიგად, ირანული რელიგიის ერთგულმა ვარაზ-ბაკურმა შეიმუშავა ახალი, მირიანისა და მისი ვაჟ ბაქარისაგან განსხვავებული ორიენტაცია – ორიენტაცია ირანზე. ეს იყო დროის შესაფერისი გეზი – იმ ხანებში ირანს ამიერკავკასიაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა და ვარაზ-ბაკურმა შექმნილ ვითარებას გაუწია ანგარიში.

რაკი ქართლის მეფე რელიგიურად და პოლიტიკურად

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 135-136.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 135.

[3] იქვე, გვ. 136.

[4] იქვე.

ირანის მომხრე გახდა, რომმა მას კლარჯეთი „ზღვიდან არსიანამდე“ და თუხარისი წაართვა[1].

პოლიტიკური თვალსაზრისით IV ს.-ის 70-იანი წლები, კერძოდ ვარაზ-ბაკურის მეფობა, ქართლში ირანის დამკვიდრების ხანად იქცა. მაგრამ იგიეე ხანა ქართლში ქრისტიანობისათვის დიდად საშიშ პერიოდად წარმოდგა. აღარ შენდებოდა ეკლესიები, მეფის ბრძანებით მალაედნენ ჯვრებს, და ა.შ. ქვეყანაში სრული ანტიქრისტიანული განწყობაა.

შემდგომ წლებში ირანელების ბატონობა კვლავ გრძელდებოდა. „მოქცევაი ქართლისაი“-ს თხზულების ავტორი შესანიშნავად ხედავს იმ ცვლილებებს, რაც თან სდევდა რელიგიიდან გამომდინარე პოლიტიკურ ორიენტაციათა ცვლილებებს. მაგალითად, ვარაზ-ბაკურის შემდგომ ქართლის მეფედ ქმნილი მისი სიმამრი თრდატი, ძმისწული მირიანისა, ძე რევისა[2] იყო ქრისტიანი, მან კვლავ „გამოაჩინა ჯუარნი და შეკაზმნა ეკლესიანი“. მან ააშენა რუსთავისა და ნეკრესის ეკლესიები[3].

პეტრე იბერის ასურულ ცხოვრებაში ვარაზ-ბაკურის შემდეგ ქართლის მეფედ ბაკურია მოხსენებული[4], ხოლო „მოქცევაი ქართლისაი“, როგორც ითქვა, თრდატს ასახელებს, მაგრამ ახლა ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს. უმთავრესი პროცესის თვალის გადევნება გაცილებით მნიშვნელოვანია.

---

[1] იქვე.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 137.

[3] იქვე

[4] Petrus der Iberer, Herausgegeben und ubersetzt von Richard Raabe, Leipzig, 1895 წ., გვ. 17-18; იხ. აგრეთვე გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, გვ. 170; ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს მესახებ. თხზულებანი, 1962 წ., გვ. 91-92.

აღნიშნულ მონაკვეთში ქართლი სპარსეთის მორჩილია. თრდატი „ხარკსა მისცემდა სპარსთა მეფესა“[1]. რაც შეეხება ბაკურს, პეტრე იბერის მამას, რომელსაც მისი ცხოვრების ასურულად აღმწერი ვარაზ-ბაკურის შემდეგ ქართლის მეფედ თელის, ისიც ირანის მორჩილია. იგი ერთერთ ომში ახლდა ირანის შაჰს[2].

ქრისტიანია და რომის იმპერიაზე ორიენტირებული ფარსმან ვარაზ-ბაკურის ძეც. იგი საიდუმლოდ დაუკავშირდა რომის იმპერატორს და მისგან სპარსელებთან ბრძოლაში მხარის დაჭერა ითხოვა. ამის იმედით მან სპარსელებს ხარკი შეუწყვიტა და „განამრავლინა ჯუარნი“, განაახლა ეკლესიები და ააშენა ბოლნისის ეკლესია[3]. ერთი სიტყვით სპარსეთის ყმა ფარსმანი ქრისტიანულ ბიზანტიაზე იღებს ორიენტაციას, როგორც ქრისტიანი და ამ რელიგიის აღმსარებელი. სამაგიეროდ, ურწმუნოა ე.ი. ქრისტიანობა არ სწამს მომდევნო მეფე მირდატს. ეს მირდატი ძალიან საინტერესო პიროვნებაა. ქრისტიანობა ხომ არ სწამს და არ სწამს, მაგრამ არც სპარსელები უყვარს[4] ე.ი. არც ცეცხლთაყვანისმცემელია. ქველი მხედარი კია. — მინდობილი იყო თავის მხედრობის ძალას. დიდი პატრიოტია. რომს იმიტომ ებრძვის, რომ კლარჯეთის დაბრუნებას აპირებს, სპარსელებს კი ხარკს არ უხდის. იგი არც ერთ რელიგიას არ სცნობს და ამიტომაც არც პოლიტიკური ორიენტაცია გააჩნია. იგი,

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 137.

[2] Petrus der Iberer, Herausgegeben und ubersetzen von R. Raabe. Leipzig, 1895 წ., გვ. 17-18.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 137-138; პეტრე იბერის ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ ფარსმანმა ბიზანტიელებს თეთრი პუნები შეუსია. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 82.

[4] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 138.

ალბათ, ქართლის ეროვნული კერპების ერთგული იყო. ეს დიდი ქართველი კაცი, სამწუხაროდ, ირანელთა ტყვეობაში დაიღუპა[1]. ეს ამბავი Vს. 20-იანი წლების დასაწყისით შეიძლება დათარიღდეს[2].

ნიშანდობლივია, რომ ყოველი ურწმუნო ე.ი. არაქრისტიანი მეფის რეჟიმის გადაჯარდნის შემდეგ მოსული მორწმუნე ე.ი. ქრისტიანი აჩენს ჯვრებს ე.ი. ნებას რთავს საზოგადოებას, რომ ილოცონ ჯვარზე. ამჯერადაც ასე მოხდა. ჯუანშერის სიტყვით ახალმა მეფე არჩილმა „გამოაჩინა ჯუარნი“ და „მოკაზმნა ეკლესიანი“[3].

მისი რელიგიური მრწამსი აშკარაა. ჩამოთვლილის გარდა მან „მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლის – მსახურნი საზღვარგარეთ ქართლისათა“. რაც მთავარია, მან ცოლი საბერძნეთიდან მოიყვანა. იგი იყო ნათესავი იებიმიანოს მეფისა, სახელით მარიამ“. შემდეგ კი დაიხმარა რომის იმპერიის ჯარი და სპარსელების წინააღმდეგ იწყო ბრძოლა[4]. ე.ი. ირანის ყმადნაფიცი, საერთაშორისო სამართალით მისი „საკუთარი“ ქართლი იმის გამო, რომ მისი მეფე ქრისტიანია, რომის მხარეზე გადის და სპარსეთს ებრძვის.

მაგრამ, როგორც ჩანს, არჩილი მთლიანად ვერ გათავისუფლდა ირანის ბატონებისაგან. ჯერ ერთი, რომ მისმა ვაჟმა მირდატმა ცოლად შეირთო რანის (არანის) ერისთა-

---

[1] იქვე, გვ. 138.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 83.

[3] იქვე, გვ. 140-142.

[4] იქვე, გვ. 140-142 ის სურათი, რომელიც „მოქცევაი ქართლისაი“-ს ავტორს აქვს მოგანილი არჩილის დროინდელი ქართლის მდგომარეობის ასასახად – „მოგუნი მოგუთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა შედა“ („მოქცევაი ქართლისაი“, გვ. 92), როგორც ჩანს არჩილის ირანის დიქტატიდან გასელამდე არსებულ ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

ვის ბარზაბოდის ასული საგდუხტი. ეს ქორწილი წმინდა პოლიტიკური ხასიათისა იყო, რაც ძალიან კარგად ჩანს მირდატის იმ სიტყვაში, რომლითაც მამამისს საგდუხტის შერთვის აუცილებლობა გაუმხილა.

ახლა რანს ჩვენ ვაოხრებთ, მაგრამ როდესაც სპარსეთი მოიცლის, მაშინ იგი ჩვენზე შურს იძიებს, ააოხრებს ეკლესიებს და ჩვენს საზღვრებს. ეს ქორწილი კი ჩვენში მტრობას მოსპობსო[1], – უმტკიცებდა იგი მამას.

არჩილს რელიგიის სფეროშიც ორჭოფული მდგომარეობა დაუკავებია. მას ეპისკოპოსად დაუნიშნავს კაცი სახელად მობიდანი, ეროვნებით სპარსი, რომელიც თავს ყველას მართლმადიდებლად აჩვენებდა, მაგრამ სინამდვილეში იყო უსჯულო მოგვი – ზოროასტრიზმის მღვდელი, ქრისტიანულ წესთა შემშლელი. თუმცა იგი აშკარად ვერ ამჟღავნებდა თავის ჭეშმარიტ რწმენას – ე.ი. ცეცხლთაყვანისმცემლობას[2].

ჯუანშერის ცნობით იგი ჩუმად წერდა წიგნებს „ყოვლისა საცთურებისასა, რომლებიც შემდეგ დაწვა ეპისკოპოსმა მიქაელმა[3].

მამის მსგავსად, მირდატ არჩილის ძე, რომლის მეფობა V ს.-ის 30-40-იან წლებზე უნდა მოდიოდეს[4], ქრისტიანობის ერთგულია. ჯუანშერი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ იგი „დიდსა სარწმუნოებასა შინა“ მეფობდაო[5].

თუ V საუკუნის 40-იან წლებამდე ირანის პოლიტიკას ამიერკავკასიის ხალხებთან ურთიერთობაში უფრო მშვიდო-

---

[1] ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, გ. I, გვ. 141.

[2] იქვე. გვ. 142.

[3] იქვე.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გ. II, გვ. 84.

[5] ქართლის ცხოვრება, გ. I, გვ. 143.

ბიანი ხასიათი ჰქონდა, ამ ხნიდან მოყოლებული იგი მკვეთრად შეიცვალა. ირანის მეფეებმა ბაჰრამ გურმა და იეზდიგერდ II იეზდიგერდ I-საგან განსხვავებით, უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარება იწყეს. მაგ. იეზდიგერდ II-მ (438-457 წწ.) გადაწყვიტა სომხეთის ავტონომიის გაუქმება და ქრისტიანობის შეცვლა ზოროასტრიზმით. ყოველივე ამას ამ ქვეჟნის ირანიზაცია ედო საფუძვლად. იეზდიგერდმა დაიწყო ამ ქვეყანაში სხვა მკაცრი ღონისძიებების გატარება[1]. ერთერთი მათგანი იყო სომეხი ნახარარებისათვის ზოროასტიზმის მიღების მოთხოვნა 450 წელს[2]. არც პეროზ მეფის დროს (459-484 წწ.) შეცვლილა საერთო სიტუაცია. მან კვლავ სცადა ამიერკავკასიის ქვეყნების თვითმმართველობის შეზღუდვა, რის შედეგად ამ ქვეყნების დიდი აჯანყება დაიწყო ვახტანგ გორგასლის მეთაურობით (482 წ.).

ვახტანგ გორგასლის გამეფების ზუსტი თარიღი უცნობია[3]. მაგრამ აშკარაა, რომ იგი V ს.-ის 40-იანი წლების შუა ან ბოლო წლებში უნდა ასულიყო ტახტზე. მთელი მისი ცხოვრება იმისი ნათელი სურათია, თუ როგორ ხდება სახელმწიფოს ერთი პოლიტიკური ორიენტაციის მეორეთი შეცვლა. ისიც აშკარაა, რომ ამ ცვლილებას ანპირობებს სარწმუნოებრივი ორიენტაცია.

ვახტანგი ქრისტიანი მეფე მირდატისა და სპარსელი დიდმოხელე ბარზაბოდის ასულ საგდუხტის ვაჟია. ფაქტობ-

---

[1] История Ирана, გვ. 113; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 86.

[2] მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V ს.-ის მეორე ნახევარში. გვ. 31-32.

[3] ვახტანგ გორგასლის მეფობის თარიღზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული. იხ. მ. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრომი, III თავის §1-ის 4 და 5 შენიშვნები, გვ. 117. ე. გოილაძე, ა. ბოგვერაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბილისი, 1991 წ., გვ. 66-76; ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბილისი, 1979 წ., გვ. 39.

რივად ნახევრად სპარსელია, რაც ირანთან მის მშვიდობიან დამოკიდებულებას განსაზღვრავს. ასეთადაც ჩანს იგი თავის მეფობის დასაწყისში. ისტორიკოს ჯუანშერის ცნობით სპარსელებთან ერთად ასრულებს იგი თავის პირველ დიდ სამხედრო ლაშქრობას (ოსეთში)[1], და რაც მთავარია, ცოლად ირთავს სპარსთა მეფის დას ბელენდუხტს[2].

ირანელებთან მისი მშვიდი განწყობა ჩანს მაშინაც, როდესაც პეროზ მეფემ (459-484 წწ.) 22 წლის ვახტანგი[3], ქართლის ჯარით, ჰუნების წინააღმდეგ შუააზიაში სალაშქროდ წაიყვანა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახტანგის ქართლში დაბრუნების თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. მაგ. პროფ. ა. ბოგვერაძე ფიქრობს, რომ ეს 466 წელს უნდა მომხდარიყო[4]. მაგრამ, ალბათ, უფრო ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ იგი V ს.-ის 60-იან წლების ბოლოს დაბრუნდა სამშობლოში, როდესაც შაჰი პეროზი ჰეფთალითებთან სასტიკად დამარცხდა და კიდეც დაეზავა მათ[5].

ირანიდან დაბრუნებული ვახტანგი იწყებს საქმიანობას, რომლის ძირითადი მიზანი დამპყრობლებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. უპირველეს ყოვლისა, მას ქართლის ეკლესიის გაძლიერება გადაუწყვეტია. თავიდან არ ჩანდა, რომ ვახტანგი მომავალში მტკიცე ქრისტიანი დადგებოდა. პირიქით, თითქოს ამ რელიგიისადმი ინდიფე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 150-158.

[2] იქვე, გვ. 158.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 159.

[4] ა. ბოგვერაძე, პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ. იე. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. გვ. 189-199.

[5] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 95.

რენტული დამოკიდებულება ჰქონდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ირანის ლაშქართან ერთად, ბიზანტიის წინააღმდეგ ომში მიიღო მონაწილეობა, ქრისტიანობისაკენ აშკარა გადახრა იწყო. მან უარი თქვა ქრისტიანი მოსახლეობის ხოცვაზე, როგორც ამას ირანელები და სომხები აკეთებდნენ, ხოლო ტყვე საეკლესიო პირებს კი სულ ათავისუფლებდა[1]. ეს მას შემდეგ უფრო შესამჩნევი გახდა, რაც ორ ბიზანტიელ პირს – პეტრე მღვდელსა და სამოელ მონაზონს დაუახლოვდა. ისინი ვახტანგ გორგასალს ტყვედ ჰყავდა და აქ გაეცნო. სწორედ პეტრე მღვდელმა უკარნახა მას ბიზანტიასთან ომის შეწყვეტის და იმპერატორთან დაახლოების აზრი. უფრო მეტიც, მისი უშუალო შუამდგომლობით და ირანის სარდლობის დაუკითხავად, ვახტანგ გორგასალმა კეისართან მოლაპარაკება დაიწყო.

ვახტანგ გორგასალმა საბოლოოდ აიცრუა გული ირანთან კავშირში ბიზანტიის წინააღმდეგ ომზე და ხსენებული პეტრე მღვდელის მეშვეობით იმპერატორთან დაახლოების გზა განაგრძო. ბოლოს იმპერატორს პირადადაც შეხვდა[2].

ამრიგად, ვახტანგ გორგასალი დასცილდა ირანს და ბიზანტიელების მოკავშირე გახდა. ეს იყო პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილება, რაც ქართლისათვის უდიდესი შედეგებით დამთავრდა: ბიზანტიამ ვახტანგს უკან დაუბრუნა ადრე მის მიერ მიტაცებული ქართლის კუთვნილი მიწები: ციხე თუხარისი, კლარჯეთი მთლიანად, ზღვიდან ვიდრე არსიანამდე და ხევები, რომლებიც ღადოებს ესაზღვრებოდნენ. ამას გარდა აღუთქვა, რომ როცა იგი მის ქალიშვილს ცოლად შეირთავდა, იმ მიწის ნაწილსაც მისცემდა,

[1] ქართლის ცხოვრება, გ. I, გვ. 163.

[2] ქართლის ცხოვრება, გ. I, გვ. 166-172.

რომელიც დაეპყრო. ბოლოს, იმპერატორმა ვახტანგ გორგასალს ეგრის წყალსა და კლისურას შუა ქვეყანა შეჰპირდა მზითვად, თუმცა აფხაზეთის დანარჩენი ნაწილი ისევ თვითონ დაიტოვა[1].

ერთი სიტყვით ჯუანშერის თხზულების გათვალისწინებით ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ ძალიან მნიშვნელოვან პროცესს – ქართლის მეფე ვახტანგ გორგასლის ირანული ორიენტაციიდან ბიზანტიურ ორიენტაციაზე გადასვლას. რაკი ამ ცვლილებების ამოსავალი რელიგიური ორიენტაციის შეცვლა იყო, ცხადია ბიზანტიის ორბიტაზე გადაბარგებას მასთან დამაკავშირებელი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება უნდა მოჰყოლოდა. მით უმეტეს, რომ ჯუანშერისავე სიტყვით, ირანთან დამაკავშირებელი ზოგიერთი ძაფი გაწყვეტილა. კერძოდ, გარდაცვლილა ირანის შაჰი, რომლის დიდი შიშიც ჰქონდა ვახტანგს, ბიზანტიელების მხარეზე გადასვლის გამო[2].

ამას გარდა მშობიაროზას გადაჰყვა (თუ ვახტანგმა თვითონ მოიცილა?) ვახტანგის მეუღლე, აწ უკვე მტრად ქცეული სპარსთა მეფის ასული ბალენდუხტი[3], რომელმაც ქართლის მეფეს ტყუპი ძე და ასული დაუტოვა. ამის შემდეგ ვახტანგი მკაცრ, ანტიირანულ პოლიტიკაზე გადაეიდა – მოემზადა მათთან საომრად, შეიპყრო ბინქარან ცეცხლისმსახურთა ეპისკოპოსი, დახოცა და ქვეყნიდან გაა-

---

[1] იქვე, გვ. 172-177.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 127-128.

[3] ვახტანგი ჯერ კიდევ ქართლში დაბრუნებული არ იყო, როდესაც ბიზანტიის იმპერატორს მისი ასულის ცოლად შერთვის პირობა მისცა. შემდეგ ქართლში დაბრუნდა და ცოლიც მერე დაეღუპა. შემაგიანე წერს, რომ ბალენდუხტი მშობიაროზას გადაჰყვაო (ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 178).

ძევა ცეცხლისმსახურები[1]. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ქართლი ირანის გავლენიდან სრულად გამოსულიყო და ქრისტიანული ბიზანტიის მხარეზე გადასულიყო. მაგრამ ირანის ახალმა შაჰმა ვახტანგს ღალატი არ აპატია და მის დასასჯელად ქართლში შეიჭრა. ვახტანგმა, რა თქმა უნდა, ეს ამბავი ბიზანტიის იმპერატორს აუწყა, თანაც მას მიაწოდა ცნობა მტრის რაოდენობასა და მონაწილეებზე, თავის სამეფოში ქრისტიანობის გასავრცელებლად გატარებულ ღონისძიებებზე[2].

მაგრამ, ვახტანგის ახალი მოკავშირე, ბიზანტიის იმპერატორი, მოუცლელი აღმოჩნდა[3] და ვახტანგის თხოვნას მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ გამოეხმაურა[4].

ბიზანტიის ლაშქრის გამოჩენამ სპარსეთის შაჰი აიძულა, რომ ქართლის მეფესთან მოლაპარაკება დაეწყო. ვახტანგი კატეგორიულად ითხოვდა, რომ ირანს ქრისტიანობისათვის ხელი არ ეხლო და ქართლის მოსახლეობისათვისაც ცეცხლთაყვანისმცემლობა თავს არ მოეხვია. თუ ამ პირობებს დაიცავდა იგი აცხადებდა, რომ ირანის შაჰს „მამად და უფლად“ შერაცხავდა[5].

ირანის შაჰიც დაეთანხმა, ვახტანგისაგან ძღვენი მიიღო და მას პირადადაც ესაუბრა. მათი დაზავებისას რელიგიის საკითხებში აღარაფერი შეცვლილა და ვახტანგი იძულებული გახდა „მამად და უფლად“ ეცნო იგი. სწორედ ამ აღ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 178.

[2] იქვე, გვ. 178-179.

[3] იქვე, გვ. 179-181.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 181.

დგენილი „მამობისა და უფლობის“ საფუძველზე უბრძანა ირანის შაჰმა ვახტანგს მისი დის ცოლად მიცემა. თანაც მოუწოდა ირანის ქვეყნის ზოგიერთი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდა[1].

ამრიგად, ბიზანტიის ორიენტაციის არჩევით, ვახტანგ გორგასალმა ა) უკან დაიბრუნა მის მიერ მიტაცებული მიწები და ბ) ირანის მეფისაგან ქართლის სამეფოში ქრისტიანობის ხელშეუხებლობის პირობა მიიღო, გ) მაგრამ ირანისაგან თავი მთლიანად ვერ გაითავისუფლა: ირანის შაჰი ჯერ კიდევ ქართლის მეფის „მამად და უფლად“ რჩებოდა.

ჯუანშერის ცნობით ირანის შაჰმა ვახტანგის და მართლაც შეირთო ცოლად, რითაც ამ ორ ქვეყანას შორის თითქოს მტრობის საფუძველიც მოისპო. ვახტანგი შაჰს აღმოსავლეთის ლაშქრობაში წაჰყვა და იქიდან მხოლოდ რვა წლის შემდეგ დაბრუნებულა[2]. მაგრამ დროს იგი არ შეუცვლია. იქიდან დაბრუნებულმა შაჰს თავისი დის ცოლად მიცემაზე უარი უთხრა, რითაც გაანაწყენა იგი („დაუმძიმდა ესე მეფესა ხუასროს“). სამაგიეროდ კაცები გაგზავნა რათა ბიზანტიიდან ჩამოეყვანათ მისი საცოლე. მოციქულებად პეტრე კათალიკოსი და სამოელ ეპისკოპოსი აირჩია[3].

როგორც ცნობილია ვახტანგ გორგასალმა დიდი საეკლესიო საქმიანობა გააჩაღა. რაც მთავარია, მან ქართლის ეკლესიას სათავეში ჩაუყენა კათალიკოსი, შემდეგ კი სხვა

---

[1] იქვე, გვ. 184.

[2] იქვე, გვ. 196.

[3] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 196; მეფის საცოლე ელენე და ნაკურთხი კათალიკოსი და ეპისკოპოსები ქართლში ერთად მოვიდნენ.

საეკლესიო ღონისძიებებიც გაატარა[1].

როგორც სამართლიანად მიუთითებს ნ. ჯანაშია, კათალიკოსობის დაწესება V ს.-ის 70-იან წლებში უნდა მომხდარიყო, რადგან, მისივე სიტყვით, 472 წელს „შუშანიკის წამებაში“, ქართლის ეკლესიის მეთაურად, ჯერ კიდევ ეპისკოპოსთა თაეი იხსენიება[2].

ვახტანგ გორგასლის საეკლესიო მოღვაწეობა იყო საბოლოო გამოვლენა იმ დიდი ცვლილებისა, რაც ირანის ხელდებული ქართლის ბიზანტიის ქვეშევრდომად გადაქცევაში გამოიხატა. ვახტანგმა საბოლოოდ გადაიყვანა ქართლი ქრისტიანული ბიზანტიის მხარეზე, მაგრამ ირანმა ეს არ აპატია. ვახტანგი თავის უდიდეს მიზანს შეეწირა, თუმცა ქართლის სამეფოში ქრისტიანობის იმ დონემდე განმტკიცება მოასწრო, რომ მან ადვილად გაუძლო ათასნაირ ქარტეხილსა და თვით ისლამის შეტევასაც.

* * *

428 წელს ირანმა მეფობა მოსპო სომხეთში[3], ხოლო 461 წელს ალბანეთში[4]. მართალია, 30 წლის შემდეგ, ალბანეთში დროებით კვლავ აღდგა მეფობა[5], მაგრამ 510 წელს ირანის შაჰმა კავად I (488-531 წწ.) კვლავ გააუქმა. ახლა, ამიერკავკასიაში, ორი ქართული, თანაც ქრისტიანული სამეფო — ქართლი და ეგრისიღა რჩებოდა.

ს. ჯანაშიას სამართლიანი განცხადებით მთელი ამი-

---

[1] ამ ღონისძიების შესახებ იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 198-199; საქართველოს ისტორია, I უძველესი დროიდან XIX ს. დასასრულამდე. დამხმარე სახელმძღვანელო, 1958 წ., გვ. 94.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 99.

[3] История Армении, 1953 წ., გვ. 81-82.

[4] История Азербанджана, в трех томах. Баку, 1953 წ., გვ. 86.

[5] 487-510 წლებში აქ მეფობდა ეაჩაგან III (История Азербанджана), გვ. 86.

ერკავკასიის დაპყრობა და აქედან რომაელთა საბოლოო გაძევება ირანის სანუკვარ მიზანს წარმოადგენდა[1].

ირანმა ამიერკავკასიაში უმკაცრესი პოლიტიკის წარმოება იწყო. ის აღარ ჯერდება ამ ქვეყნების ვასალურ დამორჩილებას და მათ ირანის ჩვეულებრივ პროვინციად გადაქცევას აპირებს. ამასთან ერთად, ამკაცრებს რელიგიურ პოლიტიკასაც.

ქართლი ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. 523 წელს კი, კავად შაჰის ბრძანებამ მეფე გურგენი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. კავადი უთვლიდა: „სხვა რამეშიც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსელებში იყო მიღებული, და მიცვალებულებიც მიწაში კი არ დაემარხა, არამედ ყველა მიცვალებული ფრინველებისა და ძაღლებისათვის გადაეგდო“[2]. ამრიგად, ქართლის სახელმწიფო რელიგიას – ქრისტიანობას, კვლავ საშიშროება დაემუქრა.

კავადის ბრძანების ცხოვრებაში გატარება მიცვალებულის ქრისტიანულად დასაფლავების წეს-ჩვეულებაზე უარის თქმას ნიშნავდა. ეს კი მთლიანად ანგრევდა ქრისტიანულ წარმოდგენებს გარდაცვალებაზე, საიქიოზე და სხვ.

მეფე გურგენი ბიზანტიის კეისარ იუსტინეს (518-527 წწ.) დაუკავშირდა და სპარსელების წინააღმდეგ ომში დახმარება სთხოვა. გურგენს ირანელების ძალმომრეობისაგან თავის დახსნა მხოლოდ ომის გზით ჰქონდა გადაწყვეტილი. იუსტინემაც დახმარება აღუთქვა[3], მაგრამ საჭირო ჟამს საკმარისი ძალები ვერ მიაშველა და ირანე-

---

[6] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 2.

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ. II, 1965 წ., გვ. 49.

[2] იქვე.

ლებს გაქცეული მეფე გურგენი, ეგრისის გავლით, ბიზანტიაში ჩავიდა თავისი ოჯახითურთ.

გურგენის მოქმედებაში აშკარად ჩანს თანამორწმუნე ბიზანტიაზე ორიენტაციის საფუძველი – ქრისტიანობა. მაგრამ თუ დიდმა ეახტანგმა იმავე საფუძვლით თავისი სამშობლოს საზღვრების გაფართოება შესძლო, გურგენმა ქართლის სამეფო ხელისუფლების გაუქმებას მიაღწია.

532 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის დადებულმა ე.წ. „უვადო ზავმა“ ქართლის სამეფოს სასიკეთოდ ვერაფერი გადაწყვიტა. ბიზანტიაში გადახვეწილებს სამშობლოში დაბრუნების ნება კი დაერთოთ, მაგრამ გურგენი უკან აღარ დაბრუნებულა. ქვეყანა უმეფოდ დარჩა.

ცხადია, როდესაც ორიენტაციის ცვლილებებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ისიც, რომ მეფეს, რომელსაც ამ ორიენტაციის მესაჭეობა ეკისრება, გვერდში უდგანან მასსავით მოფიქრალნი ადამიანები. აშკარაა, რომ მეფე გურგენმა მათი იმედით და თანადგომით აღმართა მახვილი ირანის წინააღმდეგ. მაგრამ კაეად შაჰმა თავის ყმადნაფიც ქვეყანას, ქართლს პოლიტიკური გეზის შეცვლის საშუალება არ მისცა. 523-532 წლის შემთხვევა – მეფობის გაუქმება ქართლში, ამ ქვეყანაში ირანის კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრებას ნიშნავდა და ბიზანტიის მოწინააღმდეგეთა დასს, ალბათ, გაახარებდა. ამ დასის წევრთ რელიგიური თუ სოციალურ-ეკონომიკური მიზნები ირანის მოკავშირეებად აქცევდა.

„ევსტათი მცხეთელის მარტვილობით“ ჩანს, რომ მეფობაგაუქმებული ქართლის დიდკაცობა ირანელ მარზპანის ახლოს ტრიალებენ. ესენი არიან: ქართლის კათალიკო-

სი, ქართლის მამასახლისი, ქართლის პიტიახში და „სხუა სეფეწულნი“[1].

აღსანიშნავია, რომ ირანელები ყველაფერს აკეთებენ ქართლში თავიანთი დასაყრდენის ე.ი. ირანზე ორიენტირებული მოსახლეობის შესაქმნელად. ჯუანშერი წერს: ქასრე ამბარევეზმა, მეფე ურმიზდის შვილმა, რომელიც ბარდავს დაჯდა, დაიწყო ქართლის ერისთავთა გადაბირება. მან „აღუთქვა კეთილი დიდი და დაუწერა საერისთაოთა მათთა მამულობა შვილით-შვილამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა. და განდგეს ერისთავნი და თჳსთჳსად ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარევეზსა“-ო[2].

ეს იყო ქართული საზოგადოების დიდი უკან დახევა. საზოგადოების ნაწილი საკუთარი სახელმწიფოებრიობის გაუქმებაში მტრის მოკავშირე შექმნილიყო[3]. მაგრამ მთელი მოსახლეობა ირანული ორიენტაციის არ იყო. უკვე VI ს-ის შუა წლების ქართლში იმდენი ირანელთა მოძულე ყოფილა, რომ ბიზანტიელებისათვისაც კი ცნობილი გამხდარა. მაგ. პროკოპი კესარიელი წერს: „იმ დროიდან (ე.ი. ქართლის მეფობის გაუქმებიდან) არც სპარსელები აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერიელები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავის ნებით... ცხადია, რომ იბერიელებს ძალიან უმძიმდათ ასეთ მდგომარეობაში ყოფნა და ახლო მომავალში განსაზღვრული ჰქონდათ აჯანყება, თუკი ოდესმე შესაფერის დროს იხელთებდნენ“[4].

სწორედ ამ ანტიირანულად განწყობილმა ძალებმა

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 248.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 217.

[3] საქართველოს ისტორია, ტ. I, 1958 წ., დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 106.

[4] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ. II, გვ. 94.

ჩაიდინეს უდიდესი გმირობა, როდესაც ჯერ 571 წელს ირანის წინააღმდეგ აჯანყებულ სომხებს მიემხრნენ, შემდეგ, 572 წელს კი გაანადგურეს აჯანყების ჩასაქრობად მოსული ირანელი სარდალი გოლონმიჰრანი[1].

აშკარაა, რომ ეს ძალები ბიზანტიასთან კავშირში არიან. ცნობილია, რომ აჯანყების დასაწყისში მისმა მეთაურებმა ამბოხების დაწყება კეისარ იუსტინე II-ს (565-578 წწ.) აუწყეს. ამას გარდა, საყურადღებოა, რომ ქართველთა თავგანწირულ ანტიირანულ ბრძოლას მათი სამშობლოს ერთი ნაწილის, კერძოდ მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე მიწების ბიზანტიის შემადგენლობაში შესვლა მოჰყოლია. ასე იხსენიებს 576 წელს დასახალებულ ტერიტორიებს ისტორიკოსი მენანდრე[2].

მაგრამ ირანი უკან არ იხევდა და მასსა და ბიზანტიას შორის ამის შემდეგაც სისხლისმღერელი ბრძოლები მიმდინარეობდა[3], რაც თავისებურ გავლენას ახდენდა ქართლზეც.

591 წელს ირანელმა დიდებულბმა ტახტიდან ჩამოაგდეს შაჰი ჰორმიზდი, მაგრამ მის ნაცვლად მისი ვაჟი ხოსრო II ფარვიზი გაამეფეს (591-628 წწ.). ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად ხოსრო II კეისარ მავრიკთან (582-602 წწ.) გაიქცა დახმარების სათხოვნელად. ხოსრომ ტახტი დაიბრუნა, ხოლო ბიზანტიას კი სომხეთის დიდი ნაწილი და ქართლი თბილისამდე დაუთმო[4].

იმავე წელს ქართლის საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც ბიზანტიის ორიენტაციის იყო, დიდი გამარჯვე-

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. I, გვ. 79.

[2] მენანდრე პროტექტორი, გეორგიკა, ტ. III, თბილისი, 1936 წ., გვ. 238.

[3] იქვე, გვ. 238-250

[4] История императора Ираклия, епископа Себеоса, СПБ, 1862 წ., გვ. 49.

ბა მოიპოვა. „მოქცევაი ქართლისაი“ წერს: „ნელად-რე შეკრიბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ“[1].

ისტორიკოსი ჯუანშერი კი წერს: „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა, და ითხოვეს, რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და რათა იყვნეს ერისთავნი იგი თუს-თუსსა საერისთაოსა შეუცვალებელად“[2].

ამრიგად, ანტიირანული ძალები ირანის მტერს, ბიზანტიას სამეფო ხელისუფლების აღდგენაში დახმარებას თხოვენ. ეს, ამ ძალების გამოკვეთილი პოზიციაა.

ბიზანტიამ ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და 591 წელს ქართლს ავტონომიური უფლებების მქონე მმართველი ჩაუყენა სათაეში ერისმთავრის (ერისთავთ-ერისთავის) ტიტულით. ერისმთავრები იმპერიას დიდ პატივში ჰყავდა. პირველი მათგანის გურამ-გურგენის ვაჟს სტეფანოზს პატრიკიოსის ტიტული უბოძა, მის ძმას დემეტრეს და შვილ ადარნასეს – ვიპატოსის ტიტულები. სტეფანოზის შვილიშვილმა ქობულ-სტეფანოზმა კი სტრატილატობა მიიღო[3].

ერისმთავარ სტეფანოზ I-ზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მას თავისი მმართველობის პირველ მონაკვეთში მტკიცე ქრისტიანული ორიენტაცია არ გააჩნდა. სხვანაირად ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ ექცევიან ისტორიული წყაროების ერთი ნაწილი მას ასე უპატიოდ. მაგ. შიოს ცხოვრების ავტორის მიხედვით სტეფანოზი „იყო... ამპარტავან

---

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, გვ. 95.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 217

[3] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, т. I, გვ. 24.

და ბოროტთა შურითა აღსავსე და ეკლესიათა ფრიად ძურსა უყოფდა“[1].

მუქი ფერებით არის იგი დახატული ქართლის ცხოვრებაში. ჯუანშერის აზრით „სტეფანოზ იყო ურწმუნო და უშიში ღმერთისა, არა ჰმსახურა ღმერთსა, არცა ჰმატა სჯულსა და ეკლესიათა“[2].

ეტყობა, რომ იგი თავის ცხოვრების რაღაც მონაკვეთში იქცა მტკიცე ქრისტიანად. მართლაც, შიოს ცხოვრების ავტორს აღწერილი აქვს შემთხვევა, თუ როგორ მოსტაცა მან შიომღვიმის მონასტერს ფარსმან მეფისაგან შეწირული აგარაკები. აქვე მოთხრობილია იმაზეც თუ როგორ მოუელინა მას შიომ სასწაულები და ფაქტობრივად ქრიტიანობაზე „მოაქცია“. ავტორი გვაუწყებს, რომ მხოლოდ „ამიერითგანღა იწყო სტეფანოზ კეთილსაყოფად ეკლესიათა და პატივისა პყრობად ეპიზკოპოზთა, მღვდელთა და მონაზონთა და ამანაცა ფრიადი აშენა ეკლესიასა ზედა ჯუარისასა“-ო[3].

სტეფანოზის ეს „გარდაქმნა“ VI ს.-ის 90-იან წლებში მომხდარა. ჯვრის მონასტრის მშენებლობაც სწორედ მაშინ დაიწყო[4].

მაგრამ ამიერკავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება რელიგიური და პოლიტიკური ორიენტაციათა ცვლილებების საფუძველს იძლეოდა. 591 წლის ზაფით მოპო-

---

[1] ილ. აბულაძე, ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, თბილისი, 1955 წ., გვ. 204-205.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 222.

[3] ილ. აბულაძე, ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. გვ. 204-205.

[4] Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тбилиси, 1948 წ., გვ. 85-86; 155.

ვებული წარმატებები ბიზანტიამ დიდხანს ვერ შეინარჩუნა. 604 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის დაწყებულმა ახალმა საომარმა მოქმედებამ ირანს წარმატება მოუტანა – ქართლი კვლავ მას დაუბრუნდა.

ცხადია, ყოველი ორიენტაციის ცვლილებას თან სდევდა გაბატონებული ორიენტაციის მოწინააღმდეგეთა შევიწროება. რაკი ბიზანტიური ორიენტაციის მიმდევართა სურვილის საწინააღმდეგოდ, ახლა, ქართლი კვლავ ირანის ხელქვეითი გახდა, თანაც შაჰ ხოსრო მეორის ბრძანებაც გამოვიდა, რომელიც მის მორჩილ ყველა ქრისტიანს სომხური სარწმუნოების მიღებას უბრძანებდა[1], ცხადია დიოფიზიტი ქართველები უკიდურესად ცუდ დღეში აღმოჩნდებოდნენ. ეს მართლაც ასე მოხდა და კირიონ კათალიკოსი, ადარნასე ერისმთავარი და მრავალი სხვა ქართლს გაეცალნენ[2].

ქართლში ირანული ორიენტაციის ქართველების ბატონობა დაიწყო. ეტყობა ვარსამუსე ერისმთავარი, რომელიც ირანელ სარდალ შარგაჰაგთან ერთად ისე მონდომებით ებრძოდა ქრისტიან იმპერატორ ჰერაკლეს (610-641 წწ.) ან ცეცხლთაყვანისმცემელი იყო ან მონოფიზიტი. ჰერაკლეს მოკავშირე ხაზარებმა 628 წელს, თბილისის აღების დროს, ისიც და ირანელი სარდალიც ხელში ჩაიგდეს და სასტიკი წამებით მოკლეს[3].

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ნაწ. II, გვ. 279.

[2] ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით ზ. ალექსიძისა. თბილისი, 1968 წ., გვ. 251; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 279.

[3] История агван Мойсея Каганкатваци, писателя X в., СПб., გვ. 120. იხ. აგრეთვე „მოქცევაი ქართლისაი", გვ. 96.

ჰერაკლეს ლაშქრობა საქართველოში აღინიშნა დიოფიზიტური ქრისტიანების აშკარა მხარდაჭერით. ეტყობა, რომ იგი სწორად დიოფიზიტური მიმდინარეობის ქართველებმა მოიყვანეს. ჰერაკლემ გაამართლა მათი იმედები. მისი შიშით ქართლში მყოფი „ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ“[1].

უფრო დიდი ზარალი მოსელიათ მონოფიზიტ ქრისტიანებს. ჰერაკლეს ლაშქრობისას „ეკლესიათა შინა (მონოფიზიტი ქრისტიანების ჯ.ს.) მდინარენი სისხლისანი დიოდეს“[2].

მემატიანეს მიაჩნია, რომ ჰერაკლემ „განწმინდა შჯული ქრისტესი და წარვიდა“[3].

ახლა, რაც შეეხება ეგრისის სამეფოს.

VI საუკუნეში ეგრისში ძალიან საინტერესო მოვლენები განვითარდა, რომლებიც ქვეყნის რელიგიური და პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებებით აღინიშნა. ძალიან საყურადღებო ფაქტს ჰქონდა ადგილი 523 წელს.

როდესაც ქართლში მტკიცედ მოიკიდა ფეხი, გათამამებულმა ირანმა, გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოშიც ანუ ეგრისშიც დამკვიდრებულიყო. ირანელების განწყობა ძალიან კარგად გამოჩნდა 518-523 წლებში მიმდინარე ირან-ბიზანტიის საზავო მოლაპარაკებაზე, როდესაც მათმა ელჩმა დაუფარავად განაცხადა, რომ კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ჰქვია, ძველთაგანვე სპარსელთა ქვეშევრდომი იყო და დღეს რომაელებს ძალით უჭირავთ უსამართლოდო[4].

---

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, გვ. 96.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ. II, გვ. 47-48.

სინამდვილეში ასე არ იყო. ეგრისი ბიზანტიის ხელდებულ ქვეყნად ითვლებოდა, თუმცა ირანელები, დროდადრო, მაინც ახერხებდნენ მის ტახტზე თავიანთი სასურველი მეფის დასმა.

როდეს ლაზეთის ანუ ეგრისის მეფე დამნაზე გარდაიცვალა. მისი ვაჟი წათე მაშინვე ბიზანტიაში გაიქცა და იმპერატორ იუსტინეს (518-527 წწ.) ეახლა. ისტორიკოსი იოანე მალალა გვატყობინებს, რომ წათე, მამამისის სიკვდილამდე (523 წ.), სპარსეთის შაჰის მეგობარი და ქვეშევრდომი იყო, სპარსელთა სარწმუნოებას მისდევდა და ყოველგვარ სპარსულ წესს ასრულებდაო. მამამისის გარდაცვალების შემდეგ კი, – წერს დასახელებული ისტორიკოსი, – მან უარყო ირანული რელიგია, უარი თქვა შაჰ კავადის ერთგულებაზე და ბიზანტიის იმპერატორის მხარეზე გადავიდა. შეიცვალა სარწმუნოება – გაქრისტიანდა[1] და იმპერიის ერთგული შეიქმნა.

ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ფაქტი ძალიან კარგად მიუთითებს ეგრისის საზოგადოებრივი მდგომარეობის სირთულეზე. ირან-ბიზანტიას შორის ეგრისისათვის წარმოებული განუწყვეტელი ბრძოლა ამ ორი ძალის მომხრე ადამიანების სულიერ რყევასაც იწვევს. წათე დამნაზეს ძე – ირანის კაცი, 523 წელს მიხვდება, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობა და შაჰ კავადის ქვეშევრდომობა არ ვარგა და, რელიგიის გამოცვლასთან ერთად, საჭიროდ თელის პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებასაც. ასე იქცა იგი ირანის ერთგული პირიდან ბიზანტიის ერთგულ პირად და მეფედ.

უფრო თვალშისაცემი ამბები მოხდა ცოტა მოგვიანე-

[1] იოანე მალალა. ქრონიკა. ტ. III, ტფილისი, 1936 წ., გვ. 264.

ბით, გუბაზ II-ის (541-554 წწ.) დროს. თავდაპირველად იგი ბიზანტიის ქვეშევრდომი იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო გადაუდგა მას და ირანის შაჰ ხოსროსთან გაემგზავრა კავშირი. უფრო მეტიც, თავისი ელჩების პირით იგი ბიზანტიელების წინააღმდეგ საბრძოლველად ეგრისში მიიწვია[1].

ხოსრო შაჰი ამ ამბით დაინტერესდა და თავისი ჯარით ეგრისში მოვიდა[2].

სამწუხაროდ, გუბაზის რელიგიური კუთვნილება ცნობილი არ არის. არ ვიცით როდესაც იგი ეგრისში მოსულ ხოსროს შეხვდა და „თავისი თავი სამეფო ხელისუფლებითურთ და მთელი ლაზიკე გადასცა“[3] სპარსული სარწმუნოებაც ხომ არ მიიღო. ეს გასაკვირი არ არის, რადგან ზემოთხსენებული წათე, რომელიც 523 წლამდე ცეცხლთაყვანისმცემლობას აღიარებდა, მამამისი იყო.

ასეც რომ ყოფილიყო, 549 წელს გუბაზმა ხელახლა იცვალა ორიენტაცია და კვლავ ბიზანტიის მხარეზე გადავიდა. სამწუხაროდ, არც ამ შემთხვევაში ვიცით რელიგიას რა როლი ეკუთვნოდა მისი ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნის საქმეში.

ცნობილია, რომ გუბაზის ცხოვრების ბოლო წლებში მასსა და ბიზანტიელებს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა[4]. ბიზანტიის იმ ლაშქრის ხელმძღვანელები, რომე-

---

[1] პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ტ. II, გვ. 71-81.

[2] იქვე, გვ. 86-87.

[3] იქვე, გვ. 87.

[4] აგათია სქოლასტიკოსი, გეორგიკა, ტ. III, გვ. 45; ა. ბოგველაძე, ბრძოლა ირანელი და ბიზანტიელი დამპყრობლების წინააღმდეგ ეგრისში. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 262; ჯ. სტეფნაძე ეგრისის (ლაზეთის) მეფე გუბაზ II-ის ბიოგრაფიის ზოგიერთი საკითხი. თბილისი, 1969 წ., გვ. 35-43.

ლიც კოლხეთში ირანელებს ებრძოდა, დარწმუნებული იყვნენ, რომ გუბაზი კვლავ ირანელების მხარეზე გადასვლას აპირებდა. მკვლელებს რომ ნაადრევად არ მოეკლათ, შეიძლებოდა მეფე გუბაზი კიდევ ერთხელ გადასულიყო ირანელების მხარეზე.

ბოლოს, მინდა გუბაზ მეფის დაღუპვის შემდეგ კოლხი დიდებულების ორიენტაციული ძიებაც გავიხსენო. დიდებული აიეტი კოლხებს ირანელების მხარეზე გადასვლას ურჩევს, ხოლო ფარტაძი კვლავ ბიზანტიელებთან კავშირში დარჩენის მომხრეა[1].

უნდა აღინიშნოს, რომ ფარტაძის აზრის გამარჯვება განაპირობა მის მიერ იმის ხაზგასმამ, რომ ირანელთა მხარეზე გადასვლა მართლმორწმუნეობისა და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლელობის შებღალვა იქნებაო[2]. აქედან, აშკარად ჩანს, რომ ეგრისის ბიზანტიელთა ორიენტაციაზე დარჩენა განუპირობებია ქვეყნის მოსახლეობის (ალბათ, უმრავლესობის) და ბიზანტიის იმპერიის თანამორწმუნეობას.

§ 2. ქრისტიანობის ურთიერთობა დანარჩენ სარწმუნეობებთან IV ს.-ის 40-იან VII ს. 50-იანი წლების საქართველოში.

რაკი 337 წლიდან ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქცა, მას ურთიერთობა უნდა გაერკვია საქართველოში გავრცელებულ სხვა რელიგიებთან. პირველ რიგში კერპთაყვანისმცემლობასთან — ქართველი ხალხის რწმენასთან. ამას გარდა უნდა მოეგვარებინა საქმე ცეცხლთაყ-

[1] აგათია სქოლასტიკოსი, გვ. 64-71; 72-81.

[2] იქვე, გვ. 76-77.

ვანისმცემლობასთან და იუდაიზმთან. ქრისტიანობა ებრაულ მოსახლეობაში ჩაისახა. ამ სარწმუნოების მამამთავარი იესო ქრისტე თვითონაც ებრაელი იყო და თავისი ხალხის ყველა რელიგიურ წიგნებს იწყნარებდა. ერთი ღმერთის იდეაც იუდაიზმიდან აიღო, თუმცა მასში სერიოზული ცვლილებებიც შეიტანა – პირველ რიგში ერთი ღმერთის სამსახეოვნება. საერთოდ, ებრაელების ერთი ღმერთის რწმენა მან აქცია სამსახოვანი ერთი ღმერთის იდეად. შემოქმედი ღმერთი – ძე ღმერთს და სული წმიდას – აი ძირითადი განსხვავება იუდაიზმსა და ქრისტიანობას შორის. რაც მთავარია ქრისტიანობა ძველი აღთქმის ყველა წიგნს იწყნარებს და მათ სახელმძღვანელოდ იყენებს. ქრისტიანობის იუდაიზმთან ასეთი დიდი სიახლოვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ იუდაიზმის მიმდევრებს გარკვეულ შეუვალობას აძლევდა და ქრისტიანობა მათთან მუდამ მშვიდობიან ურთიერთობას ამჯობინებდა.

მაგრამ სულ სხვა ურთიერთობა ჰქონდა ქრისტიანობას კერპთაყვანისმცემლობასთან. კერპთაყვანისმცემლობა ქართველი ხალხის, მისი ყველა კუთხისა და ტომის სარწმუნეობა იყო და თუ ქრისტიანობას არ უნდოდა, რომ ვიწრო, მხოლოდ ცენტრის მფლობელ რელიგიად დარჩენილიყო, კერპთაყვანისმცემლობის მოსპობის ხარჯზე, მისი ადგილი უნდა დაეკავებინა.

ქრისტიანობის განწყობა და სამოქმედო პროგრამა ძალიან კარგად გამოჩნდა საქართველოში, კერძოდ მცხეთაში მოსული ნინო კაბადოკიელის ქმედებაში. მან, მემატიანის სიტყვით, დაუნდობლად გაანადგურა ქართველების კერპები[1]. მისი მოქმედებიდან კარგად ჩანს, როგორ

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 91-92.

წარმოედგინა მომავალი ქართლი: კერთაყვანისმცემლობა-აღმოფხვრილი, თუ ამას შესძლებდა, ცეცხლთაყვანისმცემლების გარეშე, ოღონდ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ქრისტიანობაგავრცელებული. ამ მხრივ, ნიშანდობლივია უკვე ქრისტიანი მირიანის მოციქულის, ნინოს და მისი თანმხლებები ჯარის ქმედება მთიელებში.

მემატიანის სიტყვით მაშინ, როცა ბარში „ყოველმან ერმან“ ნათელ იღო, ე.ი. ქრისტიანულად მოინათლა[1], „არა ნათელიღეს მთიულთა კავკასიანთა, არცა მოვიდეს მოფენასა მის ნათლისასა, არამედ დაადგრეს ბნელსა შინა ჟამ რაოდენმე“[2].

რაკი მთიულები ასე ერთგულნი აღმოჩდნენ თავისი მამაპაპური რწმენის, მირიანმა მათი მახვილის ძალით გაქრისტიანება გადაწყვიტა[3]. მაშინ მირიანი ნინომ შეაჩერა. განუცხადა, რომ იარაღით გაქრისტიანება არ შეიძლება. საჭიროა ჭეშმარიტი გზის სახარებით და ჯვრით ჩვენება[4]. მაგრამ წობენში მდგომმა ნინომ თავისი თვალით დაინახა, რომ იარაღის გარეშე ძნელი იყო ქრისტიანობის დანერგვა. მის თვალწინ „ერისთავმან მეფისაგან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა, და ძლევით შემუსრნა კერპნი მათგანი“[5].

რაც მთავარია კერპები დაიმსხვრა, თუმცა სისხლიც დაიღვარა. ახლა ნინოს აღარ გამოუდია თავი და აღარ აღდგომია წინ იარაღის გამოყენებას.

---

[1] იქვე, გვ. 116.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 125.

[4] იქვე.

[5] იქვე.

მიმდინარეობდა მამაპაპური რელიგიის ძალით ამოძირკვა. ადგილობრივი მოსახლეობა მთელი ძალით ებრძოდა ამ რისხვას, მაგრამ ვერას ხდებოდა. ზოგი ტომი, მაგალითად ფხოველების, იმდენად შეურიგებლები იყვნენ ახალი რწმენის მიმართ, რომ სამშობლო მხარედანაც კი გადაიხვეწნენ[1].

როდესაც აღნიშნულ მხარეებში ქრისტიანობა ასეთ წინააღმდეგობას წააწყდა, მაშინ „დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი"[2], მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა. ნაწილი შემდეგ ჰაბიბოს ნეკრესელმა გააქრისტიანა, ზოგი კი მოგვიანო ხანშიც წარმართი ყოფილა[3].

განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ წარმართული სარწმუნეობის მიმდევარნი, თვით მირიან მეფის ოჯახში, IV ს.-ის ბოლომდეც კი ყოფილან[4]. ქართული წარმართობის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მირდატ ფარსმან მეფის ძის მოღვაწეობის გათვალისწინებას. „მეფეთა ცხოვრების" ავტორის სიტყვით მირდატი იყო „ურწმუნო და უშიში ღმრთისა"[5], ე.ი. არაქრისტიანი. მაგრამ იგი არც ცეცხლთაყვანისმცემელია. მემატიანის სიტყვით იგი „მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა". ავტორს დასახელებული აქვს ის მიზეზები, რისთვისაც იგი ამ ორ ძლიერ ქვეყანას ებრძოდა. რაკი მირდატი ქრისტიანი არ არის და არც სპარსელებს წყალობს, იქნებ იგი წარმართი მე-

---

[1] იქვე, გვ. 126.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] ლიბანიოსი, წერილი, 980, გეორგიკა, ტ. I, გვ. 63; ს. ყაუხჩიშვილი, ლიბანიოსი და ბაკური. ქუთ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1940წ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 70.

[5] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ 138.

ფეა. სხვათა შორის, ავტორს ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ მირდატი მინდობილი იყო თავის ჯარს და დამპყრობლებს ანგარიშს არ უწევდაო[1].

ცხადია, რომ ქრისტიანობას არ შეეძლო ბოლომდე ამოეძირკვა წარმართობა. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ქრისტიანობა თვითონაც ხშირად დევნილი რელიგია იყო ქართლში. არც თუ ისე იშვიათად, ირანი თავის მომხრე მეფეს სვამდა ქართლის ტახტზე და მაშინ, ეს მეფე ზღუდავდა ქრისტიანობასაც. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანობა ნაბიჯ-ნაბიჯ იბყრობდა ქვეყანას და ასე ავიწროებდა წარმართობის საზღვრებსაც.

საინტერესო ცნობა დაუცავს ჯუანშერს. მისი ცნობით დაჩი ვახტანგ გორგასლის ძემ „დაჰპატიჟა მთეულთა კახეთისათა, რათა აღიარონ ქრისტე, ხოლო მათ არ ინებეს, და განუდგეს ყოველნი ნოპატელნი“[2]. მაშასადამე, ვახტანგ გორგასლის შემდეგაც, მისი შვილის, დაჩის დროს, კახეთის მთიელები ჯერ კიდევ არაქრისტიანები ყოფილან.

წარმართობის კვალი ჩანს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც“. როდესაც სერაპიონმა და მისმა ბერებმა მონასტრის ასაშენებლად ძინძედ წოდებული ადგილი ამოირჩიეს, გაირკვა, რომ ამ ადგილს თავისი პატრონი ჰყოლია. ჰაგიოგრაფი წერს: „ხოლო ეუწყა რა უფალსა მის დაბისასა, ვითარმედ უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებავს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი, მათ არ ინებეს, რამე-თუ იყვნეს ყოვლითურთ მჰეცებრივ, უწირავ და ბოროტ, რამეთუ არა ინებეს კურთხევაი წმიდათა მათგან“[3]. არსაიდან არ

---

[1] იქვე.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 205.

[3] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, გვ. 324.

ჩანს, რომ ძინძეს პატრონი ქრისტიანი იყოს, როგორც ეს ს. ჯანაშიას მიაჩნია[1]. უფრო სამართლიანი იქნება ვიფიქროთ, რომ იგი „ურწმუნო“ ე.ი. ჯერ კიდევ გაუქრისტიანებელი პირი ყოფილიყო.

საინტერესოა VI საუკუნის ყოფის ამსახველ ძეგლ „კოლაელ ყრმათა წამებაში“ დაცული ცნობები, საიდანაც კარგად ჩანს, რომ პროვინცია კოლა, ძირითადად, წარმართებით იყო დასახლებული. ავტორის განცხადებით „და იყო უმრაველესი ერი სოფლისაი მის წარმართთა კერპთმსახური და უმცროისი ერი ქრისტიანე, ღმრთისმსახური“[2].

ყურადღებას იმსახურებს წარმართების ერთგულება თავიანთი სარწმუნოებისადმი. როდესაც ცხრა კოლაელმა ბაგშმა მშობლების დაუკითხავად ქრისტიანობა მიიღო, მშობლებმა მრავალი ღონისძიება გაატარეს მათ წარმართულ სარწმუნოებაზე დასაბრუნებლად, მაგრამ ვერ შეძლეს და ყველა ჩაქოლეს[3].

ქრისტიანობამ ვერ მიაღწია საყოველთაო გამარჯვებას. არაბების დამკვიდრებამდე იგი მოქმედებდა ცეცხლთაყვანისმცემლობის გვერდით და მთაშიც ამაოდ ცდილობდა ძველი სარწმუნოების ამოძირკვას. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება ცნობა თამარის მეფობაში სახელმწიფო ლაშქრის მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მემატიანეს ჩამოთვლილი აქვს მთიელთა ცხოვრების ზოგიერთი ისეთი წესი, რომელიც აშკარად არაქრისტიანული იყო[4].

---

[1] ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, გვ. 448.

[2] ქართული პროზა. წ. I მეხუთე-მეთერთმეტე საუკუნეების მწერლობა. თბილისი, 1981 წ., გვ. 183.

[3] იქვე, გვ. 185.

[4] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 111.

აშკარაა, რომ მთიელები (ფხოველები, დიდოელები) საკუთარი წეს-ჩვეულების ხელუხლებელ დაცვას ცდილობდნენ, მაგრამ მათი ცდა სასტიკად იქნა ჩახშობილი ცენტრალური ხელისუფლების მიერ[1].

არანაკლებ მწვავე ურთიერთობა აქვს ქრისტიანობას ცეცხლთაყვანისმცემლობასთანაც. თვითონ მირიანი, რომელიც პირველი ქრისტიანი მეფე შეიქმნა ქართლში, თავიდან ცეცხლთაყვანისმცემელი ირანელი იყო. მერე კი, როდესაც ქართლის მეფე გახდა, მან ქართლის დიდებულებისათვის მიცემული პირობის თანახმად, კერპთა თაყვანისცემაც იწყო. მემატიანის სიტყვით მირიანის მამა, სპარსეთის მეფე, ქართველებს უცხადებს: დაე „იყოს შვილი ჩემი ორსავე სჯულსა ზედა: მამათა ჩუენთა ცეცხლმსახურებსა და თქუენთა კერპთასა“-ო[2].

მირიანი პირობას მუდამ იცავდა – ემსახურებოდა კერპებსაც და ცეცხლსაც, მაგრამ გაქრისტიანების შემდეგ ორიენ რელიგიის მტრად იქცა. ბარშიც და მთაშიც წარმატებით ავიწროებს წარმართებს, ხოლო ბაქარს, თავის ძეს, სიკვდილის წინ ძალიან საყურადღებო ანდერძს უტოვებს: სადაც კი ცეცხლის კერპები ნახოთ ცეცხლითვე დაწვით და ნაცარი მათ შეასვით, ვინც მათ ემსახურებიანო. ეს შენს შვილებსაც დაუბარეო[3].

მაგრამ ცეცხლის მსახურებას ირანის სახელმწიფო მფარველობდა და ქართლს მისი სრული ლიკვიდაცია არ შეეძლო. როგორც ითქვა, ქართლში რელიგიური სიტუაცია, პოლიტიკურთან ერთად, ხშირად იცვლებოდა და აქ

---

[1] იქვე.

[2] ქართლის ცხოვრება, გ. I, 65.

[3] იქვე, გვ. 130.

ირანის ბატონობა მასზე აღებული ორიენტაციას არსებობის გარანტიას აძლევდა. მეტიც, ხშირად ქართლის ტახტზე ცეცხლთაყვანისმცემლები ისხდნენ. მაგალითად, მეფე მირიანის შვილისშვილის შვილი ვარაზ-ბაქარი „ურწმუნო და მოძულე სჯულისა“ იყო. მართალია ცხადად არ „განაცხადებდა დატეებასა სჯულისასა“, მაგრამ სამაგიეროდ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ქრისტიანობას, „ყოველითავე იქცეოდა ურჯულოდ“[1].

როდესაც ირანელები ქართლში შემოიჭრნენ, მათ წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად „უბრძანა ყოველთა (ქართველს) რათა დამალნენ ჯუარნი“[2].

ურწმუნოა აგრეთვე მეფე მირდატი, ვარაზ-ბაქარის ძე, ოღონდ იგი წარმართი უნდა იყოს.

სპარსელები ყველანაირად ცდილობენ, რათა კვლავ ძველი მდგომარეობა აღადგინონ ქართლში. ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასლის პაპის მამა, მირდატ მეფე, ირანელებს ტყვედ ჩაუვარდათ. ამით ისარგებლეს დამპყრობლებმა და „გარყვნეს ეკლესიანი“. ისტორიკოსი ჯუანშერი გვაუწყებს, რომ „ყოველთა შინა ეკლესიათა ქართლისათა ცეცხლისმსახურთა სპარსთა აღაგზნეს ცეცხლი“[3].

მოყვანილი მაგალითიდან კარგად ჩანს თუ რა ძნელ ბრძოლას აწარმოებდა ქრისტიანობა ცეცხლისთაყვანისმცემლობასთან. ისტორიკოსი ჯუანშერი მშვენივრად ამჩნევს ირანთან ურთიერთობის დაძაბულ ხასიათს და ხშირად, ამის დამადასტურებელ ძალიან კარგ სურათებს იძლევა. ამ მხრივ დამახასიათებელია მირდატ არჩილის ძის სიმამრის,

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 136.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 139.

რანის ერისთავ ბარზაბოდის განცხადება ირანის პოლიტიკის არსის შესახებ. ბარზაბოდ ერისთავი აცხადებს: იძულებით არ ვაიძულებ ქართველებს ქრისტეს სჯულის დატოვებას, მაგრამ გამოვგზავნი თქვენს ქალაქში ცეცხლის მსახურებს, დავუწესებ მათ ჩვენი სჯულის ეპისკოპოსებს და თუ ვინმე ქართველი თავისი ნებით აირჩევს ჩვენს სჯულს, ნუ დაუშლითო[1].

მართლაც, სპარსეთის დიდმოხელე ბარზაბოდმა ქართლში მრავალი ცეცხლისმსახური გამოგზავნა, რომლებსაც თავიანთი ეპისკოპოსი ბინქარანი ხელმძღვანელობდათ. მათმა ქადაგებამ ძალიან ცუდი შედეგი გამოიღო, რადგან „წვრილი ერი მიიქცა მრავალი ცეცხლისმსაურებისა“[2].

საგდუხტ დედოფალმა ამ კატასტროფის შესაჩერებლად ბიზანტიიდან ღრმადმორწმუნე მღვდელი, სახელით მიქაელი მოიყვანა და ეპისკოპოსად დანიშნა. იგი ებრძოდა ცეცხლთაყვანისმცემლებს და დიდებულები და დაბალი ფენების უმრავლესობაც ქრისტიანობისაკენ მიაბრუნა. მისი მოღვაწეობის შედეგად ცეცხლთაყვანისმცემლობას დაბალი ფენების ნაწილიღა შერჩა[3].

უფრო დიდი ღონისძიებები ჩაატარა ვახტანგ გორგასალმა. მან სპარსელებთან ომის წინ ბარქარანი ციხეში ჩააგდო და „მოსრნა და განახსნა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართაგან ქართლისათა“[4]. ვახტანგ გორგასლის დამოკიდებულება ცეცხლთაყვანისმცემლობისადმი მოტანილი ცნობიდან კარგად ჩანს. იგი ფიზიკურად ანადგურებს მის

---

[1] იქვე, გვ. 145.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 178.

მსახურებს. ამას გარდა, როგორც ბიზანტიის იმპერატორს ატყობინებდა, სადაც კი ცეცხლის მსახურების ტაძრები ნახა, შარდით წაბილწა, მოგვები და სხვა მსახურები კი აწამა. მათი ეპისკოპოსი ბინქარანი ციხეში გამოკეტა. მართალია მან ციხიდან გაქცევა შესძლო, მაგრამ ქართლის საზღვართან მისული, მოკვდა[1].

ამრიგად, V საუკუნე ისე მიიწურა, რომ ქრისტიანობამ აშკარა უპირატესობა ცეცხლთაყვანისმცემლობასთან ვერ მოიპოვა. მეტიც, VI-VII სს. მიჯნის მოღვაწე სტეფანოზ I-იც კი ურწმუნო და ღმერთის უშიშია, ე.ი. არაქრისტიანია. მან „არა ჰმსახურა რა ღმერთსა, არცა ჰმატა სჯულსა და ეკლესიათა“[2].

ჰერაკლე კეისრის ლაშქობამ ქართლში ქრისტიანობის ავტორიტეტის ამაღლება გამოიწვია. ჯერ ერთი, რომ მან აწყურის დიდი საყდრის შენება დაიწყო[3], შემდეგ კი ძლიერი დარტყმა მიაყენა ცეცხლთაყვანისმცემლობას. „ქართლის მოქცევის“ მატიანის ცნობით „ყოველნი მოგუნი და ცეცხლისა მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ“[4].

ქრისტიანობის დანარჩენ სარწმუნოებასთან დამოკიდებულების წარმოსადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართლის სამეფოს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე გაბატონებულ ქრისტიანობის ამა თუ იმ მიმდინარეობის ოპოზიციურ მიმდინარეობასთან ურთიერთობის საკითხს.

პირველ რიგში კითხვა უნდა დავსვათ: იყო თუ არა ქართული ეკლესია ოდესმე მონოფიზიტური?

---

[1] იქვე, გვ. 179.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 222.

[3] იქვე, გვ. 224.

[4] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. I, გვ. 96.

ძველი ქართველი საეკლესიო მოღვაწეები მუდამ ამტკიცებდნენ, რომ ქართული ეკლესია მონოფიზიტური არასდროს ყოფილა, რითაც ძალიანაც ამაყობდნენ. მაგრამ თანამედროვე ქართველი ისტორიკოსები ამ საკითხს სხვანაირად უდგებიან.

მათი აზრით 506 წლიდან მოყოლებული, კარგა დიდხანს, ჩვენი ეკლესია მონოფიზიტური ყოფილა. მაგალითად, საქართველოს ისტორიის ნარკვევებში აღნიშნულია შემდეგი: 506 წლის დვინის საეკლესიო კრების შემდეგ, ქართლის ოფიციალური საეკლესიო სარწმუნეობა სხვა ქვეყნების მსგავსად, კარგა ხანს მონოფიზიტური იყო... 571 წლის აჯანყებამ, უეჭველია, იმავე დროს ანტიმონოფიზიტიზმის სახეც მიიღო. ამის მოწმობაა ის ცნობა, რომ უკვე 574 წ. ქართველებსა და ალბანელებს უარი უთქვამთ ქალკედონიტების წინააღმდეგ ბრძოლაზე. VI ს. 90-იან წლებში კი მონოფიზიტები აქ საბოლოოდ დამარცხებულან[1].

ამრიგად, 506 წლიდან 571 წლამდე მაინც ქართლში მონოფიზიტური ქრისტიანობა იყო გაბატონებული.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ იყო პერიოდი, როცა მონოფიზიტობა გაბატონებული იყო თვით ბიზანტიაშიც. მაგრამ 451 წლის ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრებამ ქრისტიანობის ეს ორი განსხვავებული მიმდინარეობა ერთმანეთისაგან გამიჯნა[2]. ამიერიდან მონოფიზიტიზმი (რაც ქრისტეს მხოლოდ ღვთაებრივ ბუნებას აღიარებდა) მხოლოდ ირანს დამორჩილებულ ქვეყნებშიღა ბოგინობდა.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 276.

[2] მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო... გვ. 379.

ქრისტიანული სარწმუნოების დიოფიზიტურ (ქრისტეს ღვთიური და ადამიანური ბუნების აღიარებას ნიშნავს) და მონოფიზიტურ მიმდინარეობებად დაშლას იმპერიაში სარწმუნეობრივი ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა. ხელისუფლება მონდომებით ცდილობდა ქრისტიანობის ერთიანობის კვლავ აღდგენას. 482 წელს იმპერატორ ზენონის მიერ გამოცემული ერთიანობის აქტი (ჰენოტიკონი) ქრისტიანობის ამ ორი მიმდინარეობის ერთმანეთთან მორიგებას ცდილობდა[1].

საინტერესოა 506 წ. დვინის საეკლესიო კრების დადგენილებებისა და ქართლის სარწმუნეობრივი კუთვნილების საკითხი. ცნობილია, რომ ამ საეკლესიო კრებამ გაიზიარა ზენონის ერთიანობის აქტი, რაც ნიშნავს, რომ კრება ქალკედონიტთა და მონოფიზიტთა ერთმანეთთან მორიგებას ცდილობდა. ამას გარდა ამ კრებამ დაგმო ნესტორიანელობა[2].

აქედან გამომდინარე, ჩვენ სამართლიანად გვეჩვენება აზრი იმის შესახებ, რომ 506 წელი არ არის ქართული ეკლესიის მიერ მონოფიზიტობის მიღების წელი და რომ ქართული ეკლესიის მონაწილეობა დვინის 506 წლის კრებაზე მის მიერ მონოფიზიტობის აღიარებას კი არ ნიშნავდა, არამედ კავკასიური (სომხეთ-ქართლ-ალბანეთის ეკლესიების) საეკლესიო ორგანიზაციული კავშირის შეკვრა იყო[3]. ეს ასევე მიაჩნია არსენ საფარელსაც[4].

---

[1] ეპისტოლეთა წიგნი. სომხური ტექსტი ქართული ნათარგმნით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი, 1968 წ., გვ. 140. კომენტ.

[2] ზ. ალექსიძე, სომხური სამოციქულო ეკლესია. ქსე, 9. გვ. 472.

[3] მთავარეპისკოპოსი ანანია... საქართველოს... ტ. I, გვ. 379-380.

[4] არსენ საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. გვ. 156.

თვით სომხების განდგომა ბერძნებისაგან არაერთ ძველ სომეხ მოღვაწეს 551-554 წლებში მომხდარად მიაჩნია[1].

რაც შეეხება 506 წელს, იგი უნდა მივიჩნიოთ ქართულ და სომხურ ეკლესიათა შორის ერთობის საწყისად. 506 წლის დვინის კრებაზე სპარსეთს სურდა საქართველოშიცა და ალბანეთშიც ისეთივე რეჟიმის შემოღება, როგორიც სომხეთში დაამყარა (სომხეთის სამღვდელოებას ადმინისტრაციული, ქვეყნის სამმართველო უფლებების გადაცემა)[2].

სომეხ-ქართველთა სარწმუნეობრივი ერთობის კრება 518-531 წლებში ჩატარებულა და არა 506 წელს[3]. 520-522 წლები ქართლის მიერ სომხებთან სარწმუნეობრივი ერთობის აღიარების წელია[4].

სწორედ ამ ანტიბიზანტიური სარწმუნეობრივი კრების აქტებს მოაწერა ხელი ქართულმა დელეგაციამ. თუმცა ქართლის სამეფო ხელისუფლება მისი წინააღმდეგი ყოფილა და აჯანყდა კიდეც, მაგრამ დამარცხებული ბიზანტიაში გაიქცა.

ამრიგად, 520-522 წლებში ქართლი მონოფიზიტური გახდა.

მონოფიზიტების ბატონობა ქართლში 551-554 წლებში დამთავრებულა, როდესაც მისმა ეკლესიამ უარი თქვა მონოფიზიტობაზე. ეს, ალბათ, მოჰყვა დვინის კრებას (552-554 წლებში), როდესაც სომხურმა საეკლესიო პირებმა შეაჩვენეს ქალკედონის კრება. ამრიგად, ქართლი მხოლოდ 520/522 – 551 წლებში ყოფილა მონოფიზიტური მიდრეკი-

---

[1] იქვე, გვ. 51, 131.

[2] მთავარეპისკოპოსი ანანია_ საქართველოს... ტ. I. გვ. 381.

[3] იქვე. გვ. 382.

[4] იქვე.

ლებისა, მაგრამ ის ამ დროსაც მსოფლიო კათოლიკე ეკლესიის წევრი იყო „რადგან თვით საბერძნეთში იმ დროს მონოფიზიტობაც გავრცელებული ყოფილა, მის აღმოსავლეთ პროვინციებში კი გაბატონებულიც“[1].

570-იან 590-იან წლებში ქართლში ქალკედონიზმი საბოლოოდ იმარჯვებს, თუმცა 604 წელს ირანი კვლავ აიძულებს ქართლს და მის ეკლესიას სომხებთან ეკლესიური ერთობა დაამყარონ. მაგრამ გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე კათალიკოსი კირიონი საბოლოოდ აცილებს ქართულ ეკლესიას მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიას (607/9წ.).

614 წელს სპარსეთმა კიდევ ერთხელ სცადა ქართლში მონოფიზიტობის საყოველაო დამკვიდრება.

მიუხედავად იმისა, რომ VIს.-ის 70-იანი წლებიდან ქართლმა აშკარად აღიარა ქალკედონიტობა, ქართველთა შორის მაინც მერავალი მონოფიზიტი უნდა დარჩენილიყო. ამას აღნიშნავენ აკადემიკოსები ივ. ჯავახიშვილი[2] და კ. კეკელიძე[3].

წყაროებშიც არაერთი მონოფიზიტი ქართველის სახელია დადასტურებული. მაგალითად, კათალიკოს კირიონის დროს ქართლში მოღვაწეობდა ეპისკოპოსი პეტრე, რომელიც აშკარად მონოფიზიტია.

ზ. ალექსიძის სიტყვით პეტრე ეპისკოპოსი ქართლის კათალიკოსის კარზე იყო და მის პოლიტიკას უჭერდა მხარს, თუმცა მონოფიზიტებიც თავის თანამოაზრედ თელიდნენ[4].

---

[1] მთავარეპისკოპოსი ანანია... საქართველოს... ტ. I, გვ. 384.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 350.

[3] კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 487.

[4] უხტანესი, ისტორია გამოყოფისა, გვ. 286

ეპისტოლეთა წიგნიდან ჩანს, რომ პეტრე ეპისკოპოსი ქართლში მონოფიზიტების ქომაგია. ეს აშკარად ცხადდება ვრთანესის წერილში[1]. სომხები მას ქალკედონიზმის წინააღმდეგ აქეზებენ და მის შესამკობად ნაირნაირ ეპითეტებს ხმარობენ[2].

საინტერესოა ისიც, რომ არც თვითონ კირიონი იყო ორთოდოქსი ქალკედონიტი და როგორც მონოთელიტი[3] ქალკედონიტთა და მონოფიზიტების შერიგებას ცდილობდა. ამიტომაც იტანდა თავის კარზე კირიონი მონოფიზიტ ქართველ ეპისკოპოს პეტრეს. ცხადია, რომ რაკი მოსახლეობაში მრავალი მონოფიზიტი იყო, ისინი სამღვდელოებაშიც იქნებოდნენ.

უფრო საინტერესოა ვრთანესის პასუხი მოსე ეპისკოპოსის ეპისტოლეზე. აქ ვრთანესი აცხადებს, რომ ქართლის „აზნაურთაგან ზოგიერთმა რომ" მისწერეს მათი მინაწერი ისეთია, „როგორც რაღაც სნეულებაში ბოდვით ჩაეარდნილებისა, რომელთაც არ იციან რას ლაპარაკობენ".

მისი სიტყვით ისინი ამბობენ: „ჩვენ ეს სარწმუნეობაც (ე.ი. დიოფიზიტობა) გვაქვს და ეგეცო (ე.ი. მონოფიზიტობა); სჯულს აქაც ვეზიარებით და მანდაცო. მოსეს, თუ სურს, მოვიდეს, ჩვენს კათალიკოსს დაემორჩილოს, რადგან ჩვენ ასე მოგვწონს და თავისი ადგილი დაიკავოსო"[4]. მოტანილი წერილის ნაწყვეტიდან აშკარად ჩანს, რომ მონოფიზიტობა ქართველ აზნაურებშიც ყოფილა გავრცელებული.

---

[1] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 38-40.

[2] იქვე, მაგ. ვრთანესი მას „ღვთაებრივ მომადლებული პაგიით გაბრწყინებულ დიდებულ უფალ პეტრეს", „ქომაგს" და ჭეშმარიტი სარწმუნოების (ე.ი. მონოფიზიტობის) მოყვარულს და ა.შ. უწოდებს (გვ. 38).

[3] ეპისტოლეთა წიგნი, გვ. 214-225.

[4] იქვე, გვ. 45.

მონოფიზიტობის კვალი აშკარად ჩანს ჰერაკლე კეისრის (610-641) ქართლში ლაშქრობის შედეგებშიც. ჰერაკლემ წარმართებს და ცეცხლთაყვანისმცემლებს ხომ დიდი ზარალი მიაყენა, მაგრამ მონოფიზიტებსაც ძლიერ დაარტყა. მათ „ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდესო“, ნათქვამია ერთ-ერთ წყაროში[1].

იმავე წყაროს მიხედვით ჰერაკლემ „განწმინდა შჯული ქრისტესი და წარვიდა“[2].

ჰერაკლეს ეს ღონისძიება, ალბათ, მონოფიზიტების მოწინააღმდეგე ფრთას — დიოფიზიტებს აძლევდათ ხელს. ისიც აღსანიშნავია, რომ ეპისკოპოსი პეტრე, ეროვნებით ქართველი, მაგრამ სომხების ლეგარული აგენტი ქართლში, ქართველმა მთავრებმა მოჰკლეს.

[1] ძველი ქართული პაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, გვ. 96.

[2] იქვე.

II თავი. არაბების ეკონომიკური პოლიტიკა ქართლში – ქართველი ხალხის რელიგიური და პოლიტიკური ორიენტაციის გაღრმავების საწუძველი.

§1. ე.წ. „დაცვის სიგელის“ ზოგიერთი პირობა და მათი ეკონომიკური და რელიგიური შედეგები.

654 წელს, ბიზანტიის სარდალ მავრიანოსის დამარცხებისა და დევნის შემდეგ, არაბები ქართლის საზღვრებში შევიდნენ. ქართლის ერისთავმა ომი არ ისურვა და მათგან ზავი და მშვიდობა ითხოვა. არაბი სარდალი ჰაბიბ იბნ-მასლამა მისი ქცევით კმაყოფილი დარჩა და ქართლის მოსახლეობას[1] საგანგებო დოკუმენტი მისცა ზავისა და შუამავლობის ნიშნად. ეს დოკუმენტი რამდენიმე ვარიანტის სახით არის შემონახული. ორი მათგანი ბელაძორისა და ტაბარის თხზულებებში ჩართული, სომეხმა მეცნიერმა მ. ხაზარიანმა გამოაქვეყნა[2] და მათი ქართული თარგმანები და ანალიზი ივ. ჯავახიშვილმა მოგვცა[3].

შემდეგ ცნობილი გახდა იაკუბისეული ტექსტი და ქრონოლოგიურად ყველაზე ძველი ვარიანტი, რომელიც აბუ უბაიდის იურიდიულ ტრაქტატში აღმოჩნდა შეტანილი[4]. ამ

---

[1] არის აზრი, რომ „დაცვის სიგელი“ გაცემულია მხოლოდ ქალაქ თბილისის მცხოვრებთათვის და არა ქართლის ან მისი ნაწილის მცხოვრებთათვის (ო. ცქიტიშვილი, პაბიბ-იბნ მასლამას დაცვის სიგელის დათარიღებისათვის, „მაცნე“, 1971 წ., № 1, გვ. 192; მისივე პაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“ ბუ უბაიდის თხზულებაში. „მაცნე“, ისტორიის... სერია. 2, 1976 წ., გვ. 189-192).

[2] M. Ghazarian, Armenien unter der arabischen Herschaft (Marburg, 1903), გვ. 23-24.

[3] თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, გვ. 75-76.

[4] თ. ცქიტიშვილი, პაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბაიდის თხზულებაში. „მაცნე“, ისტორიის... სერია. 2, 1976 წ., გვ. 189-192.

დოკუმენტის გაცემის ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის[1], თუმცა მისი დათარიღების არაერთი ცდაა მოცემული[2].

ამ მნიშვნელოვან დოკუმენტში ცხადად არის გამიჯნული არაბებისა და ქართველების უფლება-მოვალეობანი[3], რომელთაგან ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს მოსახლეობის მიერ ჯიზიის გადახდის ვალდებულება და ისლამის მიმღებ ქართველებთან არაბების დამოკიდებულების საკითხი. ეს ორი საკითხი იმიტომ გამოვყავით, რომ მათ უშუალო კავშირი აქვთ საკვლევ თემასთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ დოკუმენტის პირობების წყალობით ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა და გამუსლიმანებულ ქართველთათვის მიცემულმა შეღავათებმა, ქართლში შექმნეს ის პირობები რამაც მოსახლეობა ბიზანტიის ორიენტაციისაკენ წაიყვანა.

სამართლიანად აღნიშნავს ე. ბელიაევი, რომ "Все возделанные земли, оказавшиеся под их господством, они рассматривали как собственность мусульманской общины верующих. Завоеватели были заняти захватом добычи взиманием дани и контрибуции. Поэтому они не могли и не стали вмешиватся в общественное производство покоренного населения, не

---

[1] ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში. თბილისი, 1979 წ., გვ. 92.

[2] ივ. ჯავახიშვილი მას 643-645 წლებში გაცემულად თვლიდა (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი... ტ. II, გვ. 73.); ბ. სილაგაძე კი 645 წლით ათარიღებდა (ბ. სილაგაძე, პაბიბ იბნ-მასლამას დაცვის სიგელის დათარიღებისათვის). „მაცნე", 1971 წ., №1, გვ. 69. პროფესორ ა. ტერ-გევონდიანს იგი 654-655 წლებში გაცემულად მიაჩნდა. (А. Тер-Гевондиан, Армения и Арабский халифат. Ереван, 1977 г.,) გვ. 43

[3] ე. სიხარულიძე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრომები. ტ. 73; 1959, გვ. 170-172.

пытались изменить существовавщии строй"[1].

იმ ქვეყნებში სადაც ისინი უმრავლესობას შეუნარჩუნეს (სულჰის მიწები) ოღონდ „ხარაჯას" გადახდის პირობით[2].

ხარაჯა მიწაზე არსებულ გადასახადს ერქვა. ჯიზია VII საუკუნეში ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სულად გადასახადს. ჯიზია და ხარაჯა თავიდან სინონიმები იყვნენ და ხარკს ნიშნავდნენ. VII-VIII საუკუნეების მიჯნაზე ჯიზია მხოლოდ სულადობრივ გადასახადს აღნიშნავდა, ხარაჯა კი მიწაზე არსებულ გადასახადად დარჩა.

ხარაჯას არამუსლიმანები იხდიდნენ[3].

VII ს.-ში მუსლიმანი ხარაჯას არ იხდიდა. ამას გარდა ვინც კი ისლამის სარწმუნეობას მიიღებდა, ხარაჯისაგან თავისუფლდებოდა.

ხარაჯას აკრება „მისაჰას" და „მუკასამას" წესით ხდებოდა. მისაჰას გადასახადი მიწის მოცულობის მიხედვით აიკრიფებოდა, თანაც ფულით. „მუკასამას" წესით გადასახადის აკრეფა ნიშნავდა მოსავლის ნაწილის გაღებას. ხარაჯა მისაჰას ფორმით „ეს იყო ძალიან მაღალი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი — ოდენობის მხრივ, გადასახადი, რომლიც არ ითვალისწინებდა მიწის ნამდვილი შემოსავლის ზომას და ხასიათს. ხარაჯის გადასახადზე მთელი თემი ვალდებული იყო. ერთი რომელიმე ინდი-

---

[1] Е. А. Беляев, Арабы, ислам и арабский халифат... 1966 წ., გვ. 141.

[2] ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბილისი, 1957 წ., გვ. 60.

[3] იქვე, გვ. 62; მხოლოდ 700 წელს გამოიცა Яхъя იბნ-იუსუფის კანონი, რომელიც აუქმებდა გამუსულმანებულისაგან ხარაჯის არაუკრეფაობას.

ვიდუალური გადამხდელის გაღატაკების შემთხვევაში მისი გადასახადი ეწერებოდა მის მეზობლებს...“[1].

ხარაჯა მისაჰა ექსპლოატაციის უმძიმესი ფორმა იყო[2]. რაც შეეხება ჯიზიას ისიც არამუსლიმანებზე დაწესებული სულადობრივი გადასახადი იყო[3], მაგრამ მას თავიდან კომლობრივად იხდიდნენ[4].

ჯიზიას იხდიდნენ ყველა ზიმია: ქრისტიანები, იუდეველები, მაჯუსები (მაზდეანელებები), საბაელები, სამარიტელები, და სხვა არამუსლიმანები[5]. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ ბანუ-თაღლიბის ტომის ქრისტიანები და ნეჯრანის მცხოვრებლები[6].

ჯიზია წელიწადში ერთხელ აიღებოდა. დასაწყისში მისი ოდენობა 1 დინარი იყო (ან 12 დირჰემი), შემდეგ კი 12, 24 და 48 დირჰემის ოდენობა გახდა.

ჯიზიას იხდიდნენ სრულწლოვანი, სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი და გადასახადისუნარიანი მამაკაცები[7].

ზემოთ მივუთითეთ, რომ ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე „დაცვის სიგელის“ ის დებულებაც, რომელშიც იმ ქართველთა ხელშეუხებლობის შესახებაა ლაპარაკი, რომლებიც ისლამის რჯულზე გადასვლას მოიწადინებენ.

---

[1] ს. ჯანაშია, არსებობა საქართველოში, 1936 წ., გვ. 38-39. იხ. აგრეთვე: A. Kremer, Culturgeschichte des Orients unter den Chalifen, ტ. I; გვ. 256.

[2] ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 89.

[3] იქვე, გვ. 92.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 92-93.

[6] იქვე.

[7] იქვე, გვ. 93.

არაბებმა საგანგებოდ იზრუნეს ამ საკითხზე და გამუსლიმანებულ ქართველთა ხელშეუხებლობა „დაცვის სიგელში“ დააფიქსირეს. ამით ქართლის ხელმძღვანელობას მნიშვნელოვანი დათმობა დასტყუეს. ამიერიდან, ერთ მხრივ მათი ეკონომიური პოლიტიკა – ქართველებისათვის მძიმე ხარკის შეწერა და, მეორე მხრივ, მათი რელიგიური პოლიტიკა – არაბული გადასახადის სიმძიმით შეწუხებული ქრისტიანების (და არა მარტო ქრისტიანების) მიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ისლამის სარწმუნოებაზე გადასვლა, არც თვით ქართულ ეთნოსს უქადდა კარგ რამეს და არც სახელმწიფო რელიგიას – ქრისტიანობას.

ამას ემატებოდა ისიც, რომ ისლამისტური რელიგიის ოფიციალური სახელმძღვანელო „ყურანი“ არამუსლიმანების მიმართ ძალიან მკაცრ პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა.

ყურანის IX სურაში წერია: „ებრძოლეთ იმათ, რომელთაც არ სწამთ ალლაჰი და საშინელი სამსჯაროს დღე, რომლებიც არ თელიან აკრძალულად მას, რაც აკრძალეს ალლაჰმა და მისმა მოციქულმა, რომელთაც არ სწამთ ჭეშმარიტი სარწმუნოება და თაყვანს სცემენ თავიანთ წიგნებს, ვიდრე არ გადაიხდიან ჯიზიას პირადად, დამცირების მიზნად“[1].

არაბთა ბატონობა განსაკუთრებით მას შემდეგ დამძიმდა, რაც სახალიფო ხელისუფლება აბასიანების დინასტიამ მიიღო (749 წ). აბასიანებმა გადასახადები გაუდიდეს როგორც დაპყრობილ ხალხებს, ისე თვით არაბებს. ამას ზედ დაერთო არამუსლიმანების დევნაც[2].

---

[1] ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. გვ. 92.

[2] ს. ჯანაშია, მრომები, ტ. II, გვ. 393.

სწორედ ამ დროს გულისხმობდა VIII ს-ის მეორე ნახევრის მწერალი იოანე საბანისძე, როდესაც გოდებდა: „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქეჯნილნი, ძვრძვრად ზღუულნი“[1]-ო. სომეხი ისტორიკოსები ღევონდი და ასოღიკიც აღნიშნავენ[2] თუ რა ძნელბელობა შეიქმნა აბასელ ხალიფების დროს დაპყრობილ ქვეყნებში.

ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. ის უარყოფითი შედეგები, რაც არაბების ბატონობამ ქართველ ხალხს მოუტანა, კარგად აქვს ნაჩვენები ივ. ჯავახიშვილს თავის „ქართველი ერის ისტორიაში“. (II ტომი)[3]. ჩვენ იმის დაფიქსირება გვინდა, რომ ცალკერძ ეკონომიკური შევიწროვება და ცალკერძ რელიგიური „ხაფანგი“ – მუსლიმანობაში გადასვლის შეუზღუდველობა და გამუსლიმანებულ ქართველთათვის ბოძებული პრივილეგია (ძმობა, რაც მათ ჯიზია-ხარაჯისაგან ათავისუფლებდა) ჩვენ ხალხის ნაწილს თავის თანამოძმეებს აცილებდა, „აარაბებდა“ და დამპყრობლის საყრდენად აქცევდა. ყველაფრიდან ჩანს, რომ არაბები არც ერთი ფენის წარმომადგენელს არ ინდობდნენ და უბედურება საერთო ეროვნული იყო. საჭირო ხდებოდა მთელი ხალხის მონდომება რათა ამ დიდი უბედურებისაგან ერი დაეცვათ. გამოსავალი მთელი ქართველობის ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასა და ერთიანი ძალით მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში იყო, მაგრამ იმ დროს ეს იდეა განხორციელებადი არ ჩანდა. მანამ ძლიერი მფარველის მოძიება იყო საჭირო.

---

[1] ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, გვ. 50.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, 87-88.

[3] იქვე.

§ 2. ქართველ მეფე-მთავართა ლტოლვა ბიზანტიის მფარველობაში შესასვლელად, როგორც საკუთარი ქართული (+ ქრისტიანული) მეობის გამოხატულება.

ხაზგასმით გამოვყობთ არაბთა ერთ უვარგის ხასიათს: ისინი დაპყრობილი ხალხების მაღალი წრის წარმომადგენლებს მთელი სიმკაცრით ებრძოდნენ. „უკუეთუ ვინმე გამოსჩნდის რომელიმცა ღირს იყჳს მეფედ შვილთა შორის ეახტანგისაითა, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან“ – წერს „მატიანე ქართლისა“-ს ავტორი[1].

არაბების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ძალიან კარგად გამოჩნდა ნერსე ადარნასე კურაპალატის ძისადმი გამოყენებულ პოლიტიკაში. 772 წელს იგი ქ. ბაღდადს გაიწვიეს, სადაც ციხეში ჩააგდეს და სამი წელი პატიმრად ჰყავდათ. 775 წელს იგი საპყრობილედან გაათავისუფლეს, მაგრამ შემდეგ, 780-781 წლებში, არაბები კვლავ გაურისხდნენ მას, რის გამოც შეშინებული ერიმთავარი იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო. გადაიხვეწნენ მისი ცოლ-შვილიცა და მხლებელ-ახლობლებიც.

არაბების ეს პოლიტიკა სომეხ მემატიანეს ასოღიკსაც აქვს დადასტურებული[2].

როდესაც არაბებმა ამიერკავკასიაში ფეხი მტკიცედ მოიკიდეს, „დაიპყრეს ქ. ტფილისი აგარიანთა, შეიქმნეს სახლად საყოფელად თჳისად [და] მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისგან“[3]. აქვე დასვეს თავიანთი მოხელე ამირაც,

---

[1] „მატიანე ქართლისა“ – ქართლის ცხოვრება, ტ. I.

[2] იე. ჯაყახიშვილი. თხზულებანი, ტ. II, გვ. 88.

[3] „მატიანე ქართლისა“, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 250.

რომელიც იყო „ჭელმწიფე ქუეყანისა“ და „მსაჯული ამირა“[1].

ამიერიდან ერისმთავრის დანიშვნა-გადაყენებაცა და, საერთოდ, ბედ-იღბალიც, არაბებზე იყო დამოკიდებული. მაგ. არაბებმა გადააყენეს ქართლის ერისმთავრობის თანამდებობიდან ნერსე ერისთავი და მის ნაცვლად დანიშნეს სტეფანოს გურგენის ძე. VIII საუკუნის მიწურულს არაბებმა სულ გააუქმეს ქართლში ერისმთავრობა. ამას გარდა, ქართლის ძველი არისტოკრატია — სეფეწულები მრავლად გაჟლიტეს[2]. ამით არაბები ქვეყნის უბრალო მოსახლეობის კიდევ უფრო ღრმად დაუფლებას ცდილობდნენ.

ყოველივე ეს ქართველი ერის გაღიზიანებისა და არაბების წინააღმდეგ საბრძოლოდ განწყობის საფუძველს იძლეოდა. საშიშროება იმდენად დიდი იყო, რომ თანდათან არაბებისაგან განდგომის, მისგან თავის დაღწევის აზრმა იწყო ჩამოყალიბება. რაკი გაკეთდა იმ მდგომარეობის ანალიზი, რომელიც არაბთა ბატონობამ ქართლის მოსახლეობას მოუტანა (იოანე საბანიძე), მაშასადამე უნდა დასმულიყო საკითხი ამ პრობლემის გადაჭრის შესახებაც.

არაბთა ბატონობას ისიც ამძიმებდა, რომ მათ საქართველოს ბევრ მხარეში თავიანთი მოსახლეობები გაიჩინეს. ეს ქართლში ბატონობის მტკიცე დასაყრდენის შექმნას ნიშნავდა. როგორც ისტორიის სხვადასხვა მაგალითებით ვიცით, არაბიზირებულმა მოსახლეობამ (იგივე მუსლიმანებმა) უაღრესად უარყოფითი როლი ითამაშეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ისლამურ რეჟიმთან თანამშრომლობა ქართველი ხალ-

---

[1] იქვე.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე და სხვ. საქართველოს ისტორია, ტ. I, (უძველესი დროიდან XIX ს.-ის დასასრულამდე). 1958 წ., გვ. 121.

ხის ეთნიკურ და რელიგიურ გადაგვარებას ნიშნავდა.

ამ რეჟიმიდან თავის დაღწევა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამებოდა, მაგრამ როგორ უნდა მომხდარიყო ეს? რაკი ქვეყნის ცენტრი არაბთა წარმომადგენელმა დაიკავა (მან თავისი მრავალრიცხოვანი მოხელეებით სრულიად განდევნა თბილისიდან ქართული ადმინისტრაცია) საჭირო გახდა ქვეყნის გარე რაიონების ხელში ჩაგდება, ამირას და ქ. თბილისის ალყაში მოქცევა და საბოლოოდ, ცენტრის ხელში ჩაგდება. შემდეგში ყველაფერი მართლაც ასე მოხდა და სასურველი შედეგებით დამთავრდა. მაგრამ ეს იყო გვიან. მანამ კი სხვა საკითხები გვაქვს გასახილველი.

III თავი. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება და ბიზანტიური ორიენტაციის განვითარების თავისებურებები.

§1. გიორგი I და ბიზანტიასთან ურთიერთობის გამწვავება, როგორც საქართველოს სამეფოს თვითდამკვიდრების გამოხატულება.

X ს.-ის 70-იან წლებში ორმა დიდმა ქართველმა მამულიშვილმა, ტაო-კლარჯეთის მეფე დავით კურაპალატმა (გარდ. 1001 წ.) და ეგრის-აფხაზეთის მეფის ერისთავმა ქართლში იოანე მარუშის-ძემ, ჩაიფიქრეს და კიდეც განახორციელეს გეგმა, რომლის საფუძველზე ქართული მიწაწყლის დიდი ნაწილის გაერთიანება და შემდეგში სრული გაერთიანების საქმესაც სათავე დაედო. დავით კურაპალატმა და იოანე მარუშის-ძემ დაიწყეს და დიდმა დავით აღმაშენებლმა დაამთავრა იმ შენობის აგება, რომელიც XII ს.-ში და XIII ს.-ის პირველ მეოთხედში ისე მონუმენტურად გამობრწყინდა. საქართველოს სახელმწიფოებრიობას ვგულისხმობთ.

„მატიანე ქართლისა“-ს ავტორის მიხედვით X ს.-ის პირველ ნახევარშიც და შემდგომაც ქაეეყანაში სრული პოლიტიკური ანარქიაა: თბილისსა და მის შემოგარენში კვლავ არაბები ბატონობენ, ქართული სამეფო-სამთავროები ურთიერთს ებრძვიან, ქვემო ქართლის ნაწილი სომხებს მიუტაციათ. სწორედ ამ დროს იოანე მარუშის-ძე – ეგრის-აფხაზეთის მეფის ერისთავი ქართლში X ს.-ის 70-იან წლებში, უგზავნის მოციქულს დავით კურაპალატს შენათვალით: შეიერთოს ქართლი ან უბოძოს ბაგრატ გურგენის ძეს, რომელიც დედის ხაზით ეგრის-აფხაზეთის მეფის შვილიშვი-

ლი იყო[1].

დავითმაც არ დააყოვნა, ქართლში მივიდა, იოანე მარუშის-ძისაგან ეს ქვეყანა ჩაიბარა და ბაგრატს და მის მამას, გურგენს მიუბოძა. შეეძლო ქართლი თვითონ დაეჭირა, მაგრამ მაინც ბაგრატს უბოძა. ამ გეგმის გენიალურობაც სწორედ ამაში იყო. დავითს შვილი არ გააჩნდა და ბაგრატი შვილობილად ჰყავდა აყვანილი. როგორც ითქვა ბაგრატი დედით ეგრის-აფხაზეთის მეფის შვილიშვილი იყო. ამ ქვეყნის სამეფო კარზე კი ისეთი არეულობა სუფევდა, რომ ბაგრატის მის მეფედ გამოცხადებაც ძნელი არ იყო. იოანე მარუშის ძის და დავით კურაპალატის შემდგომი საქმიანობა სწორედ ამ გეგმის განხორციელებას ემსახურებოდა. 975 წელს, ქართლის გამგებლად გამოცხადების შემდეგ, 978 წელს იგი ეგრის-აფხაზეთის მეფედ გამოაცხადეს. 1008 წელს ბაგრატის მამა გურგენი გარდაიცვალა და მისი სამფლობელოებიც მას დარჩა.

სამწუხაროდ, ბაგრატ მეფემ მისი მამობილის, დავით კურაპალატის, მიწა-წყლის დაუფლება ვერ შესძლო. ბიზანტიის იმპერიის დიპლომატიამ დროულად მიიღო ზომები და 1000 წელს, დავითის გარდაცვალებისთანავე, მისი სამფლობელო შეიერთა. ამით ბაგრატ III-ის აღზევების საქმეს ხელი შეუშალა. იოანე მარუშის-ძის და დავით კურაპალატის მიერ მოხაზულ საქართველოს გაერთიანების გეგმაში ასეთი გადახვევა გათვალისწინებული არ იყო და, ალბათ, ბაგრატს ძალიან უნდა განეცადა. ამის მიუხედავად 1010 წელს მან კახეთ-ჰერეთიც შეიერთა. ისე, რომ ახლა საქართველოს მეფის უფლებები მხოლოდ დავით კურა-

[1] მაგიანე ქართლისა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 272.

პალატისეულ მიწებზე, ტაშირ-ზორაკერტის სამეფოსა და თბილისის საამიროზე არ ვრცელდებოდა. დანარჩენი მიწები კი ბაგრატის დროშის ქვეშ შემოიკრიბნენ.

„მატიანე ქართლისას“ ავტორის მიხედვით ბაგრატი „წარემატა ყოველთა ჴელმწიფეთა ყოვლითა განგებითა. ამისდა შემპოვნედ და ამისდა მოაჯედ შეიქმნეს ყოველნი ჴელმწიფენი, მახლობელნი და მოთაულნი მამულისა და სამეფოსა მისისანი, მოლაშქრედ ვითარცა თვისნი და მისანდობელნი“[1].

ამ მემატიანის სიტყვით ვახტანგ გორგასლის შემდეგ ბაგრატის მსგავსი არავინ გამოჩენილა[2].

ბაგრატ III გარეგნულად, ბიზანტიის სახელმწიფოსთან თანხმობაში იყო. საქართველო ჯერ საიმისოდ არ იყო მზად, რომ ბიზანტიის წინააღმდეგ ხმა აემაღლებინა. ბიზანტია ირანთან და არაბებთან წინააღმდეგობის გამო დამოუკიდებლოსათვის მებრძოლ ქართველ მეფეებს მფარველობდა და გარკვეული როლი შეასრულა მათი, კერძოდ ბაგრატიონთა, ფიზიკური გადარჩენის საქმეში. ამას გარდა, ბაგრატიონი მეფეები, ნიშნად ბიზანტიის იმპერატორის ყმობისა, ნაირ-ნაირ ბიზანტიურ ტიტულებს ატარებენ. მაგ. აშოტ ადარნასეს ძე ბაგრატიონი – კურაპალატია. ბაგრატ აშოტ კურაპალატის ძე – კურაპალატია, დავით ძე ბაგრატ კურაპალატისა – კურაპალატი და ა.შ.

მაგრამ საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანების აუცილებლობა ბაგრატსა და მის შემდგომ სხვა მეფეებსაც აუცილებლად ბიზანტიის წინააღმდეგ აამხედრებდა. არაბების საგრძნობი დასუსტების გამო, ბიზანტია ამიერკავკასიაში

[1] იქვე. გვ. 281.

[2] იქვე. გვ. 282.

თავისი ძველი მდგომარეობის აღდგენას აპირებდა და ძლიერი საქართველოს წარმოქმნა მის პოლიტიკურ მიზნებში არ შედიოდა. იგი იმთავითვე ქართველებისთვის ამ მნიშვნელოვანი პროცესის ხელის შეშლის გზას დაადგა. ივ. ჯავახიშვილმა სამართლიანად მიაქცია ყურადღება 1001 წლის შემთხვევას, როდესაც დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორი ბასილი მაშინვე მის სამფლობელოში მოვიდა და, თუმცა ბაგრატ მესამე და მისი მამა გურგენიც იქ იყვნენ, დავითის სამფლობელოს[1] მიღების იმედიც ჰქონდათ, მაგრამ იმპერატორმა ეს მიწები ერთ თავის მოხელეს ჩააბარა[2]. ეს, საქართველოს მიმართ, ბიზანტიის ფარული მტრობის გამოვლენას ნიშნავდა. აშკარა იყო, რომ იგი ხელს უშლიდა ქვეყნის გაერთიანების საქმეს. მაგრამ იმპერატორის ხრიკები კიდევ უფრო აშკარად გამოიკვეთა ტიტულების განაწილებისას. მან ბაგრატს კურაპალატობა მისცა, ხოლო მამამისს გურგენს – მაგისტროსობა. კურაპალატობა მაგისტროსობაზე მაღალი პატივი იყო. ქართველი მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ იმპერატორმა ეს საგანგებოდ ჩაიდინა, რათა „ვითარ მტერი ყუნა ერთმანეთისა მიმართ მამა-ძენი ესე და მით ღონითა იძმაცევა“[3].

მაგრამ ბაგრატის მამამ ჭკუა იხმარა, იმპერატორის ხრიკებს არ აჰყვა და შვილთან კეთილი ურთიერთობა შეინარჩუნა. იმპერატორზე კი განაწყენდა[4].

---

[1] ამ საკითხზე იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, გვ. 128.

[2] იქვე, გვ. 128.

[3] მატიანე ქართლისა, ტ. I, გვ. 278.

[4] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 130.

დავით კურაპალატისეულ მიწაში იგულისხმებოდა, ერთმხრივ ქართული მამა-პაპური, მეორე მხრივ კი – 977 წლის შემდეგ შეძენილი ხალტოიარიჭის, კელასურის, ჩორმაირის, კარინის, ბასიანის, ციხე სევუკის, ჰარქისა და აპაჰუნის ოლქები[1]. მეორე კატეგორიის მიწები დავითმა 977 წელს, ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში შეტანილი დიდი წვლილის სამაგიეროდ მიიღო იმპერატორისაგან საჩუქრად.

მაგრამ, 989 წელს დავით კურაპალატი ბასილ კეისრის წინააღმდეგ აჯანყებულ ბარდა ფოკას მიემხრო და, დასჯის თავიდან ასაცილებლად, მთელი თავისი სამფლობელო ანდერძით კეისარს გადასცა, ამას გვაუწყებს არაბი მემატიანე იაჰია ანტიოქიელი[2].

ამრიგად, დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, 977 წელს საჩუქრად მიღებულ მიწებთან ერთად, ბასილ კეისარმა მისი მამულებიც თან გააყოლა. ამით, ფაქტობრივად, დიდი დარტყმა აგემა გაერთიანებისა და გაძლიერების გზაზე შემდგარ საქართველოს. ეს იყო ჩუმი, ჯერ კიდევ „კანონიერების“ მოშველიებით წარმოებული ბრძოლა. მართალია გურგენ მეფემ ბასილის ხრიკები კარგად ამოიცნო, ბიზანტიის ხელში მყოფ ტაოს შეესია და ოლთისის ციხესაც კი მიადგა, მაგრამ ვერაფერს გახდა[3]. ამ პრობლემის გადაჭრა XI ს.-ის დასაწყისში ვერ მოხერხდებოდა და არც მოხერხდა.

გიორგი I-ის მეფობა (1014-1027) ეს არის ბიზანტიის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, გვ. 128.

[2] В. Розен, Император Василий болгаробоица, 27; ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, გვ. 128.

[3] ასოლიკი (იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 130-131).

წინააღმდეგ აშკარა გამოსვლა. სწორედ შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, რომ გიორგი I „თითქმის მთელი თავისი მეფობა და ძალღონე... ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია“-ო[1].

მისი ბრძოლა ეს არის მოფიქრებული, აწონილ-დაწონილი ღონისძიებანი. ჩანს, რომ იგი ამ ომისათვის საგანგებოდ ემზადებოდა. მან ბიზანტიის წინააღმდეგ საბრძოლველად კავშირის დამყარება სცადა ზოგიერთ მუსლიმან მბრძანებელთან[2].

მართალია გიორგი I-ის ბრძოლა ბიზანტიასთან წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ ცხადი გახდა, რომ იმპერიის მეზობლად ყალიბდებოდა სახელმწიფო, რომელიც, საბოლოო გაერთიანების შემთხვევაში პრობლემებს შეუქმნიდა მას. ამიტომაც აკეთებდა იმპერია ყველაფერს, რომ საქართველოს გაძლიერება არ დაეშვა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოიხატა ბაგრატ IV-სა და ბიზანტიას შორის ურთიერთობაში.

§ 2. ბაგრატ IV და ბიზანტიის აშკარა ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

რაკი საქართველოს ტახტზე მცირეწლოვანი ბაგრატ IV ავიდა, ქვეყნის გაერთიანებით უკმაყოფილო დიდაზნაურთა ნაწილი ტაო-კლარჯეთიდან, ბერძენთა მხარეზე გადავიდა. კეისარი არაფერს იშურებდა საქართველოში თავისი აგენტურის გასაჩენად. მან ამ მიზნით საქართველოში მოიყვანა ბაგრატ IV-ის მეტოქე, ძე გურგენ კლარჯისა დემეტ-

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 133.

[2] В. Розен, Василий болгаробоица გვ. 61.

რე, რომელიც ტახტის მაძიებელი იყო, ბიზანტიაში ცხოვრობდა და „წერილი ერის“ ნაწილი თავის მხარეზე გადაიბირა[1].

1030-1031 წელს, ბაგრატის დედის, მარიამის ბიზანტიაში მოგზაურობამ „ძებნად მშვიდობისა და კუალად ძებნად პატივისა კურაპალატობისასა ძისა თვისასა“ აგრეთვე ბაგრატისათვის ცოლის შესართველად, ნაყოფი გამოიღო. იმპერატორმა „აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით, მისცნა ფიცნი და სიმტკიცენი, ერთობისა [და] სიყვარულისათვის დაუწერა ოქრობეჭედნი მოსცა პატივი კურაპალატობისა და მოსცა ცოლად ბაგრატ თუის ელენე დედოფალი“[2]. სამწუხაროდ ელენე დედოფალი „შემდგომად მცირედისა ჟამისა“ მიიცვალა[3], რამაც საქართველოსათვის მშვიდობის შენარჩუნების საქმე ეჭვს ქვეშ დააყენა. სულ მალე ამის შხამიანი შედეგიც გამოჩნდა. ბიზანტიამ ბაგრატ IV-ს ძმის, დემეტრეს წყალობით ქ. ანაკოფია ჩაიგდო ხელთ[4].

ისე, რომ ბიზანტიელებმა ახლა საქართველოს დასავლეთ-სამხრეთ ნაწილთან ერთად ჩრდილოეთიც ნაწილობრივ წაიღეს. თუმცა დემეტრე ბიზანტიაში წავიდა.

ბიზანტიის მზაკვრული დამოკიდებულება საქართველოსადმი უფრო კარგად გამოიკვეთა ბაგრატ IV-ის პირადი მტრის – ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბაღვაშთან ურთიერთობაში.

თავდაპირველად ლიპარიტი დიდი პატრიოტი იყო. მან ხელთ იგდო თბილისის ამირა ჯაფარი (1032 წ.) და მას ცი-

---

[1] მაგიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, გ. I, გვ. 292.

[2] იქვე, გვ. 294.

[3] იქვე, გვ. 295.

[4] ამ დემეტრეს შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი... გ. II, გვ. 140.

ხე-სიმაგრე ბირთვისი წაართვა. შემდეგ, დაახლოებით 1037-1040 წლებში კი ალყა შემოარტყა თბილისს და მის აღებას ლამობდა. ამირა ჯაფარ ალის ძე ცუდ დღეში აღმოჩნდა, მაგრამ საქართველოს მეფემ ალყა მოხსნა. ლიპარიტ ბაღვაში ამაშიცა და 1032 წელს მის მიერვე შეპყრობილი ამირა ჯაფარ ალის ძის განთავისუფლებაში ბრალს ბაგრატს დებდა. ეტყობა იგი მართალი იყო და მეფეზე გაბრაზების მიზეზიც ჰქონდა. ყველაფრიდან ჩანს, რომ ბიზანტიას თავისი მომხრეები ცენტრალურ ხელისუფლებაშიც ჰყავს. ეტყობა ისინი ვინც ლიპარიტ ბაღვაშის მიერ ჩადენილ ამ ორ მამულიშვილურ საქმეს შლიდნენ, ეკუთვნოდნენ მტრულად განწყობილ ფრთას. მათ, ასეთი ქცევით იმას მიაღწიეს, რომ ძლევამოსილი ლიპარიტ ბაღვაში ბაგრატს გადაამტერეს.

რაკი ლიპარიტ ბაღვაში ბაგრატს გადაემტერა, იმპერიამ იგი მაშინვე თავის მფარველობაში აიყვანა. ახლა, სამწუხაროდ, ლიპარიტი „ბერძნების“ ერთგული კაცი გახდა და ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ბრძოლა მონდომებით დაიწყო. ალბათ ბიზანტიელების რჩევით მან „გამოიყვანა... დემეტრე, ძმა ბაგრატისა, საბერძნეთით ბერძენთა მეფის ლაშქრითა“ და სხვა ქართველ დიდებულთა მხარდაჭერით „არეარე მოწუეს ქართლი“[1].

ამრიგად, ბიზანტიის ერგულ ლიპარიტს ბიზანტიისვე კაცი, ბაგრატის ძმა დემეტრე შემოუყვანია საქართველოში და თან ბიზანტიის ლაშქარიც უახლია. ამჟამად ლიპარიტმა ვერაფერს მიაღწია, მაგრამ ბაგრატს ქართლის ერისთაობა „წაართვა“. სხვანაირად ვერ ვიტყვით, რადგან მოღალატე

[1] მაგიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება, გ. I, გვ. 298.

ლიპარიტისათვის ერისთაობის მიცემა ნამდვილი წართმევა იყო. ეს იყო დაახლოებით 1044-1045 წ[1].

ლიპარიტთან მორიგება ბიზანტიასთან მორიგებასაც ნიშნავდა და რაკი ეს მოხერხდა, ბაგრატმა თავისი საქმეები გამოასწორა. მეტიც, იგი მაშინვე აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადავიდა. ანისელებმა მას ქ. ანისი შემოაძლიეს და მანაც „მიითვალა“. მისმა დედამ, მარიამმა, ანისის გამგედ აბუსერი დაადგინა.

ამის შემდეგ, 1046 წელს, ბაგრატმა ანაკოფიის დაბრუნება მოინდომა. მან ქალაქს ალყაც შემოარტყა, მაგრამ სწორედ მაშინ უფრო დიდი შანსი გაუჩნდა: თბილისის ამირა ჯაფარი მოკვდა და ქალაქის მცხოვრებლებმა ქალაქი ბაგრატს გადასცეს[2].

აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ დროს ბაგრატმა კახთა მეფე გაგიკი ითაყვანა[3].

ბაგრატის ეს წარმატებანი, რა თქმა უნდა, ბიზანტიას არ მოეწონებოდა და ლიპარიტ ბოღვაშიც მაშინვე ამოქმედდა. სულ მალე ბაგრატმა თბილისიც დაჰკარგა და ანისიც. ამას გარდა, ლიპარიტმა ბაგრატის ძმა დემეტრე კვლავ მოიყვანა ბიზანტიიდან. თან განძიცა და ლაშქარიც მოიშველია.

ბიზანტიის მხრიდან ზურგგამაგრებული ლიპარიტ ბალვაში აშკარად ჯობნის მეფე ბაგრატს, მაგრამ მისი „წარმატებანი“ 1048 წელს მოულოდნელად წყდება, რადგან იგი თურქებს ტყვედ უვარდება.

---

[1] იე. ჯავახიშვილი, თხზულებანი, გვ. 143.

[2] მაგიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 299-300.

[3] იქვე, გვ. 300.

ამით ბაგრატმა მაშინვე ისარგებლა, და თავისი ზოგიერთი საქმე გამოასწორა[1]. მაგრამ, 1051 წელს ლიპარიტმა თავი გაითავისუფლა ტყვეობიდან და, ანისს მოვიდა თუ არა, ბაგრატმა თბილისი მიატოვა.

ტყვეობიდან დაბრუნებული ლიპარიტი ბიზანტიას გაემგზავრა და მისგან შემწეობა მიიღო („მოირთო ბერძენთა მეფისაგან ძალი"). ახლა იგი კიდევ უფრო გაძლიერდა და „ვერღარა დაუდგა ბაგრატ" ლიპარიტს. მეფემ თავისი შვილი გიორგი ქუთაისს – „მეფედ სამეფოს ზედა" დაადგინა და თვითონ ბიზანტიას გაემგზავრა[2].

ივ. ჯავახიშვილის გონებამახვილური შენიშვნის თანახმად ბაგრატს ქართლსა და მესხეთზე ხელი აღარ მიუწვდებოდა, რადგან იგი ლიპარიტს ეჭირა[3].

ბაგრატი ბიზანტიაში სამ წელს დარჩა. ბოლოს, იმპერატორმა, იგი და მისი ურჩი ყრმა ლიპარიტი შეარიგა იმ პირობით, რომ ბაგრატი იქნებოდა მთელი იბერიის (ქართლ-მესხეთი) და აფხაზეთის პატრონი და მეფე, ხოლო ლიპარიტი მესხეთის ნაწილის მთავარი იქნებოდა და ბაგრატს პატრონად და მეფედ მიიჩნევდა[4]. ბაგრატი 1057 წელს დაბრუნდა საქართველოში.

ბიზანტიის ძალისხმევით გათამამებული ლიპარიტ ბაღვაში მეფისაგან სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდა. მან რუისის საყდარში ხელმეორედ (პირველად გიორგი უფლისწული მამამისმა აიყვანა ტახტზე) აკურთხა გიორგი

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 147.

[2] მატიანე ქართლისა, გვ. 303.

[3] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 148.

[4] В. Розен, Василий болгаробоица იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 128.

უფლისწული მეფედ და მზრდელადაც ბაგრატის და გურანდუხტ დედოფალთან ერთად, თვითონ დაუდგა. იგი, ნამდვილად უგვირგვინო მეფედ იქცა.

1057 წელს ბაგრატი შინ დაბრუნდა „დიდითა დიდებათა, ნიჭითა და განძითა მიუწედომელითა“[1], ცოტა ხნის შემდეგ კი ხელთ იგდო ლიპარიტი და წერტილი დაუსვა მის ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან აშკარად გამოჩნდა, რომ ბაგრატის დროინდელი საქართველოს აქტიური საგარეო პოლიტიკა (თბილისისა და ანისის შეერთება და სხვა.) ბიზანტიას აღიზიანებდა და ამ პოლიტიკის აღმკვეთ ღონისძიებებს ატარებდა. მან მიაღწია იმას, რომ ბაგრატ IV, რომელსაც ამიერკავკასიის მასშტაბის მოღვაწის შესაძლებლობები გააჩნდა, მხოლოდ ერთეული წარმატებებით დაკმაყოფილებულიყო.

იგი, ლიპარიტისაგან დევნილი, სამი წელი ელოდა იმპერატორის გადაწყვეტილებას მასსა და ლიპარიტს შორის მომავალი ურთიერთობების შესახებ. რაც მთავარია, იმპერიამ თავისი, მზაკვრული პოლიტიკის წყალობით, ბაგრატს არ მისცა საშუალება საქართველოს გაერთიანების საქმე ბოლომდე მიეყვანა. ბაგრატ IV სიკვდილამდე ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულის მატარებელი იყო.

გიორგი კედრენეს ცნობიდან ვიცით, რომ როდესაც 1023 წელს, მძევლად ნამყოფი ბაგრატი კონსტანტინეპოლიდან შინ გამოუშვეს, მაგისტროსის ტიტული უბოძეს[2].

---

[1] მაგიანე ქართლისა, გვ. 304.

[2] გიორგი კედრენე, გეორგიკა, ტ. 5, გვ. 45. იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 139.

1029-1030 წლებში ბაგრატმა უკვე კურაპალატობა მიიღო[1], ხოლო ალავერდის სახარების ერთ-ერთ წარწერაში (დაახლ. 1057 წლის) იგი ნოველისიმოსი ყოფილა[2]. ბაგრატის ბიზანტიური ტიტულების სია ამით არ ამოიწურება. 1060 წელს მას სევატოსობა მიუღია[3].

ბაგრატ IV-მ, ლიპარიტ ბაღვაშის თავიდან მოცილების შემდგომ, ბიზანტიასთან მშვიდ ურთიერთობაში გაატარა სიცოცხლე. არ არის იმისი დამამტკიცებელი საბუთი, რომ ამის შემდეგ იგი ბიზანტიის წინააღმდეგ წასულიყო. XI საუკუნის 60-იანი წლებიდან კი მახლობელ აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკები ჩნდებიან და ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკური საქმიანობა სხვა გზით წავიდა. საქართველომ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარემ, რელიგიური და პოლიტიკური ორიენტაცია ბიზანტიაზე კვლავ შეინარჩუნა.

გიორგი I-ის აშკარა ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ ნაადრევი გამოდგა. ბიზანტიამ მოახერხა მისი ბრძოლის აღკვეთა, ხოლო ბაგრატ IV-ს, ბუნებით აქტიურ პიროვნებას სახელმწიფო საქმიანობის საშუალება არც მისცა. ხელოვნურად შექმნილმა შინაურმა სიძნელეებმა ბაგრატ IV აიძულეს კვლავ უფრო მეტად მიჯაჭვოდა თავის მტერს და იმავ დროს „პატრონ“ ბიზანტიას.

გიორგი II-ც ბიზანტიაზე „მოკიდებული“ მეფე იყო. ატარებდა კურაპალატის ტიტულს[4], არ ატარებდა რაიმე ანტიბიზანტიურ პოლიტიკას. თურქ-სელჩუკები ქრისტიანო-

---

[1] მატიანე ქართლისა, გვ. 294.

[2] ქრონიკები და სხვა მასალანი.., ტ. II, გვ. 203.

[3] И.А. Джавахишвили, К вопросу о времени построения грузинского храма в Атени, "Христ", Восток. წ. I, გვ. 291; მისივე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 151.

[4] მატიანე ქართლისა, ტ. I, გვ. 314.

ბის საერთო მტრები იყვნენ და ბიზანტიას და საქართველოს ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად აღარ ეცალათ.

ბიზანტიის აშკარა ჩარევამ საქართველოს ცხოვრებაში ქვეყნის გაერთიანების საქმე დიდი ხნით გადადო. ბიზანტია რომ არა, ბაგრატ III-ის წამოწყებული საქმე – ქვეყნის გაერთიანება, შეიძლება ბაგრატ IV-ის მეფობაში უკვე დამთავრებულიყო კიდეც.

§ 3. აშკარა უარი ბიზანტიურ ორიენტაციაზე და ბრძოლა სრული დამოუკიდებლობისათვის.

გიორგი II – კურაპალატი, ისეთ პერიოდში მეფობდა, რომ ბიზანტიასთან დაპირისპირება კარგ შედეგებს არ მოუტანდა საქართველოს. სწორედ მის ხანაში თურქ-სელჩუკები მთელი ძალით მიაწყდნენ ამიერკავკასიას და, მათთან საქმის მოგვარება, გაცილებით უფრო საჭირბოროტო იყო ვიდრე ამ დროისათვის უკვე საკმაოდ დასუსტებულ და პატივაყრილ ბიზანტიასთან პირველობისათვის ჭიდილი.

1071 წელს მანაზკერტთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში ბიზანტიელები სასტიკად დამარცხდნენ და იმპერატორი რომანი დიოგენიც ტყვედ ჩავარდა. თურქებთან დადებული ზავის პირობების სიმძიმე[1] ბიზანტიას დიდხანს აქტიურ საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალებას არ აძლევდა.

გიორგი II იმდენად გაიხლართა თურქებთან ურთიერთობის მოგვარების საქმეებში, რომ ბიზანტიასთან ურთიერ-

[1] იმპერიამ თურქებს დაუთმო მანაზკერტი, ედესა, ანტიოქია, იკისრა ხარკი (ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო) გვ. 248.

თობის საქმე ერთხელაც არ წამოუწევია წინ. საერთო მტერი იმდენად ძლევამოსილი, ხოლო მის მიერ შექმნილი საფრთხე იმდენად მძიმე იყო, რომ ყველა პრობლემა გადაიფარა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ბიზანტიის კურაპალატი გიორგი II თურქ-სელჩუკთა ყმადნაფიციც გახდა და ერთდროულად ორივე ქვეყნის „მოკიდებული“ შეიქმნა, ოღონდ სხვადასხვა სტატუსით. ბიზანტია საქართველოს ფორმალური ყმადნაფიცობით კმაყოფილდებოდა, თურქ-სელჩუკები კი ხარკს ართმევდნენ მას. მაგრამ გავიდა ხანი. მსოფლიოში რამდენიმე ისეთი მოვლენა მოხდა, რომლებმაც საქართველოს სასარგებლო პოლიტიკური ვითარება შექმნა. უნიჭიერესი მეფე იყო დავით აღმაშენებელი – გიორგი II-ის ვაჟი, მაგრამ ამ დიდი მოვლენების გარეშე, ის რასაც მან მიაღწია, ალბათ, ვერ მიაღწევდა. მე ვგულისხმობ თურქ-სელჩუკების სახელმწიფოში შექმნილ არასტაბილურ მდგომარეობას მელიქ-შაჰის გარდაცვალების (1092 წ.) შემდეგ და, რაც მთავარია, ე.წ. ჯვაროსნული ომების დაწყებას.

მშობლიური ქვეყნის მთელი სასიცოცხლო ძალების მობილიზებით, გააზრებული, დროით ნაკარნახევი რეფორმების გატარებით, საერთაშორისო ვითარების გონივრულად გამოყენების წყალობით დავით აღმაშენებელმა არნახულ წარმატებებს მიაღწია. ამ წარმატებებში, უპირველეს ყოვლისა, ბაგრატ III-ის მიერ დაწყებული ქვეყნის მიწა-წყლის გაერთიანების დასრულებას ვგულისხმობ. 1122 წელს საქართველოს მიწაზე თურქ-სელჩუკებისა და საერთოდ, მუსლიმანთა უკანასკნელი დასაყრდენების თბილისისა და დმანისის აღება, იყო საქართველოს, როგორც ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ბოლო აკორდი. საქართველო თურქ-სელჩუკებთან ჭიდილში ძლიერ ქვეყნად ჩა-

მოყალიბდა. ახლა მას, როგორც სახელმწიფოს, აქვს თავისი საზღვრები (ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არაგეწამდე), ჰყავს ბრძოლისუნარიანი დიდი ლაშქარი, აქვს იდეოლოგია (კავკასიის ხალხთა საერთო წარმოშობისა და მათი კვლავ გაერთიანების აუცილებლობის შესახებ), თავისუფალია, არავის არ აქვს იმის ძალა, რომ საქართველოს თავისი ნება-სურვილი უკარნახოს. ვინც კი ასეთი რამ მოინდომა საქართველომ ყველა დაამარცხა.

ახლანდელ საქართველოს, ისტორიაში პირველად, გაუჩნდა სხვა ქვეყნების მჭირავის ფუნქცია. 1124 წელს დავითი დაეუფლა შირვანს. იმავე წელს, აგვისტოს თვეში, მან ხელში ჩაიგდო ანისი. აღსანიშნავია, რომ ანისელებმა თვითონ შესთავაზეს საქართველოს მეფეს ქალაქი[1].

საქართველოს ყმადნაფიცი გახდა ოსეთიც[2]. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება ქართული ენის, ქრისტიანობის, ქართული კულტურის შეტანით აკავშირებდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს საქართველოსთან[3].

საქართველო კავკასიის ხალხთა შემკრების როლში გამოდიოდა და, თანდათან ამიერკავკასიასა და წინა აზიაში, ბიზანტიას დაუპირისპირდა. იგი ჩამოყალიბდა, როგორც ბიზანტიის მეტოქე ქვეყანა[4].

ამ გარემოებამ ასახვა ჰპოვა საქართველოს მეფეთა

---

[1] დავითის ისტორიკოსი, გვ. 344.

[2] იე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ. 1949 წ., გვ. 245.

[3] Ю. Колаковский, Христианство у Алан, "Византииский Временник", т. V. с. 3. ს. ჯანაშია, საქართველოს აღრინდელი ფეოდალიზაციის გზამე. შრომები, ტ. I, გვ. 246-247; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. გვ. 198-199. და სხვ.

[4] საქართველოს ისტორია, ტ. I, 1946 წ., გვ. 197; საქართველოს ისტორია — დამხმარე სახელმძღვანელო, ტ. I, 1958 წ., გვ. 166.

ბიზანტიურ ტიტულებთან დამოკიდებულებაში. როგორც აღვნიშნეთ ბაგრატ IV თვითონ ეძიებდა კურაპალატობას და დიდი ძალისხმევა დასჭირდა მის მოსაპოვებლად. დავით აღმაშენებელმა კი ბიზანტიური ტიტული (მას უფლისწულობაში მიღებული ჰქონდა სევასტოსისა და პანიპერსევასტოსის ტიტულები) უარყო, რადგან ისინი მისი მდგომარეობის დამამცირებელი იყვნენ[1].

რუის-ურბნისის კრების სახელით დაწერილ „შესხმაში“ დავითი მოიხსენიება როგორც „მეფე აფხაზთა და ქართველთა რანთა და კახთა თვითმპყრობელი“[2].

როგორც სამართლიანად მიუთითებს აკად. ივ. ჯავახიშვილი, ტიტულატურა საქართველოს სახელმწიფოს თანდათან ზრდისა და ნაწილობრივ წეს-წყობილების უტყუარი გამომხატველი იყო და, ამ თვალსაზრისით, რეალური მნიშვნელობაც ჰქონდა[3].

რაკი ბიზანტიური ტიტულები უარყო, დავით აღმაშენებელმა მიიღო ადგილობრივი, რეალური ვითარებიდან გამომდინარე „მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა თვითმპყრობელის“[4] ტიტული.

შემდეგ, დავით აღმაშენებლის ტიტულატურა თანდათან მრავალფეროვნდება. მაგ. დავითის მიერ მოჭრილ მონეტაზე იგი იწოდება „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“-დ[5].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 303.

[2] ქრონიკები, ტ. II, გვ. 70.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, გვ. 116.

[4] ქრონიკები, ტ. II, გვ. 70.

[5] დ.კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკის სიახლენი. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბილისი, 1966 წ., გვ. 64; ო.მეგრეელი, დავით აღმაშენებელი. გვ. 98.

იგივე ტიტული მოხსენიებულია დავით აღმაშენებლის საალმო ჯვარზეც[1]. ამასთან საყურადღებოა აკად. მ. ლორთქიფანიძის ვარაუდი იმის შესახებ, რომ დავითის დროს უნდა შესულიყო ქართველ მეფეთა ტიტულებში „შაჰანშა“ და „შარვანშა“-ც[2]. დავითის დროს მტკიცდება ქართველ მეფეთა ტიტულატურაში „თვითმპყრობელი“ და „მესიის მახვილი“[3].

ამრიგად, დავითის როგორც პრაქტიკული საქმიანობა, ისე მისი ტიტულები იმაზე მიუთითებდნენ, რომ მისი ეპოქის საქართველომ შეიძინა ახალი თვისებები. მათი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სხვის მოხარკე და ყმა საქართველო თვითონ გადაიქცა ყმადნაფიცებისა და უშუალოდ შემოერთებულ ქვეყნების პატრონად.

ახლა მას აღარ სჭირდება რომელიმე ქვეყანაზე საგანგებო ორიენტაციის გამომუშავება. იგი უკვე თვითონ არის ისეთი ქვეყანა, ვიზეც შეიძლება ორიენტაცია აიღონ. საქართველომ მოხსნა პოლიტიკურ საქმიანობაში რელიგიის როლი. ახლა მისთვის რელიგია აღარ თამაშობს იმ როლს, რომელსაც იგი მის საგარეო პოლიტიკაში ადრე თამაშობდა.

ახლა ქრისტიანული რელიგია მის ხელში იქცა იარაღად, რომლის მეშვეობით იგი სულ ახალ და ახალ სივრცეებს ჰმატებდა საქართველოს. ეს ფუნქციაც ახალია, როგორც სახელმწიფოსათვის, ისე ქართული ეკლესიისათვის. ყველაფერი უფრო ნათლად გამოჩნდება ქვემოთ, საქართველოს როგორც პოლიტიკურ ორიენტირზე საუბრისას.

---

[1] დ. კაპანაძე, იქვე, გვ. 64.

[2] იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 256.

[3] იქვე, გვ. 257.

IV თავი. საქართველო – პოლიტიკური ორიენტირი.

§ 1. საქართველოს რელიგიური პოლიტიკა სომხეთში და სომხების მიმართ.

დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარის და გიორგი-ლაშას მეფობაში საქართველოს ცხოვრებაში შემჩნეული ახალი ფუნქციები კიდევ უფრო გამოიკვეთნენ. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა საქართველოს ეკლესიის საქმიანობაში. ეს უკანასკნელი ფეხდაფეხ მისდევდა საქართველოს სამეფოს და მიერთებულ „ქვეყნებს“ ითვისებდა. ამ მხრივ მან ძალიან ბევრი რამ გააკეთა და მრეველიც ბლომად იშოვა.

საქართველოში, საერთოდ, რჯულშემწყნარებლობა იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, ქართული სახელმწიფო მონოფიზიტების დიოფიზიტურ სარწმუნეობაზე მოქცევას ცდილობდა. როგორც უკვე ითქვა, ძველ ქართლის სამეფოში უამრავი მონოფიზიტი ქართველი ცხოვრობდა, რომლებიც ახლა, XII საუკუნეში, უკვე ეროვნულადაც დაცილებოდნენ ქართველებს. ქართულმა ეკლესიამ ეს კარგად იცოდა და მონოფიზიტების მიმართ გამამართლმადიდებლურ პოლიტიკას ეწეოდა.

აკად. მ. ლორთქიფანიძე სამართლიანად ამახვილებს ამ საკითხზე ყურადღებას[1].

როგორც ცნობილია, ბაგრატ IV-ის დროიდან საქართველომ ზოგიერთი ისთი პუნქტი შემოიერთა, სადაც სომხური მოსახლეობაც იგულისხმებოდა. მაგ. ქ. სამშვილდე. ეს ქართული ქალაქი ტაშირ-ზორაკერტელ კვირიკიან-ბაგრატუნებს თავიანთ დედაქალაქად ჰქონდათ გადაქცეული.

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 252.

ამას გარდა, სომხები ცხოვრობდნენ აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო მხარეებში, აგრეთვე თბილისშიც. ისტორიაში ცნობილია რამდენიმე სომეხი მოღვაწე, რომლებსაც ქ. თბილისის მაღალ საზოგადოებაში მოეპოვებინათ ადგილი. მაგ. ვასაკი – თბილისის ამირთმთავარი, მისი ძმა ქურდი, და სხვ. ისინი პირველ რიგში მონოფიზიტები იყვნენ და მათ სომხობასაც ეს განაპირობებდა.

როგორც ლეონ მელიქსედთ-ბეგი აღნიშნავს, მას შემდეგ, რაც სომხეთზე საქართველოს პოლიტიკური გავლენა გავრცელდა, სომხურ საეკლესიო წრეებს უხდებოდათ ქართველთა თავდასხმისაგან თავის დაცვა[1].

საჭიროა აღინიშნოს, რომ ასეთ ურთიერთობას საქართველოსა და სომხურ საეკლესიო წრეებს შორის XI საუკუნის ნახევრიდან შესაფერისი პოლიტიკური საფუძველი მიეცა. რაკი ამიერკავკასიაში ჰეგემონობისათვის ბრძოლის ასპარეზს სომხური მხარე გამოეთიშა, „სომხურ ეკლესიას ქართულმა სამღვდელოებამ კიდევ უფრო აქტიურად შეუტია[2]. ეს მშვენივრად ჩანს XI ს.-ის შუიდან ქართველ და სომხურ საეკლესიო პირებს შორის გამართულ დოგმატურ კამათებში. ამ დროს სომხური სარწმუნოების გმობამ ქართულ სასულიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული ფართე ხასიათი მიიღო[3].

პროფ. გ. მაისურაძე ფიქრობს, რომ XI საუკუნეში ასეთი პოლიტიკა თვითონ ქართველ მოღვაწეთა წრეში დაიწუნეს და ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკების აგრესიის

---

[1] ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ეინაობა. თბილისი, 1928 წ., გვ. 84.

[2] გ. მაისურაძე, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს), თბილისი, 1999 წ., გვ. 73.

[3] იქვე.

ფონზე „სომხურ პოლიტიკაში“ სომხური მოსახლეობის მისანდობლად ახალი მოტივი შეიმუშავეს. ეს ლეონტი მროველისეული კავკასიის ხალხთა ნათესაობის თეორია იყო[1].

პროფ. გ. მაისურაძის აზრით XII-XIII საუკუნეებში, როდესაც ქართული სახელმწიფოს წინაშე კვლავ დადგა სომხებთან დამოკიდებულების საკითხი, ქვეყნის საეკლესიო მესვეურებმა აირჩიეს კომპრომისული გზა[2].

მაგრამ, ვფიქრობთ, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე რაიმე კომპრომისულ პოლიტიკაზე ლაპარაკი გამორიცხულია. დღემდე შემონახულ მაგალითებში აშკარად ჩანს ქართული სარწმუნოების აქტიურობა და სომხური ეკლესიის უკან დახევა. ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი ასეთი მაგალითია მოყვანილი[3] და ახლა ჩვენ მათ აღარ მოვიყვანთ. მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველომ ძალიან კარგად შეითვისა და შემდეგ კი გამოამჟღავნა კიდეც არამარტო ტერიტორიული ზრდის ხერხები, არამედ ასიმილაციის საშუალებებიც. XIII საუკუნის პირველ მეხუთედში, მონღოლების შემოჭრის წინ, მონოფიზიტებთან მიმართების საკითხი კვლავ ქართველთა აქტიურობით გამოირჩეოდა და, რომ არა მონღოლები და სხვა დამპყრობლები, ალბათ, ძნელი მოსაგერიებელი გახდებოდა.

---

[1] იქვე, გვ. 74.

[2] იქვე, გვ. 80-83.

[3] Меликсет-Беков Л. М. О междоусобице в Тбилиси в 1197 году по поводу кривой пасхи – Известия КИАИ, т. III, Тифлис, 1925 г. стр. 49-60; მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს ისტორიის საკითხები“, გვ. 123-140. ჯ. სტეფნაძე, „საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ქვეყნებიდან XII საუკუნეში, თბილისი, 1973 წ., გვ. 62-69. გ. მაისურაძე, საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები, გვ. 84-94.

§ 2. საქართველო და ისლამის ქვეყნები.

XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველო თვითონ გადაიქცა ისეთ ქვეყნად, რომელიც სხვა ქვეყნებს იზიდავს თავისაკენ, მფარველობს ან იპყრობს მათ. საქართველოს მზერა და მახვილი მისი ეთნიკური ფარგლებიდან ძალიან შორს სწვდება და ამ პოლიტიკას მხოლოდ მშვიდობიანი ხერხებით ვერ განახორციელებს. მისი აღმოსავლეთით, სამხრეთით თუ დასავლეთით სწრაფვა მუსლიმანური ქვეყნების სასტიკ წინააღმდეგობას აწყდება და ღია ომებსა თუ იდეოლოგიურ ბრზოლებში გამოიხატებოდა. მას ბრძოლა თითქმის სამ მხრივ (სამხრეთ-აღმოსავლეთი, სამხრეთი, სამხრეთ-დასავლეთი) უხდებოდა და, შეიძლება ითქვას, მოწინააღმდეგეთა მრავალრიცხოვნობის გამო, მოსვენება არ ჰქონდა. ცნობილია, რომ თამარ მეფის დროს საქართველოს ჯარმა უამრავი ლაშქრობა მოაწყო დასახელებულ მხარეებში. მაგრამ რამდენიმე მათგანი კი ისეთი გამოდგა, რომელთა შედეგებზე დამოკიდებული იყო საქართველოს სახელმწიფოს ბედი. მაგალითად: შამქორის, ბასიანის ბრძოლებში, ირანის ლაშქობაში და სხვ. დასახელებულ ბრძოლებში სასწორზე იდო საქართველოს ბედი – წაგება, მარცხი – ქვეჟნის დამოუკიდებლობის დაკარგვას უდრიდა.

საქართველოს აქტიური საგარეო პოლიტიკა თამარის და ლაშას მთელი მეფობის მანძილზე გრძელდებოდა და ქვეყნის სასიცოცხლო ძალების მუდმივ დაძაბულობას იწვევდა. იმდროინდელი საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია ამ საქმეში მხოლოდ პროფესიონალი მეომრების დასაქმების საშუალებას იძლეოდა და ამ პოლიტიკას ხანგრძლიობას უნარჩუნებდა.

რაკი ისლამის ქვეყნებთან ნებით თუ უნებლიედ პერმანენტული ომები მიმდინარეობდა, საჭირო იყო ამ ქვეყნებთან მუდმივი ომის სურვილის შენარჩუნება. ასეთი სურვილი XIII საუკუნის 30-40-იანი წლებიდან თანდათან კლებულობს და XII-XIII საუკუნის პირველი მეხუთედის ვითარება თანდათან საოცნებო წარსულად იქცა.

როგორ ინარჩუნებენ ქართველები მუსლიმანური სამყაროს წინააღმდეგ განუწყვეტელი ბრძოლის ჟინს? უპირველეს ყოვლისა ეს მოწინააღმდეგის სარწმუნეობის დისკრედიტაციითა და საკუთარი რჯულის უპირატესობის მტკიცებით ხდებოდა.

შუა საუკუნეების აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანი მწერლები მუჰამედს წინასწარმეტყველად და მოციქულად არ თვლიდნენ[1]. ცხადია, რომ არც ქრისტიანი ქართველი თეოლოგები მიიჩნევდნენ მუჰამედს წინასწარმეტყველად და მოციქულად. ეს თვალსაზრისი ძალიან კარგად არის გამოხატული ძველ ქართულ ლიტერატურაში (მაგ. „წამება არჩილ მეფისა“-ში, დავით და კონსტანტინეს წამებაში, არსენ იყალთოელის თხზულებაში, ქართლის ცხოვრების I-II ტომებში და სხვ.).

შუა საუკუნეების ქრისტიან ქართველ მწერალთა მუჰამედისა და ისლამისადმი მტრული დამოკიდებულების საფუძველი ადვილი ასახსნელია. ისინი ისლამს განიხილავდნენ რელიგიად, რომლის დროშით მომავალი მაჰმადიანები ყოველივე ქართულს მოსპობით ემუქრებოდა.

ისეთი სულიერად ამაღლებული საქმის მსახურნიც კი, როგორიც პოეზიაა, თავს ვერ ეკავებენ მაჰმადიანობის

[1] Журавский А. В. Христианство и ислам. М. 1990 г. стр. 26-27. Hourani A. Europe and the Middle East. Guilford. London, 1980 г., стр. 4,8.

უარყოფითი ეპითეტებით შემკობისაგან[1].

მაგრამ არც მუსლიმანი თეოლოგები იყვნენ ქრისტიანებისადმი კეთილად განწყობილნი. აღმოსაელური წყაროები ძალიან კარგ მასალას იძლევიან ამ დამოკიდებულების გამოსაჩენად[2]. მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართველები მუსლიმანებთან არავითარ თანამშრომლობას არ ეწეოდნენ. ასეთი გააზრება სწორი არ იქნება. XII-XIII საუკუნეების მიჯნაზეც კი, როდესაც საქართველო თავისი სიძლიერის მწვერვალზე იმყოფებოდა, მას მიზნად არ დაუსახავს (და არც შეეძლო ამის გაკეთება) ყველა მაჰმადიანურ ქვეყანასთან ომი. პირიქით, რაკი ჩვენი ქვეყანა მუსლიმანთა გაერთიანებულ ძალებს ებრძოდა ხოლმე (შამქორის და ბასიანის ომებში) მისი ერთგული მუსლიმანების მხარის დაჭერაც ძალიან სჭირდებოდა. ამ მხრივ სამაგალითოა საქართველოს მეფეთა გულისხმიერი დამოკიდებულება შირვანშაჰ აღსართანთან. მას საქართველოს კარზე ისეთი პატივით ექცევიან, რომ აშკარაა ამას პროპაგანდისტული დანიშნულება აქვს. ამით ქართველებს უნდათ თქვან, რომ მათ იციან ერთგულების ფასი და თუკი ვინმე მუსლიმანთაგანი მათ მფარველობაში შევა, აღსართანსავით პატივს მიაგებენ. აქვე, საჭიროა გავიხსენოთ ისიც, რომ ქართველები თავისი ყმადნაფიც ამირ-მირმანის საკუთარ უფლებებში აღდგენის მიზნით ათაბაგ აბუ-ბაქართან ომში ჩაებნენ[1] და დიდი მსხვერ-

---

[1] ძველი ქართული მეხოგბენი. გ. II, იოანე შავთელი, აბდულ-მესიანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა. თბილისი, 1957 წ., გვ. 82. ძველი ქართული მეხოგბენი. გ. I, ქება მეფისა თამარისი. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1957 წ., გვ. 32, 16.

[2] იხ. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. თბილისი, 1995 წ., გვ. 206-208 და შემდ.

პლიც გაიღეს. ჩვენი წინაპრების მიერ არჩეული, ერთ მხრივ, მეტისმეტად აქტიური საგარეო პოლიტიკა და, მეორე მხრივ, მის გავლენაში შესულ მაჰმადიანთა ერთგული მფარველობა, საქართველოს, ერთ-ერთ პოლიტიკურ და იქნებ რელიგიურ ორიენტირად აქცევდა. თამარის ერთ-ერთი ისტორიკოსის განცხადება იმის შესახებ თუ თამარმა რამდენი დაგლახაკებული მეფე აღადგინა თავის უფლებებში[2], ალბათ, სინამდვილეს ასახავს. XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველოს ასეთი რამ ადვილად ხელეწიფებოდა. თუ როგორ იზიდავდა საქართველოსთან კავშირი და სიახლოვე მუსლიმან მოღვაწეებს, გამოჩნდა მუტაფრადინის მაგალითში. მისგან ქრისტიანობის მიღება და საქართველოში მშობლების ნება-სურვილის გარეშე მოსვლა, მხოლოდ თამარის შერთვის სურვილით არ ყოფილა განპირობებული. მას, უეჭველია იმის იმედიც ჰქონდა, რომ ქართველები მასთან მტრულ ურთიერთობაში მყოფს საკუთარი ოჯახის წევრებთან შეარიგებდა.

მაგრამ რაც დრო გადიოდა საქართველოს მიერ არჩეული კურსი – შირვანთან და ნაწილობრივ არანთან მშვიდობიანი დამოკიდებულება, ხოლო დანარჩენ მეტოქე ქვეყნებთან ბრძოლა მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ძნელი დასაცავი ხდებოდა. დასუსტებული ერაყისა და დასავლეთ ირანის სასულთნოს ადგილს თანდათან იკავებდა და ამიერკავკასიის ფარგლებშიც დიდი არევ-დარევა შეჰქონდა შუაზიურ ძლიერ მუსლიმანურ სახელმწიფოს – ხორეზმს.

საქართველო მიეჩვია იმას, რომ ამიერკავკასია ის მხარეა, სადაც მისი მფლობელობა უცილობელია. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა განაცხადა, რომ ქვეყნები „ნიკოფსი-

---

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 68-73.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 147.

იდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არაგვწამდე“ საქართველოსია[1]. ეს ფორმულა შემდგომმა ქართველმა მეფეებმა კიდევ უფრო განამტკიცეს და გაამდიდრეს. საქართველოს პოლიტიკური საზღვარი ამიერკავკასიას გასცდა და ვანის ტბას მიუახლოვდა. მაგრამ სწორედ ამ პერიოდში, როდესაც ეს ფორმულა ჯერ კიდევ ცოცხალია და არაფერი ემუქრება, შირვანისა და არანის ფარგლებში ხორეზმშაჰ მუჰამედის სახელს ადიდებენ მინბარებიდან[2]. უფრო მეტიც ხორეზმზე მონღოლების თავდასხმის წინ, სულთანი მუჰამედი 50 ათასკაციანი ჯარით, საქართველოზე თავდასასხმელად ემზადებოდა[3]. მონღოლების ხორეზმში შეჭრა რომ არა საქართველო, უკვე 1218 წელს, დიდ ომს შეესწრებოდა. ხორეზმი მთელი მუსლიმანური სამყაროს გამაერთიანებლის როლს კისრულობდა და საქართველოს გავლენაში ძალით თუ ნებით შესულების ორიენტაციის შეცვლას ცდილობდა. შირვანიცა და არანიც თანდათან ამ გზას დააყენა.

მაგრამ საქართველოსა და მუსლიმანური სამყაროს მეტოქეობის საქმე მომავალს უნდა გადაეწყვიტა და ასეც მოხდა.

---

[1] ანდერძი დავით აღმაშენებლისა. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბილისი, 1965 წ., გვ. 19.

[2] Ан-Насави, Жизнеописание султана Джалала ад-Дина Манкбурны. Баку, 1973 г., стр. 61.

[3] იქვე.

V თავი. საქართველო და აღმოსავლეთი.

§ 1. საქართველოს დაპყრობა ხორეზმის, მონღოლების და თემურ-ლენგის მიერ.

1220 წელს, საქართველოს მეფე გიორგი IV-ის დამარცხება უეცრად გამოჩენილ მონღოლებთან, ქართველმა პოლიტიკოსებმა შემთხვევას მიაწერეს და სათანადო დასკვნა არ გააკეთეს. პირიქით, თითქოს მონღოლთა საფრთხეს სამუდამოდ გაეცლოს, იერუსალიმში ლაშქრობის სამზადისს დაუბრუნდნენ.

ერთი შეხედვით პოლიტიკური ვითარება საქართველოს სასიკეთოდ შეიცვალა. ირანის სახელმწიფო დაშლილი და დასუსტებული იყო, ხორეზმი, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ მეტოქედ გამოდიოდა, მონღოლებმა გაანადგურეს. თანაც, ეს უკანასკნელნი, 1235 წლამდე არსად ჩანდნენ. მაგრამ მათ მხედველობიდან გამორჩათ ხორეზმშაჰი ჯალალ ად-დინი (ქართულად ჯალალ-ედინი), სულთან მუჰამედის ვაჟი.

1225 წელს ჯალალ-ედინმა თავი რან-შარვანის პატრონად გამოაცხადა, რითაც გააგრძელა მამამისის მიერ საქართველოსთან დაპირისპირების პოლიტიკა. მეტიც, 1225 წელს მან, გარნისთან გამართულ ომში, საქართველოს ლაშქარი სასტიკად დაამარცხა[1], მერე კი – 1225 წლის დეკემბერში, თბილისიც აიღო. ამის შემდეგ საქართველოსა და ხორეზმელებს შორის ბრძოლა 1230 წლამდე არ შეწყვეტილა. ჯალალ-ედინი ქართველებთან აშკარა უპირატესობას ფლობდა და საქართველოსაც დიდი ზარალი მიაყენა.

---

[1] ამ ომის შესახებ დაწვრილებით იხ. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III, თბილისი, 1982 წ., გვ. 10-13.

იქნებ ქართველებს ჯალალ-ედინის მიერ მიყენებული მარცხი ადვილად გამოესწორებინათ, მაგრამ 1235 წელს საქართველოს ხორეზმელებზე გაცილებით ძლიერი მონღოლები დაესხნენ თავს. 1240 წელს მთელი აღმოსავლეთ საქართველო მათ ხელში იყო, ხოლო 1242 წელს რუსუდან მეფემ თავი დამარცხებულად ცნო[1].

XII საუკუნისა და XIII საუკუნის პირველი მეხუთედის საქართველოს პოლიტიკური წარსული იმდენად ღრმად იყო გამჯდარი ქართველ მოღვაწეთა გონებაში, რომ მათ მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში არავინ არ მოუხმიათ და მხოლოდ საკუთარი ძალებით ფიქრობდნენ დამპყრობლის განდევნას. ეს აშკარად ჩანს კოხტასთავის შეთქმულებაშიც და დავით ნარინის თუ დავით ულუს აჯანყებაშიც. კოხტასთავის მონაწილენიც და მეფეებიც მოქმედებენ მხოლოდ საკუთარი ქართული ძალებით.

მაგრამ ამის მიზეზი სხვა რამეშიც უნდა ვეძიოთ. მონღოლები იმდენად დამთრგუნველ ძალას წარმოადგენდნენ, რომ მათ წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას აზრი არ ჰქონდა. რაც მთავარია ახლო-მახლო აღარ იყო ქვეყანა, რომელიც საქართველოს მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს მისცემდა. ილხანების და ოქროს ურდოს სახელმწიფოები ყველაფერს მოიცავდნენ და ყველაფერს თრგუნავდნენ. ახლა, ქართველი პოლიტიკოსები მონღოლთა კარზე ეძებდნენ გამოსავალს. ისინი ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრობდნენ მხოლოდ, რადგან სამშობლოს თავდახსნა შეუძლებლად ეჩვენებოდათ. მოვიგონოთ დიმიტრი თავდადებულის ორიენტაცია აბაღა ყაენის გარდაცვა-

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 550.

ლების (1282 წ.) შემდეგ ყაენად შექმნილ აჰმადის სასარგებლოდ[1]. მაგრამ შემდეგ არღუნის მხარეზე გადავიდა[2]. ანდა მისი კავშირი არღუნის მოწინააღმდეგე ემირ ბულასთან, რამაც კიდეც იმსხვერპლა იგი.

იგივე სიტუაცია გამეორდა დავით VIII-ს დროს. იგი ყაზან ყაენის (ყაენად გახდა 1295 წ.) მეტოქეს ბაიდუ ყაენს ემხრობოდა[3]. ასევე მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს გიორგი ბრწყინვალისა და ჩობან-ნიონის მეგობრული ურთიერთობა და მისი დადებითი შედეგები საქართველოსათვის[4].

ამრიგად, ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ, რომ მონღოლების ბატონობის პირველ პერიოდში საქართველოს საჭიროდ არ ჩაუთვლია დამპყრობლის წინააღმდეგ ვინმეს მოშველება. იგი საკუთარი ძალებით ცდილობდა გათავისუფლებას, თუმცა უშედეგოდ. შემდეგ ხანებში ქართველმა მოღვაწეებმა თვითონ მონღოლთა ცენტრში დაიწყეს გამოსავლის ძიება და სხვადასხვა დიდკაცებთან ჩამოგდებული კეთილი განწყობით ცდილობდნენ ქვეყნის შველას (მაგ. დემეტრე II, დავით VIII, გიორგი V ბრწყინვალე).

გიორგი V ბრწყინვალემ XIV ს.-ის პირველ ნახევარში საქართველო ძველ საზღვრებში აღადგინა[5]. აღდგა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი. გიორგიმ მოაწესრიგა ურთიერთობა ეგვიპტის მამლუქებთან და სულთანმა

---

[1] ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 284.

[2] იქვე, გვ. 285.

[3] ბაიდუ ყაენი – 1295 წ., 26 მარტი – 1295 წ., 4 ოქტომბერი.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევი, ტ. III, გვ. 623-625.

[5] ქართლის ცხოვრება IV, ბაგონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 259.

გააუქმა ქრისტიანთა დასამცირებლად შემოღებული ძველი წესი[1].

ქართველებს გადაეცათ ქრისტეს „აღდგომის“ ეკლესიის, „გოლგოთისა“ და ქრისტეს „საფლავის“ სამონასტრო კომპლექსის კლიტეები[2]. მაგრამ გიორგის ვაჟის, დავით IX-ის დროს (1348-1360 წწ.) საქართველოს დიდი სიძნელეები შეექმნა. იგი ილხანმა ანუშირვანმა დალაშქრა და 400 000 დინარი ხარკად წაიღო. იმავე დროს თავი იჩინა დიდმა ეპიდემიამ, შავმა ჭირმა[3].

სულ მალე თემურ-ლენგის დაპყრობები დაიწყო, რასაც საქართველოს დაუძლურება მოჰყვა.

ისევე, როგორც მონღოლების ბატონობის პერიოდში, თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევები საქართველომ მარტოდმარტო გადაიტანა. ამ პერიოდში ახლო-მახლო ისეთი სიტუაციაა, რომ საქართველოს, დასახმარებლად, ვერავისთვის მიუმართავს. თემურ-ლენგი მთელი საქართველოს მასშტაბით დაძრწის და ქვას ქვაზე არ სტოვებს. ირგვლივ ისეთი ქრისტიანული ქვეყანა აღარ არის, რომელსაც დასუსტებული საქართველო დასახმარებლად მიმართავდა. ბიზანტია, რომელიც ჯერ კიდევ არსებობდა, თვითონ იყო ცუდ დღეში. თემურ-ლენგმა ხელთ იგდო ის მნიშვნელოვანი გზები, რომლებიც ბიზანტიის ეკონომიკური სიძლიერის წყარო იყო. დიდი ხანია ბიზანტია მეორეხარისხოვან ქვეყნად იყო ქცეული და მას აღარ შეეძლო საქართველოსათვის რაიმე მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენა. საქართველოს

---

[1] იე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წ. III, 1949 წ., გვ. 276-277.

[2] „ძეგლი ერისთავთა“ გამოსცა შ. მესხიამ. მსკი, ნაკვ. 30, 1954 წ., გვ. 350.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 668.

წინაშე საზარელი პერსპექტივა გადაიშალა — მუსლიმანური სამყაროს ზღვაში ეულად დარჩენილს რელიგიური და ეთნიკური გადაშენება ელოდა. ახლა, საჭირო იყო უარი ეთქვა ორიენტაციის რელიგიის შესაბამისად არჩევის პოლიტიკაზე და პოლიტიკურ კავშირებზე ეფიქრა.

ამის მაგალითად გამოდგება ქართველების მიერ თემურ-ლენგის პირველი შემოსევისას, მის წინააღმდეგ ბრძოლაში ოქროს ურდოს ყაენისათვის მხარის დაჭერა[1], ანდა ჯალაირიანთა დინასტიის წარმომადგენლებთან, კერძოდ თაჰერეთან კავშირი[2].

თემურ-ლენგი იმდენად საზარელი და წამლეკავი ძალა იყო, რომ საქართველოს სამეფო ხელისუფლება ყველა ძალასთან თანამშრომლობდა, რომელიც თემურ-ლენგს უპირისპირდებოდა. ამან დადებითი შედეგი არ გამოიღო და თემურმა საქართველო კიდევ უფრო მეტად ააოხრა. მაგრამ გიორგი VII-მ და მანამ კი ბაგრატ V-მ სხვა გადაწყვეტილება ვერ ნახეს.

§ 2. პოლიტიკური და რელიგიური ვითარების უკიდურესი გაუარესება XV საუკუნის II ნახევარში და ქართველ პოლიტიკოსთა ორიენტაცია ევროპაზე.

თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ საქართველოს მეფე ალექსანდრე I-მა არაფერი დაიშურა სამშობლოს ძვე-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1966 წ., გვ. 409; მისივე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, გვ. 676.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, გვ. 197; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 689-691.

ლი დიდების აღდგენისათვის[1], მაგრამ ვერ მოახერხა. ყოველივე ეს დიდ ფულად სახსრებს ითხოვდა, რაც ჩვენს ქვეყანას აღარ გააჩნდა. ხანგრძლივი და მშვიდობიანი ჟამი იყო საჭირო, რომ ქვეყანაში ყველაფერი თავის ადგილზე დამდგარიყო[2] მაგრამ ვინ აცლიდა? აღმოსავლელი ბარბაროსი დამპყრობლები[3] ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ საქართველოში.

XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან დაწყებული აღმოსავლეთის განუწყვეტელი თავდასხმები XV საუკუნის არც პირველ და არც მეორე ნახევარში არ იყვნენ მოთავებულნი. პირიქით, XV საუკუნის მეორე ნახევრის პირველსავე წლებში ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გამწვავდა და მისი მომავალიც სწორედ მან განსაზღვრა. ჩვენ ვგულისხმობთ ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ ბიზანტიის განადგურებას.

ბარბაროსული აღმოსავლეთის განუწყვეტელი თავდასხმების ძირითადი შედეგები საქართველოში იმაში გამოიხატა, რომ განადგურდა ქვეყნის ეკონომიკა, ქვეყანა მოსახლეობისაგან დაიცალა და სამეფო ხელისუფლება უკიდურესად დასუსტდა. ახლა, საქართველოს მეფეს გამთიშველი ძალების ალაგმვა აღარ შეუძლია, ვეღარ აბრკოლებს მათ სურვილებს.

გიორგი VIII-ის მეფობაში (1446-1466 წწ.) დასავლეთ საქართველოს მთავარ-ერისთავები უკვე ავტონომიით სარ-

---

[1] მან აღადგინა ქვეყნის ერთიანობა, დაიბრუნა მგრისაგან მიტაცებული მიწა-წყალი (ნაწილობრივ), შეეცადა აღედგინა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 731.

[3] 1440 წელს საქართველოში შემოჭრილმა შავბატკნიან თურქმანთა მეთაურმა ჯეჰან შაჰმა, ქ. სამშვილდე რომ აიღო 1664 მოჭრილი თავისაგან მინარა ააშენებინა (თომა მეწოფელი, თარგმანი ლ. მელიქსეთ-ბეგისა, გვ. 119-122).

გებლობენ: ჰყავთ საკუთარი ჯარი, აწარმოებენ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას. მაგრამ საქართველოში ყველაზე ადრე განკერძოების გზას სამცხის სამთავრო დაადგა.

ის, რაც ათაბაგმა ყვარყვარემ (მთავრად გახდა 1451 წელს) ჩაიდინა ქვეყანას სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა. მართალია, მისი ანტიქართული საქმიანობა დროებით აღიკვეთა, მაგრამ მან ძალიან ცუდ საქმეს დაუდო სათავე.

ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს დაშლა თურქების მიერ ბიზანტიის დაპყრობის ფონზე მიმდინარეობდა. ქართველ მეფე-მთავრებში ისევ ტომობრიობამ იძალა და მათ საქართველოს გაერთიანების უწინარეს ხანა აღადგინეს. ქართველი ხალხის ინტერესები ამას არ მოითხოვდა. პირიქით, პოლიტიკური სიტუაცია უფრო მეტ ცენტრალიზაციის ამოცანას აყენებდა, მაგრამ ვიწრო კუთხური ინტერესებიდან გამომზირალი ეს „პოლიტიკოსები“ მონდომებით იშენებდნენ საკუთარ სამეფოებს თუ სამთავროებს. სამცხე-სათაბაგო სამხრეთ-დასაელეთ ქართულ ტომების კულტურას და ტრადიციას ეყრდნობოდა, ქართლის – ქართლელების, იმერეთის – იმერლებისა და ა.შ. ეს მეფე-მთავრები ერის ერთიანობას ღალატობდნენ და ქვეყანას უკან ეწეოდნენ. რაც მთავარია ისინი სრულიად არ ითვალისწინებდნენ იმ დიდ საფრთხეს, რაც ქვეყანას ემუქრებოდა თურქეთის სახით. 1461 წელს, ტრაპიზონის აღებით, თურქებმა საქართველოს მთლიანად ალყაში მოიქციეს. ეს იყო აუნაზღაურებელი ზარალი. ქვეყანას დაეხშო დასაელეთისაკენ მიმავალი გზები, მოსწყდა ევროპას და მასთან ყოველგვარი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი მოესპო[1].

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 736.

მიუხედავად ამისა, სანამ რომი პაპმა პიო II არ სთხოვა თურქებთან ჯვაროსნულ ომებში მიეღოთ მონაწილეობა ქართველმა მეფე-მთავრებმა გაერთიანება[1] ვერ მოახერხეს. მაგრამ, საკმარისი იყო გაეგოთ, რომ რომის პაპი ან სხვა ევროპელი მმართველი ოსმალთა წინააღმდეგ ომში მონაწილეობას ვერ მიიღებდა და მათ გაერთიანებასაც ბოლო მოელო. უბედურება ის იყო, რომ „ახლა მთავრებმა წინანდელზე უფრო დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს სრული დამოუკიდებლობისათვის“[2].

საბოლოოდ ქვეყანა კახეთის, ქართლის და იმერეთის სამეფოებად დაიშალა. ამას გარდა ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბდნენ საბედიანო (1470-1475 წლებში) და სამცხე. ეს იყო ეროვნული კატასტროფა. 1490 წელს ქართლის მეფე კონსტანტინემ საგანგებო დარბაზი მოიწვია, სადაც გაერთიანებისათვის ბრძოლა უკვე გაუმართლებლად მიიჩნიეს და საქართველოს დაშლის საქმესაც შეურიგდნენ[3].

ეს იყო ნამდვილი პოლიტიკური ჩიხი. ასეთ ვითარებაში ქართველ მოწინავე პოლიტიკოსთა გონებაში ჩამოყალიბდა აზრი, რომ დასუსტებულ საქართველოს, გარეშე მტრისაგან თავის დაცვა მხოლოდ ძლიერი უცხო სახელმწიფოს მეშვეობით შეეძლო.

ამრიგად, XV საუკუნის ბოლოსათვის, პატარა „საქართველოებად“ დაყოფილ ჩვენს ქვეყანას მწვავედ დაუდგა უცხო სახელმწიფოს დახმარების პრობლემა. მაგრამ ამ შემთხვევაში ორიენტაცია სრულ რელიგიურ საწყისზე ისა-

---

[1] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 59; იე. ჯაველიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1948 წ., გვ. 67.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 739.

[3] ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 390.

ხებოდა. აღმოსავლეთი – საქართველოს მუდმივი ამაოხრებელი, ქართველი ხალხის თვალში მაჰმადიანობასთან თანაბრდებოდა და ორიენტაცია უცხო ქვეყნებზე მათგან გაქცევის, მათგან თავის დაღწევის ცდა იყო. საქმეს ისიც ამწვავებდა, რომ XV საუკუნიდან, მაჰმადიანობა დასავლეთ საქართველოსაც დაემუქრა. თურქების მიერ ბიზანტიის საზღვრებში დამკვიდრება ეს იყო სიახლე ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ჩვენი ხალხი აღმოსავლეთიდან მომდგარ ისლამს ასე თუ ისე უძლებდა. ყოველ შემთხვევაში ლიხს იქით აღარ უშვებდა და ამ მხარეს ქრისტიანულ ოაზისად აქცევდა, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას დაემუქრა ისლამური თურქეთი, გაცილებით აგრესიული და ძლიერი, ვიდრე აღმოსავლეთის რომელიმე მუსლიმანური ქვეყანა.

თითქოს ქრისტიანული საქართველოს აღსასრული დადგა. მაგრამ ასეთი ტრაგიკული ხასიათი ამ ცვლილებებს მხოლოდ ერის რჩეულთა თვალში ჰქონდა, თორემ ზოგიერთები კიდეც მიესალმებოდნენ მას. ერთი კია: წარსული, კერძოდ, ერთიანობის ხანა, იმდენად მიმზიდველი იყო ყველა ქართველის თვალში, რომ ეს დრო (ე.ი. დაშლილობის ხანა), ზოგადად არავის მოსწონდა. მაგრამ კერძო სჭარბობდა სახელმწიფოებრივს და ქვეყანა კიდევ და კიდევ უფრო ქუცმაცდებოდა.

ასეთ ვითარებაში შემუშავდა არაპრაქტიკული, რეალობას მოკლებული ორიენტაცია შორეულ, ოღონდ ქრისტიანულ ქვეყნებზე. ეს ქვეყნები ისე შორს იყვნენ საქართველოდან, რომ მათთან კავშირის იმედი მხოლოდ თავის მოტყუება იყო. მაგრამ ეს სასოწარკვეთილი პოლიტიკოსების ჩანაფიქრი იყო და შედეგიც არ მოჰყოლია. მხედვე-

ლობაში გეაქვს ქართლის მეფე კონსტანტინეს ცდა ესპანეთის დახმარებით განედევნა თურქები ბიზანტიის მიწა-წყლიდან. ესპანეთის დედოფალ იზაბელასადმი გაგზავნილ წერილში კონსტანტინე მეფე აღფრთოვანებულია ესპანელების მიერ არაბების გაძევების გამო. თანაც თავისი ქვეყნის მედგომარეობასაც ატყობინებს. ხაზს უსვამს ოსმალთაგან საქართველოს დიდ შევიწროებას. ბოლოს აღნიშნავს „კონსტანტინეპოლის, ტრაპიზონის და სხვა ქრისტიანთა დაცემის შემდეგ მარტოდ-მარტო და სრულიად დამდაბლებულნი დავრჩით... გეეედრებით დაუყოვნებლივ პირდაპირ კონსტანტინოპოლზე გაილაშქროთ... მეც პირადად შეილებითურთ და მთელი ლაშქრით... შენთან ერთად საბრძოლველად წამოსასვლელად მზად ვიქნები“-ო.

ეს წერილი[1] 1495 წლის 10 მარტს არის დაწერილი.

კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის გასათავისუფლებლად დასაელეთ ევროპის ქვეყნების გამოლაშქრებას კონსტანტინე მეფე რომის პაპსაც სთხოვდა[2].

ცხადია, ეს პოლიტიკა არარეალური იყო და მას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. იგი შეიძლება წყალში ჩაეარდნილის ხავსზე მოკიდებას შევადაროთ.

ევროპასთან დაკავშირების მეორე ვარიანტი იყო კახეთის პოლიტიკოსთა მიერ 1491 წელს მოსკოვის მთავარ ივანე

---

[1] ეს წერილი ძველ რუსულად ითარგმნა. იგი გამოიცა 1823 წ. 1850 წ. "Закавказский Вестник"-შიგადაბეჭდეს. ფრანგული თარგმანი გამოსცა მ. ბროსემ. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, 1948 წ., გვ. 153-162).

[2] კონსტანტინეს წერილები პაპისადმი არ შემორჩენილან, მაგრამ მათი არსებობის შესახებ ვიცით პაპ ალექსანდრე VI-ის საპასუხო წერილით (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. გვ. 598, 64-64;). საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 751.

III-სთან ელჩების გაგზავნა[1].

ცხადია, ვერც ქართლის მეფე კონსტანტინემ და ვერც კახეთის მეფე ალექსანდრე გიორგის ძემ ასეთ შორეულ ქვეყნებისაგან ვერაფერი შედეგი ვერ მიიღეს.

VI თავი. საქართველოს სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ-რელიგიურ შეხედულებათა შეუთავსებლობა.

§ 1. კახ მეფეთა კავშირი რუსეთთან და მისი შედეგები.

საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ცალკეული სამეფო-სამთავროები სხვადასხვა პირობებში აღმოჩნდნენ და განსხვავებულ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდნენ.

სეფიანთა სახელმწიფო, კერძოდ მისი შაჰი ისმაილი თანდათან ეუფლებოდა ქართულ სამეფოებს. კახეთის სამეფო კარი მთელი XVI საუკუნის მანძილზე მტკიცედ ადგა საგარეო პოლიტიკურ კურსს, რაც მორჩილება – ვასალობას გულისხმობდა და ამით იგი მშვიდობიანობის შენარჩუნებას ახერხებდა[2].

ქართლი კი განსხვავებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს ადგა. იგი „არ ურიგდებოდა სეფიანების სახელმწიფოს ვასალობას და მთელი შესაძლებლობით იბრძოდა სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის“[3].

მაგრამ მდგომარეობა ისეთი იყო, რომ უსაშველოდ დაკნინებულ საქართველოს სამეფო-სამთავროებს ფაქტობრივად არჩევანის უფლება არ ჰქონდათ. დამპყრობლები

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. I, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 265.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 92.

[3] იქვე.

თვითონ ახვევდნენ თავს თავიანთ ნებას, რითაც გამორიცხავდნენ რაიმე ორიენტაციის არჩევის შესაძლებლობას. ერთი შეხედვით სეფიანთა ირანიცა და ოსმალეთის იმპერიაც საყოველთაოდ თრგუნავდნენ მათ. მაგრამ სწორედ ეს სასოწარმკვეთი ვითარება უკარნახებდა მათ ეძიათ გამოსავალი. ირანიცა და თურქეთიც იმდენად ბარბაროსულ სიტუაციას უქმნიდნენ მათ, რომ მასთან შერიგება დამღუპველი იყო.

როგორც ითქვა კახეთი მთელი XVI საუკუნის განმავლობაში მშვიდობიან ურთიერთობაში იყო დამპყრობლებთან, მაგრამ მეფე ლევანის დროს (1518/20-1574 წწ.) რუსეთის ფაქტორი ისევ აშკარად ამოტივტივდა მის საგარეო პოლიტიკაში. ამას ისიც აპირობებდა, რომ 1555 წლის ამასიის ზავის შემდეგ, ირანის შაჰმა გარკვეული ტერიტორიები წაართვა კახეთს. კერძოდ მას ხელი ააღებინა წახურის სამფლობელოზე ანუ წუქეთზე. 1562 წელს შაჰთამაზი ლევან კახთა მეფეს სასტიკად აფრთხილებდა, რომ არავის შეევიწროებინა წახურის ბატონი[1]. თანდათან გამწვავდა ურთიერთობა დაღესტანთანაც. დაღესტანელი ფეოდალები კაკენისელის და ჭიაურის სამოურაოებს უშუალოდ დაემუქრნენ[2].

ამის პარალელურად რუსეთის სამეფო თანდათან კავკასიას მოუახლოვდა. ივანე IV-მ 1552 წელს ყაზანი აიღო, 1156 წელს კი – ასტრახანი. იგი ვოლგისპირეთს დაეუფლა და კასპიის ზღვაზე გავიდა. მისი სახელმწიფო საზღვარი

---

[1] მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან. 1953 წ., გვ. 8.

[2] ნ. ბერძენიშვილი. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან (მიმომხილველი, 1953 წ., ტ. III, გვ. 75; მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბილისი, 1966 წ., გვ. 263.)

თერგის შესართავამდე გავრცელდა.

1557 წელს მოსკოვში ჩასული ყაბარდოელი ელჩები რუსეთის მთავრობას უხსნიდნენ, რომ მათთან ერთად „ერთი ფიცითა და პირობით არიან შეკრულნი ივერიის მთავარი და ივერიის მთელი ქვეყანა“ და რუსეთის მფარველობას და დახმარებას მათი მტრების წინააღმდეგ ქართველებიც ითხოვენო[1].

1563 წელს კი კახთა მეფე ლევანმა მოსკოვში თავისი ელჩები გაგზავნა და დახმარებაც ითხოვა. ამას მოჰყვა რუსთა რაზმის მოსვლა კახეთში და ციხე-სიმაგრეებში ჩაყენება[2].

მაგრამ შემდეგ ივანე IV-მ წინსვლა ველარ გააგრძელა. მეტიც, თურქეთმა და ირანმა აიძულეს იგი კავკასიიდან ფეხი ამოეკვეთა.

ლევანის ვაჟი ალექსანდრე II (1574-1605 წწ.) ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა რუსეთის ორიენტაცია შეენარჩუნებინა.

1585 წელს რუსეთის წარმომადგენელმა დანილოვმა კახეთში იმოგზაურა. ამ მოგზაურობის მიზანი კავკასიის ხალხებთან, ასტრახანის მეშვეობით, სავაჭრო ურთიერთობის გაბმა იყო. რაც მთავარია დანილოვმა კახთა მეფე ალექ-

---

[1] С. А. Белокуров, Сношения Росии с Кавказом, вып. 1. 1578-1613 гг. М. 1889г. IV.

[2] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVIII სს. მიჯნაზე (მსკი. ნაკვ. ტ. I, 1944 წ.); ი. ციცკაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ისტორიიდან, 1956 წ., გვ. 332.

Ш. А. Месхия и Я. Цинцадзе. Из истории русско-грузинских взаимоотношений. 1958 г., გვ. 40.

სანდრეს, რუსეთის მეფე თეოდორე ივანეს ძის სიგელი მიართვა, რითაც რუსეთის მეფე მფარველობას და პოლიტიკურ კავშირს სთავაზობდა[1].

ალესანდრე II-მ სიხარულით მიიღო რუსეთის ელჩი და მისი მოტანილი ცნობაც, მერე კი თვითონ მიავლინა საკუთარი წარმომადგენლები მოსკოვში. ესენი იყვნენ იოკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ხურშიტა ჩერქეზი.

1586 წ. 9 ოქტომბერს კახეთის ელჩებმა რუსეთის მეფეს თავიანთი მბრძანებლის სიგელი გადასცეს. ალექსანდრე მფარველობას, მტრისაგან დაცვას, ზოგიერთ სტრატეგიულ ადგილებში ციხეების აგებას და მათი დახმარებით კახეთში შეღწევას თხოვდა[2].

ელჩებმა დადებითი პასუხი მიიღეს და, რუს ელჩებთან, ბირკინთან, პიეოვთან და პოლუხანოვთან ერთად უკან გაბრუნდნენ. რუს ელჩებს თან მოჰქონდათ ფიცის წიგნი, რომელიც უნდა მიეღო ალექსანდრეს.

1587 წლის 28 სექტემბერს ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა ფიცის წიგნს, რითაც იგი რუსეთის მეფის მფარველობაში შედიოდა. ამიერიდან რუსეთის მეფე კისრულობდა მტრებისაგან კახეთის დაცვას. სამაგიეროდ, კახეთის მეფე ყოველწლიურად რუსეთის მეფის მოსაკითხს გააგზავნიდა[3].

ამის შემდეგ რუსეთმა და კახეთმა კიდევ თითო-თითო ელჩობანი გაუცვალეს ერთმანეთს, რითაც ალექსანდრე II-ის რუსეთის მფარველობაში შესვლაც დასრულდა. ალექსან-

---

[1] Белокуров С. А. Сношения... გვ. XIV-XV; 10-12; 256; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 10-11.

[2] Белокуров С. А. გვ. 10-14; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

[3] Белокуров С. А. Сношения...გვ. 32-33; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 21, 158-160.

დრემ წყალობის სიგელი მიიღო.

რუსეთსა და კახეთს შორის ამის შემდეგაც ხშირად მიმოდიოდნენ ელჩები[1], მაგრამ 1605 წელს ეს კავშირი დიდი ხნით შეწყდა.

XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში კახეთის სამეფო მშვიდობიან მდგომარეობას ინარჩუნებდა. ალსექსანდრე II ფაქტობრივად სამი დიდი სახელმწიფოს ირანის, თურქეთისა და რუსეთის ყმადნაფიცი იყო[2]. რუსეთსა და კახეთს შორის ელჩობის მიმოსვლა არ წყდებოდა. მაგრამ ირანი, რომელსაც დიდი პრეტენზიები ჰქონდა ამიერკავკასიაზე, თავისი ხელდებულის „გათამამებას“ ბრაზით უყურებდა. 1603 წელს შაჰაბასმა გადახალისებული ირანი კიდევ ერთხელ შეაჯახა თურქეთს და, ამჯერად, წარმატებითაც. შაჰ-აბასი არ ივიწყებდა აგრეთვე რუსეთის სახით ახალი მეტოქის გამოჩენას და, ახალ ომში, აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა, მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო[3].

ალექსანდრე და მისი ვაჟი გიორგი ორჭოფ პოლიტიკას აწარმოაბდნენ. 1604 წ. აგვისტოში კახეთში ჩამოსული რუსეთის ელჩები გიორგი ალექსანდრეს ძესაგან ერთგულების ფიცის მიღებას ცდილობდნენ. მათ სურდათ აგრეთვე საცოლე შეერჩიათ ბორის გოდუნოვის ვაჟისათვის, ხოლო მისი ასულისათვის კი — საქმრო. ელჩებს თეიმურაზის რუსეთში წაყვანა განეზრახათ.

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, გვ. 145.

[2] იქვე, გვ. 243.

[3] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 111-113.

ამასობაში გიორგი ბატონიშვილმა თეიმურაზი და მისი და ელენე ირანს გაისტუმრა. ელენე შაჰ-აბასის ცოლი გახდა. მაგრამ ამ ფონზე გიორგიმ რუსეთის ერთგულების ფიციც მიიღო[1].

ეს უკვე მყარად აღიარებული ორიენტაცია იყო. ახლა, არა მარტო ალესანდრე იყო რუსეთის ყმადნაფიცი, არამედ მისი მემკვიდრე გიორგიც. თანაც, სწორედ იმ დროს, რუსეთი საშამხლოს და დაღესტანს შესეოდა. ასეთ ვითარებაში შაჰ-აბასმა ფიზიკურად მოსპო რუსეთის ერთგული ალექსანდრე II, მისი ვაჟი გიორგი[2] და დროებით გადადო კახეთში რუსეთის ფეხის ჩადგმა.

მაგრამ კახეთის მეფედ შექმნილი თეიმურაზი და ქართლის მეფე ლუარსაბ II ანტიირანულ ორიენტაციას ადგნენ. მათ ერთმანეთში „დადეს ხელშეკრულება და ფიცი, რომ იქნებიან ერთსულოვანი და ერთაზროვანი“[3]. ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ შაჰ-აბასმა კახეთი მთლიანად გაავერანა და ყიზილბაშ ფეიქარ-ხანს ჩააბარა სამართავად. თეიმურაზმა ტახტი დაჰკარგა და თურქეთის იმედზელა იყო, რომელმაც 1618 წელს ომი დაიწყო ირანთან. მან დახმარება რუსეთსაც სთხოვა (1618, 1623 წწ.), მაგრამ ვერსაიდან დახმარება ვერ ჰპოვა. რუსეთი მხოლოდ დიპლომატიური გზით ცდილობდა თეიმურაზის დახმარებას, მაგრამ უშედეგოდ[4].

---

[1] Белокуров С. А., Сношения... გვ. 478-497; ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნის მიჯნაზე, გვ. 120.

[2] Белокуров С. А., Сношения... გვ. 485; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1969 წ., გვ. 48.

[3] არაქელ თაერიზელი. ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი მ. მესხიშვილისა (ხელნაწერი). მოგვყავს „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“-დან, ტ. IV, გვ. 263.

[4] Н. Накашидзе, грузинские политические отношения в первой половине XVII века, გვ. 73-75.

შაჰ-აბასს რუსეთის ეს მცდელობაც წყინდა და თეიმურაზი იმით დასაჯა, რომ დაუსაჭურისა ვაჟები და წამებით მოუკლა დედა.

თეიმურაზის ორიენტაცია რუსეთზე დიდხანს ურყევი იყო, მაგრამ, იგი, დროდადრო, იძულებული ხდებოდა სხვა გზებიც ეცადა. მაგ. მან მოაკვლევინა რა ზურაბ ერისთავი, შაჰის გულის მოსაგებად მისი თავი ირანში გაგზავნა. თეიმურაზის ეს ნაბიჯი მომგებიანი აღმოჩნდა და მან ქართლი და კახეთი მიიღო[1], მაგრამ მანვე, 1622 წელს, ევროპაში თავისი ელჩი გაგზავნა და რომის პაპს და დასავლეთ ევროპის მეფეებს ირანის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. 1630 წელს ეს თხოვნა, თავისი ელჩის პირით, კვლავ გაიმეორა[2].

თეიმურაზის მიერ რუსეთზე აღებული ორიენტაცია განსაკუთრებით გამოიკვეთა XVII ს.-ის 40-იანი წლების ბოლოდან. მან რუსეთთან დაახლოვა იმერეთის მეფე ალექსანდრეც, რომელმაც 1651 წელს, რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღო[3]. აღსანიშნავია ისიც, რომ თეიმურაზმა თავისი შვილიშვილი ერეკლე 1653 წელს რუსეთში გაგზავნა, ხოლო 1658 წელს თვითონაც ამ ქვეყანას გაემგზავრა. მაგრამ ვერაფერი დახმარება ვერ აღმოუჩინეს და, მრავალი მიზეზებით სასოწარკვეთილი, ისევ ირანის შაჰს ეახლა. 1663 წ. აქვე გარდაიცვალა.

ამრიგად, კახეთის მეფეთა რელიგიურმა და პოლიტიკურმა ორიენტაციამ რუსეთზე, ჯერ-ჯერობით (1663 წლამდე), შედეგი არ გამოიღო. პირიქით, რუსეთის მხრიდან სიტ-

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 238.

[2] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა... გვ. 92-98; 107-108.

[3] ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, რუს. ტექსტი, ხელნაწერების მიმოხილვით და ქართული თარგმანით გამოსცა იასე ცინცაძემ, 1969 წ., გვ. 173-175.

ყვიერი დაპირებებით გაბრუებული კახეთის მეფეები ადგილობრივ პოლიტიკურ სიძნელეებსივიწყებდნენ და დარტყმებს დარტყმებზე ღებულობდნენ. ეს, რუსეთის სახელმწიფოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების ფონზე, იყო აჩქარებული პოლიტიკა. რუსეთი მხოლოდ აღთქმებით კვებავდა კახეთის მეფეებს, მაშინ როცა ამ ორიენტაციის მოწინააღმდეგეები ფიზიკურად ანადგურებდნენ მას.

მდგომარეობა შეიცვალა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც თეიმურაზ-ერეკლეს ცდამ ნაყოფი გამოიღო და რუსები მართლაც მოვიდნენ საქართველოში ჯარით (ტოტლებენის ჩამოსვლა). 1783 წელს ერეკლე II-მ, კახ მეფეთა შთამომავალმა, დიდი ხელშეკრულება გააფორმა რუსეთთან გეორგიევსკში, 1801 წელს კი მათი მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკის „ზეიმი" დადგა: რუსეთის იმპერიამ აღმოსავლეთ საქართველო დაიპყრო.

§ 2. ქართლის სამეფოს საგარეო ორიენტაცია

ქართლის სამეფოს ისტორიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მისი მეფეები თავიანთ მომავალს იმდენად უცხოეთის ორიენტაციას არ უკავშირებენ რამდენადაც საკუთარ შინაგან ძალებზე დაყრდნობით ცდილობდნენ ქვეყნის ბედ-იღბლის მოგვარებას. თუმცა, მეფე ლუარსაბ II თეიმურაზ I-თან მჭიდრო კავშირში იყო და შეიძლება რუსეთთან ურთიერთობის დიდი სურვილიც ჰქონდა, მაგრამ ისტორიულ წყაროებში ეს არ აისახა. მისი დაღუპვის შემდეგ შაჰ-აბასმა ქართლის ტახტზე ირანის ყურმოჭრილი მაჰმადიანი ქართველი მეფეების დასმა იწყო, რაც მისი სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა და საგანგებო პოლიტიკად

ჩამოყალიბდა. შაჰ-აბასის ამ ღონისძიებით იწყება ქართლის მაჰმადიან მეფეთა ხანა, რაც საკმაოდ დიდხანს – ვახტანგ VI-ის რუსეთთან კავშირის დამყარებით მთავრდება. ეს ხანა აღსანიშნავია ქართლის მეფეთა ლოიალური დამოკიდებულებით ირანის შაჰთან.

ვახტანგ VI-ის პეტრე I-თან დაკავშირებით ახალი საფეხურია ქართლ-რუსეთის ურთიერთობაში. ახლა ქართლის სამეფოც რუსეთზეა ორიენტირებული[1]. ვახტანგ VI-მ ყველაფერი გააკეთა, რათა ამიერკავკასიაში მოსულ პეტრე I-ისათვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ ამით ვერაფერი მოიგო. პირიქით, რუსეთის ერთგულების გამო მეზობელმა მაჰმადიანმა ქვეყნებმა თურქეთმა, ირანმა და სხვებმა, იგი სასტიკად დასაჯეს. 1724 წელს იძულებული გახდა სამშობლოდან გაქცეულიყო და რუსეთისათვის შეეფარებინა თავი. ქართლში კი ჯერ ოსმალობა დამყარდა, შემდეგ ყიზილბაშობა.

XVIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა მოხდა. 1745 წლის 1 ოქტომბერს ქართლის მეფედ თეიმურაზ II ეკურთხა. იგი ქრისტიანი ქართველი იყო და ტახტზე მისი ასვლით იმდროინდელ საზოგადოების თვალში, ქვეყანაში „ქართველობა შეიქმნა“.

აქედან მოყოლებული ქართლ-კახეთი, ამ სახელმწიფოს გაუქმებამდე (1801 წ.) ქრისტიან მეფეთა სამბრძანებლოდ იქცა. ამ პერიოდისათვის ისიც დამახასიათებელია, რომ ქართლში კახი ბაგრატიონი დაჯდა ტახტზე. უმთავრესი კი ის იყო, რომ თეიმურაზი ქართლს განაგებდა, მისი

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 413-419.

ვაჟი ერეკლე კახეთის მმართველი შეიქმნა, რითაც ორივე სამეფო გაერთიანდა.

თეიმურაზ II მოქნილი პოლიტიკოსი იყო. პროფ. მ. დუმბაძის დახასიათებით მისი „პოლიტიკური ორიენტაცია საქართველოს ინტერესთა შესაბამისად იცვლებოდა. თეიმურაზი დროთა ვითარებაში ნადირის ოპოზიციურ ბანაკშიც ყოფილა, ირანშიც ხლებია მრისხანე დამპყრობელს, მისი ძალებიც კარგად გამოუყენებია, ხოლო ნადირის სახელმწიფოს დამხობის შემდეგ მეფის რუსეთის იმპერიასთან მომგებიანი ურთიერთობის დამყარებაც უცდია"[1].

თეიმურაზ II კახელი ბაგრატიონი იყო და რუსული ორიენტაციის ერთგულება მას სისხლ-ხორცში ჰქონდა გამჯდარი. XVIII საუკუნის 60-იან წლებში ქართველმა სახელმწიფო მოღვაწეებმა თვალი კვლავ რუსეთს მიაბყრეს. ცხადია, რომ პატარა სახელმწიფოს პოლიტიკა, სრულყოფილი არ იქნებოდა, თუ იგი ნათლად ვერ გაითვალისწინებდა დიდი სახელმწიფოების მიზნებსა და ამოცანებს ამიერკავკასიის ასპარეზზე[2].

ამიტომ იყო, რომ თეიმურაზ II ძალიან დიდი ჩანაფიქრით[3] რუსეთს გაემგზავრა და 1762 წელს იქვე, პეტერბურგში, გარდაიცვალა[4].

თეიმურაზის რუსეთში გამგზავრების გამო ირანის მბრძანებელი ქერიმხანი ძალიან განაწყენდა და 60-ათასიანი ლაშ-

---

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 601.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 629.

[3] რუსეთისაგან ჯარს ანდა სესხს მიიღებდნენ, ილაშქრებდნენ ირანში და იქ რუსეთის სასურველ შაჰს აირჩევდნენ.

[4] გ. პაიჭაძე, ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს. 50-60-იან წლებში „ქართული-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან". ტ. II, 1973 წ., გვ. 49-89.

ქრით ერეკლეს წინააღმდეგ მდ. არაქსთანაც მოვიდა. მაგრამ მაშინ საქართველოში შემოჭრა ვერ შესძლო.

XVIII ს.-ის 60-იან წლებში ერეკლე II-ემ და სხვა სახელმწიფო მოღვაწეებმა დაიწყეს ფიქრი საქართველოს მიერ ადრე დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე. ეს საკითხი მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობის ფონზე მომწიფებული იყო, რადგან რუსეთი ოსმალეთთან ახალ ომს იწყებდა და კავკასიელი ქრისტიანების მიმხრობას მონდომებით ცდილობდა.

1769 წლის აგვისტოში რუსეთის სამხედრო ნაწილი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით აღმოსავალეთ საქართველოში შემოვიდა და თვის ბოლოს (29 აგვისტოს) ერეკლეს შეხვდა[1].

მართალია, ერეკლემ თავისი უმთავრესი მიზანი – დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება რუსეთის დახმარებით ვერ შეისრულა, მაგრამ ვერც ტოტლებენმა მიაღწია რაიმეს. მასსა და ერეკლეს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა, რაც გენერლის საქმიანობის უარყოფითად შეფასებით დამთავრდა[2].

რუსეთის იმპერიის განერლების ტოტლებენის, შემდეგ კი სუხოტინის მოსვლა საქართველოში იმაზე მიუთითებდა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყებოდა. ეს, ამ ორი ქვეყნის მჭიდროდ დაკავშირებას ნიშნავდა. შემდგომმა ხანამ ერეკლეს საქმიანობა კიდევ უფრო აშკარად გამოამჟღავნა. ჩვენ ვგულისხმობთ 1783 წლის ტრაქტატს, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოს მთელი საგარეო უფლებები რუსეთს გაუბოძა, ხოლო

[1] А. Цагарели, Грамоты, ტ. I, გვ. 61-62.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 656.

შემდეგ, მისივე პოლიტიკიდან გამომდინარე, მთელი ქვეყანა მის ფარგლებში აღმოჩნდა[1]. ამრიგად, 1491 წლიდან რუსეთზე აღებული პოლიტიკური ორიენტაცია, რომელიც ძირითადად რელიგიური ნიშნით იყო განპირობებული, 1801 წელს საქართველოს სახელმწიფოს კრახით დამთავრდა – გაუქმდა მეფობა და ქვეყანა რუსეთის უბრალო ადმინისტრაციულ ერთეულად იქცა.

როდესაც საქართველოს სამეფოთა პოლიტიკურ ორიენტაციაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა ავუაროთ გვერდი იმერეთის სამეფოს გეზსაც. ამ მხრივ საინტერესოა იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის საქმიანობა. 1722 წელს, როდესაც ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ რუსეთში თავისი ელჩი მიტროპოლიტი პაველე გაგზავნა, ალექსანდრე V-მ მისი სახელით მოლაპარაკებაც სთხოვა[2]. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ, რომ კასპიისპირეთში ვახტანგ VI-ის ლაშქრობაში იმერეთის ლაშქარიც მონაწილეობდა[3].

საინტერესოა მისი წერილი, რომელიც 1724 წლის 1 ივლისს რუსეთის სამსახურის კაპიტან-პორუჩიკ გიორგი დადიანს გაუგზავნა. წერილში იგი რუსეთის დახმარებას ითხოვდა[4].

ალექსანდრე V რუსეთის მთავრობას 1651 წლის ხელშეკრულებას ახსენებდა, რომლის ძალით რუსეთი იმერეთს თავის ხელდებულად ცნობდა[5].

---

[1] საქართველოს ისტორია. ტ. I, 1958 წ., გვ. 386-387.

[2] M. Броссе, Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639 по 1779гг. 1861г., გვ. XXX-XXXI; 147.

[3] მ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, ტ. I, გვ. 51.

[4] გიმოთე გაბამეილი, მიმოსვლა. 1956 წ., გვ. 080.

[5] M. Броссе, Переписка..., გვ. 196.

მან ამის შემდეგაც არაერთი ღონისძიება გაატარა რუსეთისაგან ქმედითი ღონისძიებების მისაღწევად[1], მაგრამ ვერაფერს გახდა[2] და რუსეთთან ურთიერთობაც დიდი ხნით შეწყდა.

1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს იმერეთის სურვილი დაკავშირებოდა რუსეთს და მისი მფარველობაც მოეპოვებია, გარკვეულ შედეგებს აღწევს. 1769 წლის 26 სექტემბერს ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის გენერალი ტოტლებენი თავისი რაზმით იმერეთის საზღვრებს მოადგა და სოლომონ I-ს შეხვდა. 1770 წლის ივნისში კი თვით იმერეთში შევიდა რაზმთან ერთად.

მაგრამ იმის ნაცვლად, რომ იმერეთის მეფეს დახმარებოდა და მისი ტერიტორიებიდან მტერი განედევნა, მის წინააღმდეგ დაწყო მოქმედება[3]. ძირითადად იგივე პოლიტიკას ატარებდა რუსეთის მეორე გენერალი ა. სუხოტინიც. 1772 წლის 31 მაისს მან საქართველო დატოვა. მაგრამ სოლომონ I-ს რუსეთის მფარველობაში შესვლის სურვილი არც ამის შემდეგ გაქრობია[4].

პირიქით, მან გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულების დადება მოინდომა რუსეთთან, მაგრამ იმპერიაში ეს ნაადრევად მიიჩნიეს[5].

შემდგომმა მოვლენებმა აშკარად აჩვენა, რომ იმერეთი არც სოლომონ II-ის დროს იღებდა ხელს რუსეთის ორიენტაციაზე[6].

---

[1] იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 476-478.

[2] იქვე, გვ. 478.

[3] იქვე, გვ. 656.

[4] А. Цагарели, Грамоты, ტ. II, ნაწ. I, გვ. 1-4; II, ნაწ. II, გვ. 175-177.

[5] О.П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке. М. 1966 წ., გვ. 193-194.

[6] ვ. გაბაშვილი, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე. თბილისი, 1968 წ., გვ. 180-187. იხ. აგრეთვე О.П. Маркова, Россия, Закавказье... გვ. 273-274.

სამწუხაროდ, ისევე როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს მრავალწლიანი ლტოლვა რუსეთის მფარველობაში შესასვლელად, იმერეთის ცდაც ამ ქართული სამეფოსათვის სრული კატასტროფით დამთავრდა. რუსეთის იმპერიამ ისევე, როგორც ქართლ-კახეთი (1801 წ.) 1810 წელს იმერეთის სამეფოც უშუალოდ შეიერთა.

§ 3. ქართველი ხალხის რელიგიური დაშლა.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა მაჰმადიანურ ქვეყნებთან, რა თქმა უნდა, უკვალოდ არ ჩაივლიდა. არაბები 300 წელზე მეტ ხანს ისხდნენ აღმოსავლეთ საქართველოსა და განსაკუთრებით თბილისში და აშკარაა წარუშლელი კვალიც დატოვეს. ყოველ შემთხვევაში, მათი გადაშენების შემდეგ, ჩვენს სამშობლოში, მრავალი ათასი მუსლიმანი დარჩა. მთელი შემდგომი ხანა — XII-XVIII საუკუნეები არაბობის პერიოდის დაღს ატარებდა. მთავარი ის იყო, რომ საქართველოს მუსლიმანური მოსახლეობის პოლიტიკური სიმპატიები თანამორწმუნე ირანისა და სხვა მაჰმადიანი ქვეყნებისაკენ იყო მიმართული და ჩვენს ქვეყანაში მათ დამკვიდრებას უწყობდნენ ხელს.

სამწუხაროდ, აღმოსავლეთთან ვაჭრობის საქმე, ნაწილობრივ, მუსლიმანთა ხელში იყო. ისინი გარკვეულ როლს თამაშობდნენ ხელოსნობის დარგშიც. ამიტომ საქართველოს სამეფო ხელისუფლებაცა და ეკონომიკური ინტერესებიც მათ შენახვასა და დაცვას ითვალისწინებდა. მხედველობაშია მისაღები ძლიერების ხანის საქართველოს საერთაშორისო ინტერესებიც. უცხოეთის, კერძოდ მახლობელ აღმოსავლეთის ზოგიერთ გზა-მაგისტრალზე თავისუფალი მის-

ვლა-მოსვლის უფლების სამაგიეროდ, საქართველოს მუსლიმანური მოსახლეობის ხელშეუხებლობა იცვებოდა. მაგრამ ეს იყო მაშინ, როდესაც საქართველოს თვითონ ჰქონდა საქმის მოწესრიგების ძალა. შემდეგ კი, ისლამური ქვეყნების აღზევებისას, ისინი ძალით აერცელებდნენ ისლამს ჩვენს ქვეყანაში და თანდათან ცვლიდნენ რელიგიურ სიტუაციას. ჯალალ-ედინის, ყაზან-ყაენის, თემურ-ლენგის საქართველოში შემოჭრის ოფიციალურად აღიარებულ მიზანს აქ ისლამის გავრცელება წარმოადგენდა.

არ არის საჭირო იმის მიფუჩეჩება, რომ ისლამმა ჩვენში, კერძოდ ქრისტიანობასთან ჭიდილში შესამჩნევ წარმატებას მიაღწია. ჯერ კიდევ XI საუკუნეში საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, კახეთის მეფე უკვე მაჰმადიანია*. გამაჰმადიანდა აგრეთვე დიდი ბაგრატ V-ც (1360-1393 წწ.). მართალია მისი ეს ნაბიჯი ჩქარა გამოსწორდა, როცა უარყო უცხო რელიგია და კვლავ გაქრისტიანდა, მაგრამ აშკარაა, რომ თემურ-ლენგმა იგი აიძულა ზედაპირულად მაინც უარეყო ქრისტიანობა.

მაგრამ ყველაზე დიდი სიძნელე ქრისტიანობას და სახელმწიფოებრიობას XVI-XVII საუკუნეებში დაუდგა. მხედველობაში გვაქვს საქართველოს ერთ-ერთი სამეფოს, ქართლის ტახტზე მუსლიმანი მეფის (დაუთ-ხანის) გამოჩენა, რაც მთავარია შაჰ-აბასის მიერ შემუშავებული, დანერგილი და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ტრადიციად ქცეული პოლიტიკა მუსლიმანი ქართველი მეფეების ტახტზე აყვანას რომ გულისხმობდა. ქართლში არაერთი მუსლიმანი მეფე

* ვგულისხმობთ კახეთის მეფე აღსართან I-ს, რომელმაც თურქ-სელჩუკთა სულთან ალფ-არსლანის გულის მოსაგებად ისლამი მიიღო („მატიანე ქართლისა", ქართლის ცხოვრება, გ. I, გვ. 309, 322 და სხვ.).

იყო (მაგ. ბაგრატ-ხანი, სიმონ-ხანი, როსტომ-ხანი, შაჰ-ნავაზი (ვახტანგ V), გიორგი-ხანი, ქაიხოსრო-ხანი და სხვ.). მუსლიმანი მეფეები, რომელთაგან ზოგიერთი აშკარად სამშობლოს ერთგული მსახური იყო (მაგ. ვახტანგ VI), მაინც იძულებული ხდებოდნენ ირანთან ურთიერთობაში მორჩილი პოლიტიკა ეწარმოებინათ. ეს იყო სინამდვილისათვის ანგარიშის გაწევა. მაგრამ ამ მრავალწლიანმა მორჩილებამ გარკვეული ზიანი მიაყენა ქართულ ზნეობას, ტრადიციას, კულტურას თუ სახელმწიფო წყობას. ირანული წეს-ჩვეულებები დაუბრკოლებლად აღწევდა საზოგადოების ცნობიერებაში.

მუსლიმან დამპყრობლებთან ურთიერთობას ძალიან ძნელი იყო. ზოგი მათგანი ქართველი ხალხის სრულ ამოწყვეტას აპირებდა და გააზრებულად, ზოგჯერ კი გაუაზრებლად ჩვენს მიწებს ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან ცლიდა. მოვიგონოთ, რა საფრთხე შეექმნა კახეთს, როდესაც ირანმა იქ თურქმანები ჩაასახლა (XVII ს.-ის 50-იანი წლები)[1]. ასევე, გასახსენებელია დაღესტნელების მიერ ჰერეთის ზოგიერთი მხარის მიტაცება და დაღესტნური დასახლებების შექმნა[2].

საქართველომ დიდი ზარალი განიცადა სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით. სამცხე-საათაბაგოს დასავლეთ ნაწილში ოსმალებმა უკვე XVI ს.-ის შუა წლებში იწყეს თავიანთი ადმინისტრაციული სისტემის დანერგვა. რაც შეეხება სამცხის აღმოსავლეთ ნაწილს, აქ თურქული ადმინის-

---

[1] ვ. ფუთურიძე, მოკამედ თაპერის ცნობები საქართველოს შესახებ. მსკი, ნ. 30, 1954 წ., გვ. 393-394; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 329-333.

[2] Хроника войн Джара в XVIII столетии. Баку, 1931 г., გვ. 13. მ. დუმბაძე, მდგომარეობის გართულება. აღმოსაელეთ კახეთის დაკარგვა. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 428.

ტრაცია ლალა-ფაშას ლაშქრობის (1578 წ.) დროს იწყებს დამკვიდრებას. 1579 წლის 25 ივნისს სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე ჩილდირის (ახალციხის) საფაშო დაარსდა. ფაშად მანუჩარ ათაბაგი დაინიშნა[1]. მიუხედავად მდგომარეობის გართულებისა, ქართველი ხალხი დიდი მონდომებით იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის. თვით მანუჩარი (იგივე მუსტაფა) 1582 წელს ისევ ქრისტიანობაზე მოიქცა[2].

1590 წლის ზავით სამცხე-საათაბაგო მთლიანად ოსმალეთს გადაეცა და აქ ახალი ძალით დაიწყო თურქული მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესების შემოღება. ამან ასახვა ჰპოვა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში"[3]. ვილაიეთში სულ 1160 სოფელი შედიოდა. ეს იმას მოასწავებდა, რომ დაიწყო ამ მხარის გამუსულმანება. საქართველოს მოწინავე ძალებს და თვით ქართულ მოსახლეობას არასდროს შეუწყვეტიათ ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, მაგრამ „უთანასწორო ბრძოლაში მარცხდებოდნენ. დროთა განმავლობაში ოსმალო დამპყრობლები სულ უფრო და უფრო მკვიდრდებოდნენ ქართულ მიწაზე..."[4]

შემდგომი ხანა (XVII-XVIII საუკუნეები) სამცხე-საათაბაგოს საქართველოს ფარგლებიდან კულტურული და პოლიტიკური გამოთიშვის ხანა იყო. ცხადია, მუსლიმანური მოსახლეობაც დიდად გამრავლდა, რითაც ასევე გამუსლი-

---

[1] მ. სვანიძე, ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსების ისტორიიდან. „მაცნე", 1964 წ., №3, გვ. 70-84.

[2] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961 წ., გვ. 54.

[3] ამ ძეგლის თურქული ტექსტი გამოსცა და თარგმნა ს. ჯიქიამ (1947 წ.). ქართული თარგმანი (წ. II) 1941 წ. გამოვიდა. 1958 წ. გამოვიდა მისი ვრცელი გამოკვლევა.

[4] მ. სვანიძე, სამცხე-საათაბაგო XVI ს.-ის მიწურულში. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 155.

მანებული ფაშები კიდევ უფრო იმტკიცებდნენ თავიანთ პროთურქულ ორიენტაციას.

1639 წლის ზაიის საფუძველზე ირანმა სცნო ოსმალეთის ბატონობა სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთში და მათ იწყეს საბოლოოდ დამკვიდრება საათაბაგოში[1].

ცხადია საათაბაგოს გამუსლიმანებული მოსახლეობა ასევე მუსლიმანობათავსმოხვეული აჭარის მოსახლეობის[2] ნაწილიც, დროებით გამოეთიშა საერთო საქართველოს პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებას. აღმოსავლეთით მუსლიმანი ინგილოები, დასავლეთით კი მუსლიმანი აჭარლები და მესხ-ჯავახები ჩვენი სამშობლოს ისტორიის უმძიმესი ხანის ნაყოფი იყო. მუსლიმან ქართველთა ასეთი დიდი რაოდენობა, ცხადია, გაელენას ახდენდა ქართველი ხალხის ჩამოყალიბების საქმეზე. მეტიც, ქართველი ხალხის ეს ნაწილი, არაკეთილსინდისიერი პოლიტიკური მოღვაწეების ხელში, სეპარატიზმისა და დეეთნიზაციის საჭირო საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ ჩვენს ერს ასეთი სახე აქვს და ვერაფერს მოეუხერხებთ.

მუსლიმანი ქართველებისაგან განსხვავებით სრულიად სხვა საფუძველზე აღმოცენდა ე.წ. ფრანგი ქართველობა ე.ი. ევროპული ქრისტიანობის მიმდევრები. 1054 წელს გათიშული ქრისტიანების ისტორია სხვადასხვა გზით წარიმართა. აღმოსაელური ე.წ. მართლმადიდებლური ძნელ პირობებში ვითარდებოდა. ნაირ-ნაირი დამპყრობლები (თურქსელჩუკები, მონღოლები, შუააზიელი დამპყრობლები, ოსმა-

---

[1] მ. სვანიძე. სამცხე-საათაბაგო XVII ს.-ის პირველ მესამედში. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 311.

[2] XVI ს.-ის 80-90-იან წლებში აჭარა და ჯანეთი თურქეთის შემადგენლობაში მოექცა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 226.

ლეთის იმპერია და სხვ.) ეკონომიკურ საფუძველს ურყევდნენ და მის განვითარების ტემპს აყოვნებდნენ. მათთან ჭიდილში მიწისაგან აღიგავა ამ მართლმადიდებლობის მებაირაღტრე ბიზანტიის იმპერია. დაიკავა რა მისი ადგილი, ისლამურმა თურქეთმა თავისი დაღი დაასვა მთელ ჩვენს პოლიტიკურ და რელიგიურ განვითარებას.

თურქების გაბატონებამდე საქართველოსა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობა ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებზე ვითარდებოდა. როცა სჭირდებოდათ დასავლეთ ევროპელი ჯვაროსნები დახმარებას სთხოვდნენ ქართველებს. ამის მაგალითად გამოდგება 1119 წ. ბალატთან ილ-ღაზის მიერ როჟერ ანტიოქელის დამარცხების შემდეგ ჯვაროსნების ცდა კავშირი დაემყარებინათ დავით აღმაშენებელთან[1].

ასევე საინტერესოა ლაშა-გიორგის დამოკიდებულება ჯვაროსნებთან. როგორც რუსუდან დედოფლის რომის პაპ ონორე III-სადმი 1224 წლის 12 მაისს მიწერილი წერილიდან ირკვევა, გიორგი ქრისტიანების დასახმარებლად ლაშქრობის მოწყობას აპირებდა[2].

როგორც წყაროებიდან ცნობილია ქართველები მოგვიანო საუკუნეებშიც არაერთხელ გამოხმაურებიან რომის პაპების მოწოდებებს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[3]. მაგრამ ახლა ამ საკითხებზე მსჯელობას

---

[1] გ. ჯაფარიძე, ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი, წიგნში „დავით აღმაშენებელი", – თბილისი, 1980 წ., გვ. 212.

[2] ი. გაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), ტ. I, თბილისი, 1984 წ., გვ. 78.

[3] მაგალითად, ქართველი მეფე-მთავრები აქტიურად გამოეხმაურნენ რომის პაპ პიუს II-ის (1458-1462 წწ.) მოწოდებას ანტითურქული ომის მოწყობის შესახებ (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902 წ., გვ. 26.

თავს ავარიდებთ. ეს ურთიერთობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგად არის შესწავლილი და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია თვითონ სათანადო ლიტერატურას[1] მიაკითხოს. მაგრამ მოგვიანო საუკუნეებში, კერძოდ XVI-XVIII საუკუნეებში, როდესაც სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველო უკიდურეს მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩნდა, ევროპელი საეკლესიო პირები თავიანთი აქ მოსვლით, ზნეობრივი და რელიგიური ქადაგებით უდიდეს როლს ასრულებდნენ ქრისტიანობის შენარჩუნების საქმეში. მათ მრავალი ქართველი მოაქციეს ევროპულ ქრისტიანობაზე. მაგალითად, 1669 წელს გორში დაარსებულმა კაპუჩინთა მისიონის პატრებმა ხუთი წლის განმავლობაში 300-ზე მეტი ბავშვი მონათლეს[2]. თუ ვირწმუნებთ, ათი წლის მანძილზე მათ ათიათასზე მეტი კაცი მოუნათლავთ[3].

ქართლის მეფე გიორგი XI ოფიციალურად მუსლიმანი იყო, მაგრამ როგორც წყაროებიდან ირკვევა მან მოისურვა კათოლიკობის მიღება და კიდეც მიიღო პატრი ჯუსტინოს ხელით 1686 წელს[4].

კათოლიკობა მიიღო აგრეთვე ბარძიმ მსაჯულთუხუცესმა, არაგვის ერისთავ გიორგის ძმამ, ერეკლე I-ის სამეფო კარის დიდმოხელემ. ეს მოხდა 1689 წელს. უფრო საინტერესოა, რომ კათოლიკობა აღიარა აგრეთვე ქაიხოსრო ქარ-

---

[1] მ. თამარაშვილის დასახ. ნაშრომის გარდა იხ. ი. გაბაღუას დასახ. ნაშრომი. აგრეთვე, მ. პაპაშვილის ნაშრომი საქართველო-რომის ურთიერთობა. თბილისი, 1995 წ., გვ. 104-105.

[2] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა... გვ. 236; მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

[3] მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

[4] იქვე, გვ. 221.

თლის მეფემაც (1709-1711 წწ.). კათოლიკობა მიიღეს აგრეთვე მეფე ალექსანდრე V-მ, კათალიკოსმა ბესარიონმა და რაჭის ერისთავმა როსტომმა თავის შვილთან ერთად[1].

კათოლიკურ მოძრაობას საქართველოში, სომხების სახით, დაუნდობელი მოწინააღმდეგეები ჰყავდათ[2].

სხვადასხვა დროს და ვითარებაში საქართველოს საზღვრებში შემოხვეწილი სომხები, ვაჭრობა-ხელოსნობაში ჩაბმულობის გამო, ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით, გაცილებით კარგ ეკონომიკურ პირობებში იყვნენ. ეკლესიურად კარგად დარაზმულნი, ქართლის მოსახლეობას საკუთარი მრევლის გაზრდისათვის ფართო ასპარეზად მიიჩნევდნენ და ამ საკითხის პრაქტიკულ გადაჭრასაც ცდილობდნენ. მათ ქართლის სხვადასხვა მხარეში მრავალი ქართველი გაასომხეს. სომხებს მრევლის გაზრდის სხვა ბერკეტებიც გააჩნდათ.

ირანელებისაგან და თურქებისაგან მრავალჯერ ნაგვემი ქართული ეკლესია და სახელმწიფოებრიობა სომხების ზვაობის ალაგმვას ვერ ახერხებდა. ისლამის მსახური ქართლის მეფეები ამ საკითხისადმი შესამჩნევ ინდიფერინტიზმს იჩენდნენ, რაც სომხების წისქვილზე ასხამდა წყალს. ამის მიუხედავად კათოლიკე ქართველები, როგორც ერის ნაწილი, თუმცა სახელმწიფო რელიგიიდან განმდგარი, არსებობდა და დღესაც არსებობს.

მართლმადიდებელი ქრისტიანობაც, კათოლიკობაც და ისლამიც, პირველ რიგში, ორიენტაცია იყო. ამიტომ, საქარ-

---

[1] მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 267.

[2] ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, როგორც დიპლომატი. წიგნში: სულხან-საბა ორბელიანი 1658-1958 წწ. საიუბილეო კრებული. თბილისი, 1958 წ., გვ. 63; მ. პაპაშვილი, დასახ. ნაშრომი გვ. 243-244.

თეელოს სახელმწიფოს ისტორია ამ რელიგიათა მიმდევარ ქართველთა ორიენტაციებს შორის ჭიდილის შთაბეჭდილებას ატარებს.

1801 წლის აქტი – საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის რუსეთთან შეერთება, ისევე როგორც ცოტა მოგვიანებით იმერეთის სამეფოს დაპყრობა იმპერიის მიერ, მართლმადიდებელი ქრისტიანების ორიენტაციის გამარჯვება იყო. რუსების შემოსვლა საქართველოში ქართველთა ერთი ჯგუფის გამარჯვებას ნიშნავდა სხვა (მუსლიმანი ქართველების, ნაწილობრივ „ფრანგი" ქართველების) ჯგუფების დასაღონებლად.

XIX საუკუნე საქართველოში მართლმადიდებლური რუსეთის დამკვიდრების ხანა იყო. იმპერიამ მოსელისთანავე გააუქმა არა მარტო ქართული სახელმწიფოებრიობა – (ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო) არამედ ქართული ეკლესიის თვითარჩევითობა – ავტოკეფალიაც. ეს, ამ ორი ერთნაირი მიმდინარეობის ეკლესიის ურთიერთობაში კურიოზული ვითარება იყო. რუსების საქართველოში მოწვევაში ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ უმთავრესი როლი ითამაშა და საოცრად შეცდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიურობაზე საუბარი რუსეთის სახელმწიფოსა და ეკლესიას სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა.

აღნიშნულის მიუხედავად, საქართველოში დამკვიდრებული მართლმადიდებლობის აღმსარებელი რუსეთის ჯარი ერთი მეორის მიყოლებით იფართოვებდა საზღვრებს ყოფილი ქართული მიწების ხარჯზე. ეს იყო მართლმადიდებლების დიდი წარმატება, მაგრამ არა ქართულის. ყველაფერი კეთდებოდა რუსეთის სახელით. ქართული ეკლესია, ისევე როგორც ქართული სახელმწიფოებრიობა, „მოძმე"

რუსული ეკლესიის წნეხის ქვეშ სულს ღაფავდა: მისი ქონება იმპერიის საკუთრებად გამოცხადდა, მისი სალოცავები, თბილისშიც კი თავისთავადობას ჰკარგავდნენ. ქართულ მართლმადიდებლობას რუსული მართლმადიდებლობა „ჭამდა“.

ამრიგად, საუკუნეების წინ საქართველოში შემუშავებულმა რომელიმე თანამორწმუნე ქვეყნის მფარველობაში შესვლის პოლიტიკამ, რასაც მონდომებით უწევდნენ პროპაგანდას ქართული სამეფოთა და ეკლესიათა მესვეურნი, არ გაამართლა. მოწვეულმა მართლმადიდებლურმა რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა პოლიტიკური ერთეული გააუქმა და ეკლესიის დამოუკიდებლობის ყოველგვარი ნიშან-წყალიც წაშალა.

მართლმადიდებელი რუსეთის იმპერიის ამიერკავკასიის სამხრეთით წარმოებულ ომებს დიდი პოლიტიკური შედეგები მოჰყვა. 1822-1829 წლებში შემოერთებულ იქნა ე.წ. ახალციხის საფაშო ანუ ყოფილი სამცხე-საათაბაგო, ხოლო 1877-1878 წლებში – აჭარა. რუსეთი ამით საკუთარ სახელმწიფო ფარგლებს იფართოვებდა და ცხადია, საქართველოს ძველ საზღვრებში აღდგენა მიზნად არ ჰქონია. მაგრამ, უსამართლობა იქნება არ აღინიშნოს მისი დამსახურება საქართველოს წინაშე. ჩვენ, დამოუკიდებლად, ამას ვერ მივაღწევდით, თურქეთს ვერც მშვიდობიანად ვერც ომით ვერაფერს დავათმობინებდით.

მაგრამ, შემოერთებულ მიწებზე მუსლიმანი მოსახლეობა სახლობდა, რაც მართლმადიდებელი რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას პრობლემებს უქმნიდა. რუსეთი თელიდა, რომ მათთან თანამშრომლობა გაუძნელდებოდა და რაკი მათ ცხოვრებას რუსულ წესზე აწყობდა, ეს ხალხი სულ

გაიუცხოვა. 1822-1829 წლებში მრავალი ათასი კაცი აიყარა და თურქეთში გადასახლდა. ეს იყო საქართველოს ტრაგედია. მუსლიმანობამიღებული ქართველი ქართველობას თურქობას ამჯობინებდა და საქართველოს პოლიტიკურ და რელიგიურ მოკავშირე რუსეთს ზურგს აქცევდა. შედეგი კი სავალალო იყო – აყრილი მუსლიმანი ქართველების ადგილი სომხებმა დაიკავეს. ეს რუსების მიერ მუსლიმან მესხებთან გამოყენებული მოუზომავი პოლიტიკის მეორე დამღუპველი შედეგი იყო.

ამგვარად, მუსლიმანი ქართველების უმრავლესობა მათმა რელიგიურმა ორიენტაციამ დედა სამშობლოს, საქართველოს მოსწყვიტა და თურქებს შეურია. ცხადია, ისინიც და მათი ნაწილიც, რომლებიც XX ს. 40-იანი წლების დასაწყისამდე კიდევ ცხოვრობდნენ მესხეთ-ჯავახეთში, თურქეთის ორიენტაციაზე იდგნენ და ქართველებს, აგრეთვე მათ მიერ მოწვეულ რუსებსაც, მტრული თვალით უყურებდნენ.

მართლმადიდებელი რუსები არ ცდილობდნენ მუსლიმანი ქართველების კვლავ გაქართველებას. მათ არ სურდათ ქართული ეთნოსის გაძლიერება. ქართველებმა არაერთი პოლიტიკური აქციით დაამტკიცეს, რომ რუსების მადლიერნი არ იყვნენ შემდეგი მიზეზების გამო: 1) მათ ხომ მოსელისთანავე სახელმწიფოებრიობა გაუუქმეს ქართველებს; 2) მოუსპეს ეკლესიური ავტოკეფალიაც; 3) დაიწყეს ქართველებისათვის უცხო და უჩვეულო წეს-ჩვეულების დანერგვა და სხვ. რუსები კარგად ხედავდნენ, რომ ქართველების მათთან უშუალოდ შეხვედრამ ამ უკანასკნელებში ახალი პოლიტიკური ორიენტაცია შვა. ეს იყო გეზი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენაზე.

რუს პოლიტიკოსებს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდათ ამ ორიენტაციის ჩასაქრობად, ყოველ შემთხვევაში ფერფლის წასაყრელად მაინც. მაგრამ ეს ორიენტაცია მარადიული იყო, ხალხის გულში არ კვდებოდა და მისი აშკარა გაცხადების შესაძლებლობა გაჩნდა თუ არა ქართველმა ხალხმაც არ დააყოვნა. მაგრამ ეს იყო XX საუკუნეში, რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში კი რუსებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველები ერთმანეთს სულ უფრო მეტად დასცილდებოდნენ. როგორც ითქვა, მათ არაფერი გააკეთეს, რათა მუსლიმანები მშობლიურ მიწას არ გაქცეოდნენ. პირიქით, გააქციეს, რათა სულ რამდენიმე წლის შემდეგ მათ ნასახლარებზე სომხები და სხვები ჩაესახლებინათ. შემდეგში აქ თანდათან ამოიზარდა ქართული ეთნოსის მტერი სომხების დიდი კოლონია, რამაც მთელი ჯავახეთი მოიცვა და ქართველთა კვალი ლამის წაშალა ამ კუთხეში.

რაც შეეხება მუსლიმან ქართველთა მეორე ნაწილს, სამცხე-საათაბაგოში დარჩენილს, იმპერიამ კურსი მათ საბოლოო გათურქებაზე აიღო: ნაცვლად იმისა, რომ ეცადა მათში (ქართველობის ჩანერგვა, რაც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა თუკი მოინდომებდნენ), რუსებმა იწყეს აზერბაიჯანული სკოლების გახსნა, სადაც სწავლა თურქულ ენაზე იყო. ამ სკოლებში მასწავლებელთა უმეტესობა ბაქოდან იგზავნებოდა, რომლებსაც განათლება სტამბოლსა და ანკარაში ჰქონდათ მიღებული. ქართველი მაჰმადიანების ახალი თაობები პანისლამიზმის და პანთურქიზმის რწმენით გაიჟღინთა და ქრისტიან ქართველთა შეურიგებელ მტრად იქცა. სწორედ მათი წრიდან იყო გამოსული სოფელ

აწყურის მკვიდრი ომარ ეფენდი ყიფიანი. 1917 წელს, მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ომარ ეფენდი ყიფიანის მომხრეებმა ახალქალაქსა და ახალციხეში არსებული სამხედრო საწყობები გატეხეს და შეიარაღდნენ. მისმა ბანდებმა მრავალი ქრისტიანი ქართველი მოსპო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სერვერ ბეგ ჯაყელის საქმიანობა. სწორედ მისი მეთაურობით შეკრებილმა ე.წ. „სუჟანის“ სამხედრო გაერთიანებამ დაარტყა ზურგში თურქეთის რეგულარულ არმიასთან მებრძოლ დამოუკიდებელი საქართველოს ჯარის ნაწილს 1919 წლის 12 თებერვალს და მისი განადგურება გამოიწვია[1].

ერთი სიტყვით ქართული ეთნოსი რელიგიურ ნიადაგზე ქრისტიან და მუსლიმან ქართველებად დაიშალა. მართალია მესხეთ-ჯავახეთის მუსლიმანი მოსახლეობა ამჟამად საქართველოში აღარ ცხოვრობს, მეორე მსოფლიო ომის დროს აქედან გაასახლეს, მაგრამ მათი პრობლემა საქართველოს წინაშე დღესაც დგას.

რაც შეეხება 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ შემოერთებულ აჭარას, მისი მოსახლეობის მაღალი ეროვნულ-ქართული შეგნებულობის გამო, ეს კუთხე უმტკივნეულოდ მიუერთდა დედა სამშობლოს. XIX ს.-ის 70-იან წლებში აჭარის მოსახლეობაში რელიგიურ ნიადაგზე ამოზრდილი ანტიქართულ-ანტიქრისტიანული განწყობა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული საბედნიეროდ, არც მერე ჩამოყალიბდა. ძნელია იმის ახსნა, რატომ არ დაიწყო რუსეთის იმპერიამ აჭარის და დანარჩენი საქართვე-

[1] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. შ. მარსაგიშვილი, როგორ ამოწყვიტეს ჯავახეთის ქართველობა ადგილობრივმა მაჰმადიანებმა. გამ. „ახალი თაობა“, 2001 წ. 26 აგვისტო – 1 სექტემბერი.

ლოს მოსახლეობათა დაპირისპირება. ამისთვის რელიგიური ნიადაგი აშკარად არსებობდა.

XIX ს.-ის 70-იანი წლებიდან აჭარა რუსეთის იმპერიის ფარგლებში, ქართველი ძმების გვერდით, მაგრამ მათთან შეურეველად ვითარდებოდა. ქრისტიანი ქართველების მხრიდან არავითარი ძალმომრეობა არ იგრძნობოდა და ისინიც, მშვიდ გარემოში იხსენებდნენ თავიანთ ეთნიკურ და რელიგიურ წარსულს. ვერც რუსეთი და ვერც თურქეთი ვერაფერს გახდნენ ქართველთა მყარ ეთნოსთან. აჭარამ არ დაუშვა ამ ეთნოსის რელიგიის საფუძველზე დაშლა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ყოველგვარ რელიგიაზე შეტევა მოჰყვა. ერთ მხრივ აჭარლების და მეორე მხრივ ქრისტიანი ქართველების რწმენის შესუსტებამ კიდევ უფრო შეაკავშირა მათი ერთობა. მაგრამ აჭარის ავტონომიური მოწყობა ამ ეროიანობის განმტკიცებას აშკარად ხელს უშლის.

დღევანდელ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთის ქვეყნებზე აქვს აღებული, მაგრამ რაკი საქართველო, როგორც სახელმწიფო, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და ეს ორიენტაციაც საბოლოოდ არ გამოკვეთილა, მის სიმყარეზე საუბარიც ნაადრევია.

რაც შეეხება ბოლო ხანს ჩვენში გავრცელებულ ე.წ. „იეღოველების", „ორმოცდაათიანელების" და სხვ. სექტებს. აშკარაა, რომ ისინი ე.წ. დასავლეთის სამყაროს ძალისხმევით დამკვიდრდნენ და კონკრეტული მიზანი აქვთ – დაასუსტონ მართლმადიდებელი ქრისტიანობა, დაქსაქსონ და ერთიანობა მოუსპონ მის მრევლს.

ქართულ მოსახლეობაში „ევროპულ-ამერიკული" ყაიდის მორწმუნეობის („იეღოველების" და სხვ.) გამრავლება,

რა თქმა უნდა, აღნიშნული ქვეყნების ორიენტაციის მომხრეთა ხელოვნურ შექმნას ნიშნავს. ამ ცდას მოსდევს: ა) დასავლეთის ორიენტაციის მთლიან მოსახლეობაში დამკვიდრება და ბ) რუსეთის ეკლესიისათვის საქართველოს, როგორც რელიგიური მოკავშირის ხელიდან გამოცლა.

ყველაფერი კი საბოლოო მიზანს – საქართველოში დასავლეთის პოლიტიკური და რელიგიური ორიენტაციის დამკვიდრებას ემსახურება.